



„მუსიკის“ მკითხველს და სარედაქციო კოლეგიას გულითადად ვულოცავ ჟურნალის ხელახალ დაბადებას, მიხარია, რომ ჩვენი სამინისტროს წვლილიც დევს მისი ახალი ფორმატით გამოსვლაში.

იმედს გამოვთქვამ, რომ „მუსიკის“ ფურცლებზე ადეკვატურ ასახვას ჰპოვებს ის აქტიური მუსიკალური ცხოვრება, რომელიც დღეს საქართველოში მიმდინარეობს, ვგულისხმობ ქართველი მუსიკოსების წარმატებებს სხვადასხვა სფეროში.

საქართველოს კულტურის სამინისტროს სახელით კიდევ ერთხელ ვუცხადებ ჟურნალს მხარდაჭერას და საუკეთესო შემოქმედებით მომავალს ვუსურვებ.

ნიკოლოზ გურგენიძე

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი

3

პროფესიული მუსიკალური პრესის საჭიროება ჯერ კიდევ ქართული მუსიკის გარიჟრაჟზე ქართველმა კლასიკოსმა მელიტონ ბალანჩივაძემ აუცილებლად მიიჩნია. 1910 წელს მან ქუთაისში დააფუძნა ჟურნალი „მუსიკა, რომლის მხოლოდ ორი ნომერი გამოიცა. სამწუხაროდ, მას შემდეგ ასეთი ფუფუნება პროფესიულ მუსიკას არ ჰქონია. მხოლოდ 1990-იან წლებში დაფუძნდა გაზეთი „მუსიკა“ და მოგვიანებით, ამავე სახელწოდების ჟურნალი, რომელსაც ყოველთვის უსახსრობა უშლიდა ხელს და ზოგჯერ წლების გამოტოვებით გამოდიოდა. არადა, მუსიკალური პრესის არსებობა არა მხოლოდ ქართული მუსიკის განვითარებისათვისაა მნიშვნელოვანი, არამედ იგი მემპატიანის ფუნქციასაც ასრულებს. გამომდინარე აქედან ხშირად იქმნება ინფორმაციული ვაკუუმი, რაც აფერხებს ქართული მუსიკალური ცხოვრების რეალური სურათის აღდგენას. დღესდღეობით კულტურის სამინისტრომ ითავა ამ მეტად საჭირო და სასიკეთო საქმის ხელშეწყობა.

არ შეიძლება აქვე არ აღინიშნოს, რომ ბოლო ორი ათწლეულის მანძილზე პროფესიული მუსიკის, ქართული საკომპოზიტორო სკოლის განვითარებისა და ხელშეწყობის საქმეში ასეთი სერიოზული პროექტები, რაც დღეს სამინისტროს ხელდასხმით ხორციელდება კომპოზიტორთა კავშირში, არ ყოფილა. მადლობა მინისტრს, ბ-ნ ნიკა რურუას აღნიშნულ საკითხებზე მომუშავე კულტურის სამინისტროს თანამშრომელთა მთელ ჯგუფს, რომ მათი ინიციატივით დაიგეგმა და რეალიზაცია დაიწყო პროფესიული მუსიკისათვის მეტად საჭირო პროექტებმა: კომპოზიტორთა კონკურსი, კონცერტების ციკლი, პრემიები წლის საუკეთესო მუსიკალური ნაწარმოებისათვის და საუკეთესო სამუსიკისმცოდნეო ნაშრომისათვის. ყოველივე აღნიშნული, უდავოდ, გააჩინს მოტივაციას – გაააქტიურებს შემოქმედებით ცხოვრებას, რითაც უდიდეს წვლილს შეიტანს ქართული პროფესიული მუსიკის გამოცოცხლებისა თუ წინსვლის საქმეში.

საქართველოს კომპოზიტორთა კავშირი

ჟურნალ „მუსიკა“-ს რედაქცია



ძველბერძნული კერამიკის მხატვრობა, ძვ. წ. IV ს.

მუსიკა

MUSIKA

Journal of Creative Union of Composers of Georgia

1·2010



ჟურნალი გამოიცემა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით

ოპერა	
მარიკა ჩიჯავაძე. Gianluca Marciano	4
ქართული მუსიკა უცხოეთში	
მანანა კორძია. თბილისი-პარიზი-თბილისი	9
შთაბავშვილება	
ლალი კაკულია. „მეფა“	12
მიმავიწყობა	
გიორგი კრავიშვილი. ორიგინალური პრემიერა	13
კახა ცაბაძე; გიგა ლორთქიფანიძე; მანანა კორძია; ანზორ ერქომაიშვილი; გურამ მელივა	
უპოვებელი დასაწყისი	18
შემოქმედის სამყარო	
ნესტან მესხი. ზიჰინას გვირგვინი	23
საფესტივალო ცხოვრება	
გულბათ ტორაძე	
მუსიკალური ფესტივალის კალენდრული	29
მუსიკა და მხატვრობა	
მანანა ხვთისიაშვილი	
მუსიკა ავთო მარაგის ცხოვრებასა და შემოქმედებაში	38
ღიალოგი	
თამარ ქერქვაშვილი	
რენე ვიხავით ქართული მუსიკის „მკლავი ჯგუფი“	53
საფესტივალო ცხოვრება	
თინა ლვინერია. „აღდგომიდან ამაღლებამდე“	59
გაქარია ფალიაშვილის სახლ-მუზეუმიდან	
თამარ ნულუკიძე	
გაქარია ფალიაშვილი ოქანის გაღმა	67
www	70
ჯაზი	
ჯიმი იაშვილი. ჰერბი ჰენსოქი	70

რედაქტორი: მიხეილ ოძელი
 თანარედაქტორები: მზია ჯაფარიძე, თამარ ნულუკიძე
 დიზაინი: ვახტანგ რურუა, ვანო კიკნაძე, გოგი ჭეფხოძე

მისამართი: დავით აღმაშენებლის 123
 ტელ.: (+995 32) 95 41 64, (+995 32) 96 75 05
 ფაქსი: (+995 32) 96 86 78



Gianluca Marciano

12, 19 და 25 ივლისს თბილისის საოპერო თეატრის სპექტაკლებს („ტრუბადურს“ „ატილას“, „რიგო-ლეტოს“) უდირიჟორა იტალიელმა მკაცრო ჯანლუკა მარჩანომ. ჯანლუკა მარჩანო დაიბადა იტალიაში 1976 წელს. ფორტეპიანოზე მეცადინეობა ხუთი წლისამ დაიწყო. სწავლობდა ფლორენციის მუსიკის აკადემიაში. პირველი სოლო კონცერტი 10 წლისამ გამართა. გაიმარჯვა ახალგაზრდა მუსიკოსთა არაერთ ნაციონალურ თუ საერთაშორისო კონკურსზე. ის ახლაც თანამშრომლობს პარმის, ფლორენციის, გენუის, ლუბლიანას, ზაგრების, ნოვი სადის, პეკინის საოპერო თეატრებთან, მსოფლიოს სხვადასხვა სიმფონიურ თუ კამერულ ორკესტრებთან, ლონგბოროს ფესტივალთან და სხვა. იტალიელ დირიჟორს ესაუბრა მუსიკისმცოდნე **მარიკა ჩიჩავაძე** (რეპორტაჟი რადიო FM 102.4-დან, ჩანერილია სპექტაკლ „ატილას“ შემდეგ).

– მასტრო ჯანლუკა, ვიდრე საქართველოში ჩამოხვიდოდით, იცნობდით თუ არა ქართველ მუსიკოსებს?

– ბევრ ქართველ მუსიკოსს მოვუსმინე საქართველოში ჩამოსვლამდე დიდი ხნით ადრე. პიანისტს – ლეჟსო თორაძეს, მომღერლებს – ლადო ათანელს, პაატა ბურჭულაძეს... შემდეგ ვმუშაობდი ნინო სურგულაძესთან. მე ვდირიჟორობდი "ნაბუქოს", ის იყო ფენენა. ეს იყო გამორჩეული სპექტაკლი. შემდეგაც არაერთ საერთაშორისოდ აღიარებულ ქართველ მუსიკოსს შევხვდი.

– თქვენ დირიჟორობა დაიწყეთ და ცნობილი გახდით არა იტალიაში..

– მართლაც, იტალიიდან გავემგზავრე მანამდე, ვიდრე დირიჟორობას დავიწყებდი, შემდეგ დავბრუნდი უკვე, როგორც დირიჟორი და საკმაოდ დიდი წარმატებით შევასრულე როსინი. ამას მოჰყვა პულენკი და დებიუსი, „ჯადოსნური ფლეიტა“, „კარმინა ბურანა“, „ბოლერო“...

თავიდან გადავწყვიტე, რომ ახალგაზრდას თავი არ გამოემუცადა იტალიაში, რადგან მე ვარ იტალიელი და ვიცი ახალგაზრდა იტალიელ დირიჟორებს როგორ ჩასაფრებულები უსმენენ იტალიელი კრიტიკოსები და იტალიელი ოპერის მოყვარულები.

– გყავთ თუ არა კერპი?

– დიახ, წარსულიდან არტურო ტოსკანინი, უფრო ახლო წარსულში კარლოს კლაიბერი და ახლა რიკარდო მუტი. ესაა ჩემი სამი კერპი. ვფიქრობ, ისინი უნიკალურები არიან, რომელთაც არაერთი ხელთუქმნელი შედეგრი შექმნეს. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ მათ აქვთ აბსოლუტური ქარიზმა, ეს ძალიან მნიშვნელოვანია სამივე დირიჟორისთვის; ასევე ცოდნა იმისა, თუ რა უნდათ; სამივეს ერთად კი, სიმფონიისა და ოპერის სიყვარული. და კიდევ, სამივემ იცოდა, როგორ აემღერებინა მომღერალი.

– თქვენ სწავლა დაიწყეთ როგორც პიანისტმა, ამავე დროს ეუფლებოდით სხვა დისციპლინებს, მათ შორის თანამედროვე მუსიკას. შემდეგში თუ გიდირიჟორიათ თანამედროვე ნაწარმოებებისათვის?

– დიახ, როდესაც ვცხოვრობდი სლოვენიაში, ვმუშაობდი საოპერო თეატრში, ამავე დროს ვდირიჟორობდი სლოვენელ სოლისტთა ორკესტრს. მის რეპერტუარში იყო უფროსი და ახალი თაობის სლოვენელი

კომპოზიტორთა ნაწარმოებები. მე კონცერტებზეც ვუკრავდი თანამედროვე ნაწარმოებს და ჩავწერე კიდევ. ეს ძალიან სასარგებლო იყო ჩემი სადირიჟორო დაოსტატებისათვის. ძალიან საპატიოა შეისწავლო და კარგად გააანალიზო პარტიტურის ტექსტი. ამ დროს ძირითად შემთხვევაში შენ არა გაქვს ამ ნაწარმოების შესრულების რაიმე ნიმუში, რადგან უმეტესად მონაწილე ხარ მსოფლიო პრემიერების.

– მე თვალი გადავაკვე თქვენს რეპერტუარს – აქ ძირითადაა იტალიური ოპერები და მოცარტი...

– ძალიან საინტერესო იყო... სულ ახლახან, ამ ზაფხულს ვიყავი ინგლისში. სხვადასხვა ფესტივალებზე მინევდა პუჩინის "ტოსკას" და მოცარტის "დონ ჯოვანის" დირიჟორობა. ერთი კვირის მანძილზე მქონდა "დონ ჯოვანის" სამი და "ტოსკას" ორი წარმოდგენა. ამ მუსიკისკენ მიმავალი გზები ძალიან განსხვავებულია. ნაწარმოების, მისი სტილის შეგრძნება და მუსიკალური გადანწყვეტა, რომელიც პარტიტურიდან მოდის, დამოკიდებულია მხოლოდ მუსიკის სწორ გაგებაზე. მე საერთოდ ძალიან მიყვარს მოცარტის, ისევე როგორც იტალიური რეპერტუარის შესრულება. თუმცა ასევე სიამოვნებით ვდირიჟორებ ფრანგულ და რუსულ ოპერებს, როგორებიცაა გუნოს „ფაუსტი“, ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინი“, ბოროდინის „თავადი იგორი“.

– თქვენ უდირიჟორეთ ოფენბახს...

– დიახ, ეს იყო ჩემი კარიერის დასაწყისში – ოპერა „მდინარე რაინის ალების“ მსოფლიო სასცენო პრემიერა. მაშინ დირიჟორის ასისტენტი ვიყავი. ეს ჩემთვის დიდი პატივი და გამოწვევა იყო და ძალიან დამეხმარა კარიერაში, სულ რაღაც ერთ კვირაში დირიჟორის პოსტი დავიკავე.

– თქვენ ასევე უდირიჟორეთ პულენკსა და დებიუსის...

– ეს იყო იტალიური პრემიერები. პირველად დაიდგა სცენაზე პულენკის "ტერიზიას მკერდი" და დებიუსის კანტატა „რჩეული ქალწული“. მაშინ დებიუსი შთაგონებული იყო ვაგნერით, განსაკუთრებით „პარსიფალით“. ეს არაჩვეულებრივი პარტიტურაა, ფერთა შესანიშნავი პალიტრით – 3 პიანოდან უმეტესად არაჩვეულებრივი მეყო ფორტეთი, რომელიც ხანდახან ფორტისიმოდე მიდის. აქაა დიდებული, სრულყოფილი ორკესტრობა.



დიდი ორკესტრია, მძიმე საკრავებით, მაგრამ ის უღერს ისე მშვიდად, ისე ღრმად, რომ იქმნება არაჩვეულებრივი ატმოსფერო.

– ისაა ვაგნერსა და იმპრესიონიზმს შორის...

– დიახ, ესაა დებიუსი, მისი სტილი, მაგრამ თქვენ სრულებით გარკვევით შეიგრძნობთ ვაგნერის გავლენას.

– მინდა რომ მოცარტზე კიდევ მითხრათ რაიმე, თქვენ ხომ მის სხვა ოპერებსაც ღირიყრობთ, "ჩოსი ფან ტუტუ"...

– „Cosi fan tutte“ მომავალ წელს მექნება, მე უკვე ვუღირიყროე "ჯადოსნურ ფლეიტას" ფლორენციაში, შემდეგ ინგლისში. პირველ წლებში არ მინდოდა მოცარტის ოპერებთან შეხება, შემდეგ ვთქვი, რომ დროა დავიწყო... და დავიწყე "ფიგაროს ქორწინებით". თავს კომფორტულად ვგრძნობდი, ამიტომ მივხვდი, რომ

მზად ვიყავი მის შესასრულებლად. განსაკუთრებული დამოკიდებულება მაქვს მოცარტთან. ის იყო გენიოსი. მისი მეშვეობით ჩვენ უნდა ვეცადოთ დავუბრუნდეთ იმას, რაც შეადგენს ადამიანის არსს, უნდა გავაღვიძოთ ბავშვური გრძნობები.

– სუფთა გრძნობები...

– დიახ, და ეს რთულია, ის წმენდს თქვენს გონებას და თქვენს ტექნიკას, რადგან ვახსენებთ, როგორი ნათელი უნდა იყოს. ამავე დროს, შესრულება უნდა იყოს მოხდენილი, ელეგანტური. "ფიგაროს ქორწინების" შემდეგ, როგორც ვითხარით, იყო "ჯადოსნური ფლეიტა" იტალიაში. ეს ნაწარმოები ლონგბოროს ფესტივალზე შევასრულე. ვამზადებ "მითრიდატე პონტოს მეფეს". ამ ოპერით მართლაც ძალიან ვარ დაინტერესებული.

– როდესაც თქვენ ღირიყრობთ მოცარტს, ამავე დროს

უკრავთ ჰარდსიქორდზე...

– ხშირად ვუკრავ, გააჩნია სიტუაციას... მე მიყვარს ამის კეთება.

– თუ აპირებთ მოცარტის თბილისში დირიჟორობას?

– ვიმედოვნებ. ვფიქრობ, რაც შეიძლება მეტი მოცარტი შევასრულო თბილისში. ეს ძალიან სასარგებლოა ორკესტრისთვის, სასარგებლოა სოლისტებისთვის და ასევე სასიამოვნოა პუბლიკისთვის. და კიდევ, რაც შეეხება „მითრიდატე პონტოს მეფეს“, მითრიდატე მნიშვნელოვნად უკავშირდება საქართველოს ისტორიას, და რაც მთავარია ესაა გასაოცარი ოპერა.

კარგია, რომ რეპერტუარში გაქვთ „დონ ჯოვანი“, მაგრამ არ დგამთ „ფიგაროს“, რომელიც ფანტასტიკურია, „Cosi fan tutte“ – შეუდარებელია. თქვენ გყავთ მომღერლები, რომლებიც ამ ოპერების დასს შეადგენენ. ამავე დროს ძალიან ხელსაყრელია ახალგაზრდებისთვის, ეს შესაძლებლობას მისცემს მათ მოუსმინონ გამოცდილ მომღერლებს და ისწავლონ მათგან. რა თქმა უნდა, ხანდახან მათაც დავეუბნებთ სცენას.

– ჩვენთან ახალგაზრდა, დამწყები მომღერლები მღერიან ვერდის, პუჩინის. ხომ არაა ეს ჯერ მათთვის ნაადრევი, მიზანშეუბნებელი, უმეტესობა ყოველ შემთხვევაში...

– დიახ, ისინი ჯერ მზად არ არიან, მათ არა აქვთ გამოცდილება.

– მათ ხომ ჯერ უნდა იმღერონ ბაროკო, დონიცეტი, როსინი?

– აბსოლუტურად გეთანხმებით. რა თქმა უნდა, ზოგიერთი მათგანი მზადაა პუჩინისა და ვერდისთვის, მაგრამ სრულად უნდა იყვნენ მზად, რადგან თუ ასე არ იქნება, მათ საფრთხე დაემუქრებათ.

– თქვენ თბილისში ვერდის სამ ოპერას – „ტრუბადურს“, „ატილას“ და „რიგოლეტოს“ უდირიჟორეთ. ეს იყო საკონცერტო შესრულება და ორკესტრი ზოგჯერ უფრო მძლავრად ჟღერდა, ვიდრე გუნდი, რომელიც უკან, სიღრმეში იყო და სოლისტებსაც ფარავდა.

– დიახ, რა თქმა უნდა, ნორმალურია, როდესაც ორკესტრი ორმოშია, რადგან "ატილას" მსგავსი ოპერების ორკესტრირება, ბალანსი გათვლილია იმაზე, რომ ლითონის ჩასაბერი საკრავები, დასარტყამები უნდა

იყოს იატაკის ქვეშ. მარცხენა ხელით სულ ვანიშნებ ტრომბონებსა და ლიტავრებს "უფრო ჩუმად, უფრო ჩუმად". საკონცერტო შესრულება მეტად პრობლემურია, ამ დროს აუცილებელია მუსიკოსები ერთმანეთს უსმენდნენ; როდესაც ერთმანეთს უსმენენ, ბალანსიც ნესრიგშია, როდესაც არ უსმენენ, ნებისმიერ შემთხვევაში შედეგი ცუდია.

– ვერდის ადრეულ ოპერებს ცალკეული დირიჟორები ასე დირიჟორობენ- "ცუმ პაპა"

– ეს დაუშვებელია!

– თქვენ დირიჟორობთ სრულ, მდიდარ, საინტერესო საორკესტრო პარტიტურას...

– ეს მართლაც საინტერესო პარტიტურაა. რიკარდო მუტის ძალიან უყვარს „ატილა“ ესაა ადრეული ვერდი, მაგრამ ესაა ვნებით, მომხიბლავი ფრაზებით აღსავსე ვერდი. ჩემი ფილოსოფია ასეთია, თუ არ მოგწონთ რაღაც, ნუ გააკეთებთ, ხოლო თუ ხელს მოკიდებთ, უნდა იმუშაოთ მთელი გულით და უნდა წარმოაჩინოთ მთელი ის მშვენიერება, რომელიც უბრალოდ ნოტებს მიღმაა. რაც შეეხება "ატილას", როგორც კი გადაშლით პარტიტურას, იმავეითვე აღმოაჩენთ მის მშვენიერებას და როდესაც მას აღმოაჩენთ, მოგინდებათ სხვა ადამიანებს აჩვენოთ როგორ ხედავთ, როგორ გრძნობთ ამ მშვენიერებას.

– თქვენ ამას აკეთებთ

– დიდი მადლობა.

– თქვენ დირიჟორობთ არამართო ოპერებს...

– დიახ, ასევე სიმფონიებს, კამერულ ორკესტრებს.

– და რომელი სიმფონიური, თუ საოპერო პარტიტურის დირიჟორობას ისურვებდით?

– რისი დირიჟორობა მესიამოვნებოდა?... ბევრია ასეთი. ახლა მზადა მაქვს და ვგეგმავ მომავალ წელს ვუდირიჟორო ჩემს პირველ მალერს, ეს იქნება I სიმფონია და ასევე ვუდირიჟორებ ჩემს პირველ ბრამსს, IV სიმფონიას.

– რომელ ორკესტრთან ?

– ერთი იქნება ნოვი სადის ორკესტრი, სერბეთის ორკესტრი, მეორე კი ლიბანის ფილარმონიული ორკესტრი ბეირუთში. მე აქ ვარ ფესტივალის მუსიკალური

დირექტორი. ესაა ექვს კვირიანი ფესტივალი, ჩვენ ბევრი კონცერტი გვაქვს.

– **ამ კონცერტებში მონაწილეობას ალბათ სოლისტებიც მიიღებენ?**

– დიახ, ესენი არიან გოტიე კაპიუსონი – ჩელისტი, ნინა კოტოვა – ასევე ჩელისტი, ვალერი სოკოლოვი, მარტინა ფილიაკოვიჩი – ვან კლაიბერნის და დედოფალ ელიზაბეტის კონკურსების გამარჯვებული, ცნობილი სოპრანო ინვა მულა.

– **თქვენი მოსმენისას დირიჟორის ერთერთი კარგი თვისებაც შევამჩნიე, თქვენ გრძნობთ მომღერლებს, იცით როგორ დაეხმარათ მათ.**

– დიდი მადლობა კომპლიმენტისთვის. ძალიან მნიშვნელოვანია თუ რა ვისწავლე. მე კი ვისწავლე ფორტეპიანოზე დაკვრა, მომღერლებთან ერთად მუშაობა. ვიდრე დირიჟორი გავხდებოდი, გარკვეული პერიოდი ვიყავი თეატრში ჰიანისტი. მნიშვნელოვანი იყო მომღერლებთან სიმღერა და მეცადინეობა, ვინაიდან მე მათ სიმღერით ვაჩვენებდი რა როგორ უნდა შეესრულებინათ; ვიცი როგორ დაეხმარო, ვიცი სადაა პრობლემა და ვიცი როგორ გავაკეთებინო რაც მინდა. მათ ისეთი შეგრძნება აქვთ, რომ მე მათ მივყვები. როდესაც ვლიდებო, მაშინ ვანუხებ, როდესაც მომღერლები ფიქრობენ, რომ მათ მივყვები – მაშინ ვეხმარები, მათი დასაყრდენი ვარ. აი, რა არის მუდამ საჭირო – მხარში უნდა ედგე.

– **ე.ი. ზოგჯერ თქვენი მეშვეობით, ასე ვთქვათ, თქვენში გავლით აკეთებენ რაღაცას ისე, რომ ვერც გრძნობენ?..**

– დიახ, დიახ, ეს სწორია, მომწონს ეს გამოთქმა. ეს გასაოცარი გრძნობაა, ენერგიით გავსებს.

– **და ბოლოს, რას გვეტყვით ჩვენს მომღერლებზე? თქვენ პირველად იდირიჟორეთ ლადო ათანელის საღამოზე...**

– დიახ, ლადოსთან, ნინო სურგულაძესთან, ასევე იყო გუნდი და ორკესტრი, გასოცარი ახალგაზრდა მომღერლები. ვფიქრობ, ბევრ მათგანს დიდი კარიერა ელის. ახლა დავბრუნდი და საოპერო თეატრის მომღერლებთანაც გამოვედი ვერდის ოპერებში. საოცარია, რამდენია ასეთი კარგი, ასეთი ნიჭიერი, კარგად მომზადებული, ასე მოტივირებული ახალგაზრდა, რომლებსაც ძალიან უყვართ თავიანთი საქმე.

– **ხანდახან თქვენ მათთან ერთადაც მღერით...**

– დიახ, დიახ, ან მათთან ერთად, ან მათთვის, მაგრამ ეს ხომ ოპერის განუყოფელი ნაწილია. ძალიან მომწონს ყველა მათგანთან მუშაობა, ეს მშვენიერია.

– **თქვენ აპირებთ ორკესტრის იტალიაში წაყვანას...**

– დიახ, "რიგოლეტოს" შემდეგ უკვე მაშინვე წავალთ. იქნებთან იტალიელი სოლისტები და გუნდი. გუბიოში შევასრულებთ "რიგოლეტოს". შემდეგ მხოლოდ ორკესტრთან გვექნება კონცერტები ოთხ ქალაქში, ისტორიულ ადგილებში. ეს კონცერტები ჩატარდება იტალიის პარლამენტის მხარდაჭერით და შემოგვიერთდება საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეც. ერთმანეთს შეხვდება ორი ქვეყნის დელეგაცია. ესაა საუკეთესო საშუალება ოპერის მეშვეობით გავაცნოთ საქართველო. ნათლად გამოჩნდება რას აკეთებს თქვენი საოპერო თეატრი იტალიური კულტურისათვის საქართველოში და თავისი მუსიკოსებით მთელ მსოფლიოში.

– **მომავალში თუ წაიყვანთ მომღერლებს, აპირებთ მათ მიწვევას?**

– ამჯერად გვჭირდება და მიგვყავს ორკესტრი. რა თქმა უნდა, ჩემი მიზანია თეატრებს შორის იყოს ურთიერთგაცვლა. შემდეგში აუცილებლად წაიყვან სოლისტებს, გუნდს, ბალეტს. თქვენი ბალეტი ფანტასტიკურია, ნინო ანანიაშვილი დიდი ვარსკვლავია. მან კარგად იცის რა უნდა და როგორ გააკეთოს. დარწმუნებული ვარ, რომ ის ქართულ ბალეტს მსოფლიო ბალეტის უმაღლეს მწვერვალებზე აიყვანს.

ვფიქრობ, დათო საყვარელიც და მე ბევრს გავაკეთებთ ოპერისათვის და ყველანი ერთად, ჩვენი ტრიო, ყველაფერს გააკეთებს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრისათვის, რადგან უდიდესი შესაძლებლობაა ეს ინსტიტუცია საუკეთესოთა შორის მოექცეს, ის მზადაა ამისთვის.

– **დიდი მადლობა საუბრისათვის.**

– სასიამოვნო იყო შეხვედრა.



თბილისი – პარიზი – თბილისი

მანანა კორძია

ახლახან პარიზში საქართველოს კულტურის სამინისტროს ეგიდით კიდევ ერთხელ გაიმართა ქართული კულტურის დღეები, რომელზეც მასშტაბურად იქნა წარმოდგენილი ქართული ხელოვნება ანტიკური ეპოქიდან დღემდე. უძველესი ხელოვნება რომ გრანდიოზულ შთაბეჭდილებას მოახდენდა, არავის გაკვირვებია. მნიშვნელოვანი იყო ის წარმატება, რომელიც თანამედროვე ხელოვნებას — თეატრალურ მხატვრობას, ფერწერას, მოდას, კინოსა და მუსიკას ხვდა წილად. მაგრამ განსაკუთრებით შთაბეჭქდავი აღმოჩნდა საღამო, რომელზეც ფრანგებს

საქართველოს ისტორია, ეთნოგრაფია, ყოფა და კულტურა წარედგინათ კინო-მუსიკალური კომპოზიციის სახით. ერთიან მხატვრულ ფორმაში გააზრებული, ბრწყინვალედ დამონტაჟებული კინო-კოლაჟი მაყურებლის წინ ემოციურად აცოცხლებდა ზღვის, მთის, უდაბნოს, ვაზისა და ღვინის მქონე პატარა ქვეყანას, რომელსაც მუდმივად, საუკუნეების მანძილზე სჭირდებოდა და დღესაც უნ-ვეს ბრძოლა თვითგადარჩენისათვის თავის უძლიერეს მებობლებთან.

პარიზიდან დაბრუნების შემდგომ პროექტი თბილისში,

კინოთეატრ „ამირანში“ იქნა ნაჩვენები და ქართველ მაყურებელსაც მიეცა საშუალება ენახა საოცარი ოსტატობით ერთ სუნთქვაზე აგებული ისტორია, რომელიც ქართული მუნჯი კინოს ეპოქის შედევრებისა (წუნუნავა, ჭიაურელი, კალატოზიშვილი, ნ. შენგელაია და სხვ.) და ო. იოსელიანის, მ. კოკოჩაშვილისა და გ. შენგელაიას ფილმების ფრაგმენტებს აერთიანებდა. ისევე როგორც მუნჯი კინოს ეპოქაში, აქაც ფილმს ცოცხალი მუსიკა უწევდა თანხლებას, რომლის ავტორი ნიკა მემანიშვილი გახლდათ. ეს იყო „ხორუმი“, თავისებური ვარიაციული ბლოკებისაგან აშენებული მონოლითურად შეკრული კომპოზიცია, რომლის დინამიზმმა, წინმსწრაფი, მოქნილი, ენერგიული, მგზნებარე რთული რიტმებითა და მეტრით აღბეჭდილმა ინტონაციურმა სვლებმა გასაოცარი ეფექტი მიანიჭეს მთლიანად ფილმს და, განსაკუთრებით, „ალავერდობის“ ფინალიდან აღებულ კულმინაციურ ეპიზოდს – გურამის ცხენით შემოჭრა უაზრობისაგან გადაღლილი, უმოქმედო ხალხის ბრბოში და მისი აღმასვლა ცად ატყორცნილი გედისყელა ალავერდის გუმბათისაკენ. ეს ის შემთხვევაა, როცა ამ ორი ენობრივი კატეგორიის (კინოსა და მუსიკის) გაყოფა მართლაც შეუძლებელია. მაგრამ ისიც უნდა ვთქვათ, რომ ტემპის ზრდასთან ერთად, მატულობდა რისკი იმისა, რომ ორკესტრი (ეგვენი მიქელაძის სახელობის ეროვნული ორკესტრის ჯგუფი, დირ. ნ. მემანიშვილი) ასცდებოდა კადრს. თუმცა, მათ სასახლოდ უნდა ითქვას, რომ სინქრონი გამოსახულებასთან უდიდესი სიზუსტით იქნა მიღწეული ბოლომდე.

მთლიანად საღამო მხოლოდ ამ კოლაჟისაგან არ შედგებოდა. იგი გიორგი უშიკიშვილის შთამბეჭდავად შესრულებული „ურმულით“ გაიხსნა. ანსამბლმა „ლაშარმა“ „წინწყარო“ შეასრულა. ორკესტრმა დაუკრა იმპროვიზაცია ბიძინა კვერნაძის „დათა თუთაშხიას“ თემაზე, ალექსი მაჭავარიანის „დოლურის“ ვერსია, სადაც დამატებულ იქნა ფორტეპიანო (ასრ. ნ. მემანიშვილი), და, ცხადია, რევაზ ლალიძისა და ვია ყანჩელის ნაწარმოებები, რომლებიც ნატო მეტონიძემ წარადგინა. იმ საღამოს იყო კიდევ ერთი სოლისტი, მევიოლინე კონსტანტინე ვარდელი, ჩვენი კვარტეტის პირველი ვიოლინო. ძალიან ღრმა აზრობრივი ფონი შექმნა მისმა დახვეწილმა ბეგრამ და ფრაზირებამ.

მთელი საღამოს მუსიკის არანჟირება და კომპოზიცია ნიკა მემანიშვილს ეკუთვნის. იმ საღამოს ის იყო კომპოზიტორი, დირიჟორი, პიანისტი.

როდესაც ნიკა მემანიშვილი საქართველოს ეროვნული მუსიკალური ცენტრის სამხატვრო ხელმძღვანელად დანიშნეს, ერთადერთი აზრი, რამაც გამიელვა, ის იყო, რომ საბოლოოდ დაიპყრო ჩვენი საკონცერტო სივრცე შოუ-ბიზნესმა. მით უმეტეს, რომ ამგვარი ტენდენცია აშკარად ეტყობა მსოფლიო საკონცერტო ცხოვრებას. ეჭვგარეშეა, ამ ახალგაზრდა მუსიკოსის ნიჭი, შესანიშნავი მუსიკალური მონაცემები, პიანოში, არანჟირების ოსტატობა. მაგრამ სკეფსისის მისი ინტერესების მიმართულება ბადებდა, რადგან ყველა ეს თვისება სრულიად სხვა სფეროში რეალიზდებოდა. სიამოვნებით მინდა აღვნიშნო, რომ ეს შიში მალე სრულიად გამიქარწყლდა, უფრო მეტიც, პროცესი შებრუნებული აღმოჩნდა – მან შოუ-ბიზნესიდან აკადემიურობისკენ „გადმოიბირა“ ნატო მეტონიძე, რომელთან ერთადაც ვარისკა ვია ყანჩელის კინო-სათეატრო მუსიკიდან ერთი მსახიობის თეატრი შეექმნა. ეს საოცრად წარმატებული პროექტი აღმოჩნდა. სცენაზე ლამაზი ხმის, მდიდარი ფერადოვანი პალიტრის მქონე მომღერალი-მსახიობი იდგა, კეთილშობილი, დახვეწილი შესრულების მანერით. ნიკას შემდგომი ექსპერიმენტი ბიძინა კვერნაძის კინომუსიკის მიხედვით კომპოზიციის შექმნა იყო. აქ ნატო ერთ-ერთი გახლდათ შემსრულებლებს შორის და არა ერთადერთი. ამგვარი ექსპერიმენტის შედეგად ახალი ცხოვრება შეიძინეს ნოდარ გაბუნიას შესანიშნავმა სიმღერებმა და რომანსებმა ნატო მეტონიძის შესრულებით, კომპოზიტორის საიუბილეო კონცერტების დასკვნით საღამოზე. ეს უკვე ნამდვილი კამერული მუსიკის ნიმუში გახლდათ. ამ ექსპერიმენტებით ნიკა მემანიშვილმა და ნატო მეტონიძემ შექმნეს საესტრადო და კლასიკური მუსიკის სინთეზის შესანიშნავი მაგალითი.

მაგრამ მხოლოდ ეს არ მიმაჩნია ნიკას დამსახურებად. იგი კონცერტიდან კონცერტამდე იზრდება როგორც დირიჟორი. მან ბევრი კლასიკური, თუ რომანტიკული და მისი შემდგომი ეპოქის განსხვავებული სტილის ნაწარმოები შეასრულა ამ ხნის მანძილზე. მის პროგრამებში მუდმივად ფიგურირებს ქართული მუსიკა, სისტემატურად ინვესტს ქართველ წარმატებულ შემსრულებლებს თავის პროექტებში. ვერ ვიტყვი, რომ ყველა კონცერტი ერთნაირად მაღალ დონეზე აუღერდა. იყო ჩავარდნებიც. (არც ერთი ხელოვანი არ გაზრდილა ფიასკოს გარეშე), მაგრამ იყო მათ შორის ისეთები, რაც სამუდამოდ დაგამახსოვრდება. ასეთებია

სულხან ნასიძის „დალაი“, ვია ყანჩელის სიმფონიები და სხვ. ეს ნაწარმოებები ჩვენი თაობის მსმენელისათვის ჟანსულ კახიძესთან ასოცირდება, დირიჟორთან, რომლის სახელთან არის დაკავშირებული ამ ნაწარმოებების საერთაშორისო აღიარება, ამიტომაც ძნელი იყო ამ ბარიერის გადალახვა. ნიკამ შესძლო ამ ფსიქოლოგიური ბარიერის გადალახვა და შედეგიც საინტერესო მივიღეთ.

მაგრამ, ვფიქრობ, ნიკასათვის, როგორც თანამედროვე ეპოქის ხელოვანისათვის, წამყვანი მაინც ინსტალაციურ-სინთეზური ხელოვნებისაკენ სწრაფვაა. ამ კონტექსტში იგი მართლაც გამორჩეულია, რაც კიდევ ერთხელ დაადასტურა მისმა კომპოზიციამ მცირე ანსამბლისათვის, რომელიც თანხლებას უწევდა მიხეილ კალატოზიშვილის მუხჯ ფილმს „ჯიმ შვანთე“ („მარილი სვანეთს“, 1930, მხატვარი დავით კაკაბაძე). ამ ფილმის დემონსტრირებით დამთავრდა ზემოხსენებული საღამო თბილისში. ფილმის ჩვენება ორი ფაქტორით იყო განპირობებული – რეჟისორის საიუბილეო თარიღის აღნიშვნა და ამ ძველი ფირის გასუფთავებული და აღდგენილი ვერსიის წარდგენა საზოგადოებისათვის. კომპოზიტორის წინაშე მეტად რთული ამოცანა იდგა. ეს იყო არა მარტო შემოქმედებითი სირთულე, არამედ ფსიქოლოგიური წნეხიც. უნდა შექმნილიყო კომპოზიცია, რომელიც შედეგად აღიარებული ერთსაუკუნოვანი ისტორიის მქონე ფილმის ეპოქის სულისკვეთებითა და ესთეტიკით იქნებოდა გააღწეული. ხელოვანს კი თავისი ეპოქის სუნთქვა ესმის. ამდენად, უნდა მომხდარიყო ამ ორი შრის გაერთიანება. სირთულეს წარმოადგენდა ფილმის შინაარსობრივი მხარეც. მიუხედავად იმ ქართველებისა და სიმძიმისა, რომელიც თავს დაგვატყდა ამ ბოლო ოცი წლის მანძილზე, ვისაც არ უცხოვრია საბჭოთა რეჟიმის მკაცრ პერიოდში, ვერ გაითავისებს იმ პრობლემებს, რომელთა წინაშეც საბჭოთა ხელოვანი იდგა. ტექსტუალური მხატვრულ აზროვნებაში მიდიოდა მძაფრი შინაგანი წინააღმდეგობრივი, ხშირად გაუცნობიერებელი ბრძოლა ღირსებასა და თვითგადარჩენის ინსტინქტს შორის, რომელსაც ხშირ შემთხვევაში თვითრეალიზაციის ინსტინქტი ენაცვლებოდა. ჩემი აზრით, ეს ფილმი ამგვარი ბრძოლის შედეგია. ვფიქრობ, ვერც ერთი დღევანდელი მძაფრსიუჟეტისანი საშინელებათა ფილმი ვერ გაუტოლდება მასში ჩაბუდებული ტრაგიზმის სიმძაფრეს. ამიტომ სარკამბულად უღერს სათაური „მარილი სვანეთს“. ფინალში ამკარად ხედავ კონიუნქტურულ ხარკს, რომელიც გაღებულ იქნა „თვითგადარჩენისათვის“!

ან, იქნებ, თვითრეალიზაციისათვის? კითხვების მთელი კასკადი ამოტივტივდება მაყურებელშიც კი... და მით უმეტეს თანაავტორში. ნიკამ, ჩემი აზრით, სწორი გზა აირჩია. განსხვავებით ფილმი-კოლაჟის მუსიკისაგან, ის თავისი კომპოზიციით არჩაერთო „ჯიმ შვანთეს“ ტრაგიკულ მართონში და „აკუსტიკური განდგომა“ ამჟობინა. მუსიკის ღინჯი მეტრ-რიტმი, დინამიკური წონასწორობა სიმშვიდეში ქარიშხლის წინასწარმეტყველების განწყობას ბადებს. მელოდიურად არამკვეთრი, მცოცავ ჰარმონიებზე აგებული ინტონაციური სვლები სვანურ ხალხურ ჰანგთან დიალოგში, მთის პირქუში ცხოვრებისა და პეიზაჟის ამსახველ შინაგანად დაძაბულ სონორულ ილუსტრაციას წააგავს. ეს ემოციური კონტრასტი ხედვით მასალასთან კიდევ უფრო ამძაფრებს ეკრანზე განვითარებულ დრამას. უნდა გამოვტყდე, რომ ჩემი დილემანტური დამოკიდებულება კინოსადმი სრულფასოვნად ამ ფილმის ნახვის შემდგომ აღმოვაჩინე. ვერასოდეს წარმოვიდგენდი მანამდე, რომ ფირის ხარისხი ამ დონეზე სერიოზულ ზეგავლენას ახდენს ფილმის აზრობრივი კონცეფციის აღქმაზე, თუ ვნებავთ შინაარსობრივი თვალსაზრისითაც კი. ეს უფრო მუსიკის თვისება მეგონა. მანამდეც რამდენჯერმე მინახავს ეს ფილმი, მაგრამ ასე მძაფრად არასოდეს აღმიქვამს. მიზეზი კი ელემენტარული აღმოჩნდა – ფილმი განახლდა, გამოსახულება გასუფთავდა და ყოველმა კადრმა სულ სხვა აზრობრივი დატვირთვა შეიძინა. ამისათვის არ შეიძლება მადლიერება არ გამოვთქვათ კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მთელი ჯგუფისა და მისი თავკაცის არჩილ გელოვანის მიმართ, რომელმაც კულტურის სამინისტროს თანადგომით იტვირთა ძველი ფილმების განახლების ეს საშური საქმე. ხუთი ფილმი უკვე აღდგენილია, დანარჩენები ელიან თავის ჯერს.

ყოველივე ამან კიდევ ერთხელ ნათელჰყო, რომ საქართველოში მცირედ, მაგრამ მაინც იგრძნობა შემობრუნება დიდი ხელოვნებისაკენ, რომ იაფფასიანი შოუ-ბიზნესის პრიორიტეტი ნელ-ნელა იკლებს, სახელმწიფოს მმართველ ელიტაშიც მოდის ღირებულებათა გადაფასების დრო, თვით ყვითელმა პრესამაც კი დაიწყო მსოფლიოში მოღვაწე ქართველ ნამდვილ ხელოვანთა „გაპიარება“ და მათი პირადი ცხოვრების დეტალების ყველაზე უფრო ფართო ფენებისათვის მიწოდება. იქნებ აქაურების დროც დადგეს...

შთაბეჭდილება

ქართული საზოგადოება მნიშვნელოვანი მოვლენის მოწვევა გახდა. თბილისის მუსიკალურ ცენტრში უძველესი ალექსი მაჭავარიანის აქამდე აუქლებული ნაწარმოების, ოპერა „მედეა“ პრემიერა.



ჩემთვის ძალიან სასიხარულოა, რომ ასეთ საინტერესო ნაწარმოებს გავეცანი.

ეს არის ალექსი მაჭავარიანის გვიანდელი ნაწარმოები, რომელიც ეხმიანება თანამედროვე საოპერო ჟანრის აქტუალურ მიმდინარეობებს. იგრძნობა, რომ ეს გახლავთ სწორედ მაჭავარიანის დარი (უნიჭიერესი) კომპოზიტორის ნაწარმოები, სადაც ემოციაც არის და ოსტატობაც. აქ არის სახეობრივი მუხტი, რომელიც ყოველთვის გაღელვებს.

ნაწარმოები გვიპყრობს თავისი გამჭოლი განვითარებით, ვოკალური ხაზის უწყვეტობით, აგრეთვე ბალანსით ვოკალს, გუნდსა და ორკესტრს შორის. ხალხური თემები გამოყენებულია ნიაღისეულად, თანამედროვე ხედვით. ახლა რომ ვუსმენთ თანამედროვე „მოდურ“ კომპოზიტორებს, ვეცნობით მათთვის დამახასიათებელ ხერხებსა და პრინციპებს, აქედან ბევრ რამეს მაჭავარიანმა საკმაოდ ადრე მიაგნო.


ზოგიერთი მსმენელი აღნიშნავს, რომ ამ ნაწარმოებში გვხვდება წარსული საოპერო თხზულებების, ვერსიების, სახელდობრ მასკანის გამოძახილი. მე ვთვლი, რომ თანამედროვე საოპერო ხელოვნებაში ჩვეულებრივად იქცა ამგვარი ხერხები.

„მედეას“ საოპერო დრამატურგია მრავალფეროვნად არის გადაწყვეტილი, თუ პირველი ნაწილი ექსპრესიულია, მეორე ნაწილი, საბედისწერო გადაწყვეტილების შემდეგ ლირიკას ეთმობა, მაჭავარიანისეულ ლირიკას. განსაკუთრებით შთამბეჭდავად გაიჟღერა საცეკვაო ნომერმა, რომელიც უკავშირდება იასონის ქორწინებას. ეს ნომერი ქორეოგრაფიულადაც მომხიბვლელად იყო წარმოდგენილი.

ოპერა „მედეა“, შეიძლება ითქვას, ახლებურად წარმოაჩენს მაჭავარიანის სახეს; რაც მთავარია, ნაწარმოები იძლევა ძალიან საინტერესო დადგმის საფუძველს.

მე პირადად, როგორც მუსიკისმკოდნეს, გამიჩნდა სურვილი გავეცნო „მედეას“ პარტიტურას, ჩავუღრმავდე მას.

ლალი კაკულია



ბადმოცემით ვიცი, რომ იყო დრო, როდესაც საოპერო პრემიერები ჩვენი ცხოვრების არცთუ იშვიათ მოვლენას წარმოადგენდა, მაგრამ ბოლო ოცნლეულის მანძილზე ყველაფერი შეიცვალა. ყოველ შემთხვევაში მუსიკალურ სამყაროში არათუ ახალი ნაწარმოების პრემიერა გახდა იშვიათი, არამედ ხშირად ძველი ნაწარმოების ხელახლა შესრულებაც კი, რაშიც გარკვეული წვლილი ამ პერიოდში გამეფებულ პოლიტიკურ-ეკონომიკურ მდგომარეობას მიუძღვის.

ამ სიტუაციის გარღვევის მხრივ საკმაოდ მნიშვნელოვანი მოვლენა გახლდათ ვახტანგ მაჭავარიანის მიერ ჩვენი სასიქადულო კომპოზიტორის ალექსი მაჭავარიანის ჯერ ოპერა „ჰამლეტი“, ხოლო ა/წლის 5 და 7 ივლისს ოპერა „მედეა“ პრემიერები. „ჰამლეტისგან“ განსხვავებით, რომელიც ფრანგენების სახით იქნა წარმოდგენილი, „მედეა“ სრულად აუღერდა თბილისის მუსიკალურ ცენტრში „ნახევრად საკონცერტო“ შესრულებით, როგორც ამას ვახტანგ მაჭავარიანი აღნიშნავს. ნახევრად საკონცერტოდ იმიტომ, რომ ნაწარმოები რეჟისორულადაც იყო გააზრებული და გლაკეს საბალეტო ნომერიც, ნუკრი მაღალაშვილის ქორეოგრაფიით, ეფექტურად იყო ჩართული. ამან ერთგვარად ხელიც კი შეუწყო დავმტკბარეყავით მისი მუსიკის მომხიბვლელობით, რაშიც შემსრულებლებს უნდა ვუმაღლოდეთ და, ცხადია, ცენტრის ხელმძღვანელობას, რომელმაც იტვირთა ამ რთული პროექტის განხორციელება. უპირველეს ყოვლისა დიდი მადლობა ეკუთვნის ლიბრეტისტს, ოპერის მუსიკალურ რედაქტორსა და თანაავტორს, კონცერტის რეჟისორს, მამამისის შემოქმედების დაუღალავ პრობა-

განდისტსა და მრავალი (განსაკუთრებით ბოლო პერიოდის) ნაწარმოების, მათ შორის ოპერა „მედეა“ პრემიერის დირიჟორს ვახტანგ მაჭავარიანს, რომელმაც შეარჩია სოლისტთა ანსამბლი: მედეა – ქეთევან ხომერიკი (სოპრანო), იასონი – ანზორ ხიდაშელი (ტენორი), აიეტი და კრეონტი – ნიკოლოზ ლავგილავა (ბარიტონი), არგოსი – გოჩა დათუსანი (ბანი), გლაკე – ნინო სამადაშვილი, ნუცა ჩეკურიშვილი (მოცეკვავე), ეროვნული სიმფონიური ორკესტრი, ეროვნული საგუნდო კაპელა – ქორმაისტერი არჩილ უშვერიძე, კონცერტმასტერი მაია ჩიქოვანი. გუნდი წარმოადგენდა იაზონის თანამგზავრებს, კოლხ დიდებულებს, მეომრებს, მედეას თანმხლებ ქალებს, მოცეკვავე გოგონებსა და ჭაბუკებს, ბერძენ დიდებულებსა და კორინთოელებს.

ოპერის პრემიერის ფაქტი კიდევ უფრო მნიშვნელოვანია იმით, რომ საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ კარგად ცნობილი კომპოზიტორის ალექსი მაჭავარიანის საოპერო შემოქმედების ბედი ქართულ მუსიკაში ერთ-ერთ დიდ „თავის ტკვილად“ შეიძლება ჩაითვალოს. მისი პირველი ოპერის წარუმატებლობის შემდეგ („დედა და შვილი“ ილია ჭავჭავაძის ერთსახელიანი პომის მიხევით, 1945 წ.) მისი ოპერები „ჰამლეტი“, „მედეა“ არც საქართველოში და არც მის ფარგლებს გარეთ არ დადგმულა.

როგორც ზემოთ ითქვა, ლიბრეტისტი ვახტანგ მა-

ორიგინალური პრემიერა

გიორგი კრავიიშვილი

თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკის თეორიის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი

ჭავარიანია, მაგრამ ყურადღება ჯერჯერობით მსურს გავამახვილო ბუკლეტზე, რომელიც მან სპეციალურად ამ კონცერტისათვის გააკეთა. ბუკლეტში თვალნათლივ ჩანს ის უდიდესი ძალისხმევა, რომელიც ლიბრეტოს მუშაობაზე დაიხარჯა. ეს არის დიდი კვლევა-ესე, დაკავშირებული მედეას სახის როგორც ფილოსოფიურ და ესთეტიკურ, ასევე მხატვრულ პრობლემატიკასთან არა მარტო მუსიკაში, არამედ მთლიანად ლიტერატურასა და



ქეთევან ხოვარია

ხელოვნებაში. მასში ჩვენთვის ძალიან ბევრი უცხო და საინტერესო მასალაა მოხმობილი. კერძოდ, მსურს გამოვყო პარალელი ნიბელუნგების ეპოსთან, რომელსაც ვაგნერამდე მივყავართ.

XXI საუკუნის გერმანელი მედიაოლოგი ლუდგერ ლუტკეჰაუსი წერს თავის წიგნში „მითოს მედეა“: „მედეამ გავლენა იქონია ნიბელუნგების ეპოსზე, სადაც თავს იჩენს ძლიერი ქალის სახე. საკმარისია მოვიყვანოთ ბრუნჰილდისა და კრიმჰილდის მაგალითები, სადაც მუქ ფერებში მოცემული ბრუნჰილდა და ღია ფერებში მოცემული კრიმჰილდა ბატონობენ. მაინც გასწირავს კრიმჰილდა საკუთარ შვილს „ორტლიჰს“ გულცივი შურისძიების სულისკვეთებით“.

მედეას სიუჟეტი პირველად ჩვენს წელთაღრიცხვამდე პირველი ათასწლეულის დასაწყისში ჩნდება და ამ ხნის მანძილზე ლიტერატურასა და ხელოვნებაში საკმაოდ მნიშვნელოვანი თემაა. აღსანიშნავია თუნდაც ევრიბიდეს „მედეა“, გერმანელი პოეტის კონრად ფონ ვიურცბურგის პოემა „ტროას ომი“, ბოკაჩოს „დიდი ქალები“, რემბრანდტის ტილო „იაზონისა და კრეუზას ქორწილი“,

ჰერბერტ დრაპერის ნახატი „ოქროს საწმისი“ მედეას გამოსახულებით, ჰელგა ნოვატის ლექსი მედეასადმი და ა. შ. მედეას შესახებ აზრები ვირგილიუსსა და ნიცმესაც აქვთ გამოთქმული.

მედეას თემა აქტუალურია აგრეთვე მუსიკაშიც. ამ სიუჟეტზე აგებული პირველი ოპერაა 1649 წელს ფრან-ჩესკო კავალის „იაზონი“, შემდეგ მას მოჰყვა მარკ ანტუან შარპენტიეს „მედეა“ (1693), ლუიჯი ქერუბინის „მედეა“ (1797), სიმონ მაირსის „მედეა კორინთოში“ (1813), რულოფ რიბერმანის „მედეას თავისუფალი სიტყვა“ (1995) და მისივე „მედეა“ (2001). ამ ოპერებიდან განსაკუთრებულ ადგილს ქერუბინის „მედეა“ იკავებს. ეს ოპერა შექმნილია ფრანსუა-ბენუა ჰოფმანის ლიბრეტოზე, რომლის ჭეშმარიტად მეორედ დაბადება უკავშირდება მარია კალასის სახელს.

მედეას თემა მუსიკაში სხვა ქანრებშიც აქტუალურია. მაგალითად XX საუკუნეში სამუელ ბარბერი ქმნის საფორტეპიანო კონცერტს „მედეას მედიტაციები“, ხოლო მაიერი კი მიუზიკლს „მედეა“.

ანტიკურ ტრაგედიას თავისი გარკვეული ტრადიციები საქართველოშიც გააჩნია. ასეთებია ალექსანდრე შავერზაშვილის ოპერა „ოიდიპოს მეფე“, ფელიქს ლლონტის ოპერა „კლეოპატრა“, სულხან ნასიძის ბალეტი „ორფეუსი“, ალექსი მაჭავარიანის №6 სიმფონია „პრომეთე“, ოთარ თავთაქიშვილის მუსიკა სოფოკლეს ტრაგედიებისათვის „ოიდიპოს მეფე“, „ანტიგონე“, იოსებ კეჭაყმაძის მუსიკა სპექტაკლისათვის „ოიდიპოს მეფე“ და ა. შ.

უშუალოდ მედეას თემაზე შექმნილი ქართული ნაწარმოებებიდან კი უნდა აღინიშნოს რევაზ ვაბიჩვაძის ბალეტი „მედეა“, არჩილ ჩიმაკაძის მუსიკა ტრაგედიისათვის „მედეა“, ბიძინა კვერნაძის ოპერა „მედეა“, ახალი რედაქციით „კოლხთა ასული“.

აღსანიშნავია, რომ ევრიბიდედან მოყოლებული თითქმის ყველგან მედეა შვილების მკვლელ დედადაა მოხსენიებული, მაგრამ არსებობს სანინაალმდეგო ვერსიაც. სწორედ ეს ვერსია გახდა აქტუალური ბოლო პერიოდის საქართველოში. ამას ადასტურებს ბიძინა კვერნაძის ოპერა „მედეას“ საფუძველზე შექმნილი ახალი ვერსია „კოლხთა ასული“.

ვახტანგ მაჭავარიანის ლიბრეტო კიდევ უფრო განსხვავებულ კონცეფციას ეყრდნობა, რაზეც მოგვიანებით ვისაუბრებთ. ალექსი მაჭავარიანმა ოპერისათვის მუსიკის შექმნა 1990 წლის ივლისში დაიწყო და მომდევნო წლის 5 მარტს დაასრულა. ოპერაზე მუშაობის პროცესზე საინ-



ვასილ ვასილანაძე

ტერესოდ ისაუბრა თვით ბატონმა ვასილანაძემ „რუსთავი 2“-ის ეთერში გადაცემაში „დილა მშვიდობისა საქართველო“: „... მე მამას 1988 წელს დავუნერე ლიბრეტო, 1989 წელს კი წავედი საცხოვრებლად პარიზში... მას შემდეგ მამას ხმა არ ამოუღია „მედეას“ თაობაზე. 1995 წლის 31 დეკემბერს მამა გარდაიცვალა..... მერე აღმოვაჩინე „მედეას“ კლავირი და პარტიტურა, როდესაც გავეცანი, გამიკვირდა, რომ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი მონაკვეთი, ანუ პირველი აქტის დასასრული არ იყო დაწერილი. ეს არის აიეთის მიერ მედეას წყევლის სცენა... ერთ მშვენიერ დილას გადავწყვიტე, რომ ამ სცენისათვის თვითონ დამეწერა მუსიკა... დავუნერე და ამოვისუნთქე... მივხვდი, რომ სწორად მოვიქციე“. ამ სცენის ჩამატებით, ვასილანაძე მაჭავარიანის აზრით, დაირღვა გარკვეული სტერეოტიპი მედეას სახისა, ანუ იგი წარმოდგენილია არა როგორც ქალი-ურჩხული, არამედ როგორც წყევლის მსხვერპლი, რაც დამახასიათებელია საერთოდ ანტიკური მითოლოგიური დრამატურგიისათვის.

გლავაკეს სახის გააზრება საბალეტო ენით, ჩვენი აზრით, ძალზედ ლოგიკური და ბუნებრივია, ბატონმა ვას-

ილანაძემ ამ საბალეტო სცენის ცოცხლად ჩართვა გამოიწვევა სახით მოისურვა ამ საკონცერტო დადგმაში. ამან ნათლად გამოკვეთა ოპერის დრამატურგიის თავისებურება.

ოპერა ალექსი მაჭავარიანმა 76-77 წლის ასაკში დაწერა, რითაც ვფიქრობთ, კიდევ ერთხელ გამოვლინდა მისი გენიალური ნიჭის დაუშრეტელობა. ამ ოპერით შესანიშნავი რომანსების, „დოლორის“, სავიოლინო და საფორტეპიანო კონცერტების, გენიალური ბალეტ „ოტელოსა“ და პირველ პერიოდში შექმნილი სხვა ნაწარმოებების ავტორი მუსიკალური ენის მხრივ სრულიად სხვა პლანში წარმოგვიდგა. ეს გასაკვირი არც არის... ოპერა „მედეა“ ხომ კომპოზიტორის შემოქმედების მეორე პერიოდში შეიქმნა, როდესაც განიცდიდა თანამედროვე მუსიკალური აზროვნებისა და ენის გავლენას. იგი 60-იანი წლებიდან თითქოს ერთგვარ წინააღმდეგობაში მოვიდა საკუთარ თავთან – ერთი მხრივ, XX საუკუნის ევროპული მუსიკის გავლენას განიცდიდა და მეორე მხრივ, რჩებოდა ტრადიციულ ლირიკოს და ტრადიციების ერთგულ კომპოზიტორად. თავისი მუსიკალური ენის შესახებ ერთ-



ანგორ ხილაპალი


ერთ ჩანაწერში თავადაც აღნიშნავს, რომ „თანდათან მდიდრდება, ღრმავდება და მძაფრდება ჩემი მუსიკალური ენა. განსაკუთრებით შესამჩნევია ეს პროცესი მეორე სიმფონიის, ხუთი მონოლოგის, „ჰამლეტისა“ და „ვეფხისტყაოსნის“ პარტიტურებში. ჩემი აზრით, იგი უფრო ლაკონური და თანამედროვე გახდა, ამასთან არ უპირისპირდება ჩემი ახალგაზრდული პერიოდის მუსიკის ძირითად თვისებებს – მელოდიურ სითბოს, გამომსახველობას და რაც მთავარია, „ეროვნულ ღირებულებებს“. ეს გამონათქვამი შესანიშნავად ხსნის „მედეას“ მუსიკალური ენის თავისებურებებს, რომელშიც ვხედავთ როგორც ქართული (მაგ. აკორდიკა, „საჭიდაოს“ გამოყენება და მალხაზის გამოსამშვიდობებელი არიის გავლენა II აქტში), ასევე თანამედროვე მუსიკის ელემენტებს, მაგრამ ეს სტილური მრავალფეროვნება კი არ აკნინებს, არამედ პირიქით, ნაწარმოების მუსიკალურ ღირსებას რამდენადმე ჰმატებს კიდევ. ამ ოპერაში აგრეთვე ისიც არის განსაკუთრებით აღსანიშნავი, რომ ოპერაში მეორე ხარისხოვანი გმირები არ არიან. არათუ ყველა პერსონაჟია პირველ ხარისხოვანი, არამედ თვით გუნდიც წამყვან პარტიად იკვეთება. ამით მაჭავარიანი ფალიაშვილის ესთეტიკის შემკვიდრედ გვეკლინება. უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ ფალიაშვილის ინტონაციური გავლენა იკითხება განსაკუთრებით II აქტში, კერძოდ იასონის სახეში.

ოპერის მუსიკა ძალზედ გამომსახველი და დინამიურია, მაგრამ გამომსახველობის თვალსაზრისით ყველაზე შთაბეჭდავია წყევლის სცენა, სადაც აიეტი მედეას საშინელ მომავალს უწინასწარმეტყველებს. ამ სცენის ღირსებას რამდენადმე ჰმატებს ის ფაქტი, რომ მისი დამწერი პროფესიით კომპოზიტორი არ არის. ამ სცენის შესახებ პრემიერამდე რამდენიმე დღით ადრე ტელეკომპანია „იმედის“ ინტერვიუში თვით ბატონმა ვახტანგმა ასე აღნიშნა: „მე მინდა ვთქვა, რომ ცუცხლს ვიღებ ჩემ თავზე, მე მომიხდა პირველი მოქმედების ფინალის მუსიკის დანერა (880 ციფრიდან ბოლომდე)... ჩემთვის უდიდესი პასუხისმგებლობაა ალექსი მაჭავარიანის თანაავტორობა“. ვახტანგ მაჭავარიანის სასახელოდ ისიც უნდა ითქვას, რომ მის მიერ დანერგილი სცენა სტილისტურად არათუ არღვევს, არამედ, პირიქით. ამთლიანებს კიდევ ოპერის მუსიკას.

ოპერა ორი მოქმედებისა და ექვსი სცენისაგან შედგება. პირველი მოქმედება კოლხეთში მიმდინარეობს და მოიცავს იასონის ჩამოსვლას, ოქროს საწმისისათვის ბრძოლას, იასონისა და მედეას გაქცევას და ფინალურ წყევლის სცენას. II მოქმედება კი კორინთოში ვითარდება



ნიკოლოზ ლაგვილავა



გიორგი ლაბუჯია

და ასახავს იასონისა და მედეას დაშორებას, იასონის და გლაკეს ქორწილსა და მედეას შურისძიებას გლაკესა და იასონზე. კოდა თვითღიარების ეპიზოდი როგორც მედეასთვის, ისე იასონისათვის. მათი სიყვარული უკვდავი აღმოჩნდა ამდენი განსაცდელის შემდეგაც კი. ამის აპოთეოზი გმირთა სიკვდილია, განაჩენია, რომელიც თავის თავს თვითონ გამოუტანეს. მიუხედავად დიდი ტრაგიზმისა, ოპერა მაჟორულად, ნათელ ტონალობაში მთავრდება, რაც ჩვენი აზრით, სიყვარულის მარადიულ სანყისზე უნდა მიუთითებდეს. ოპერის მუსიკალურ ენასთან ერთად აგრეთვე შესანიშნავი და ამავე დროს ტრადიციულია ორკესტრობა.

რაც შეეხება საოპერო სტრუქტურას, მასში ტრადიციულ ნომრებს ვერ იხილავთ, ის ხომ ქართულ მუსიკაში გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან მოყოლებული

იმ ოპერებთანაა ახლოს, სადაც ყველაფერი უწყვეტ მუსიკალურ განვითარებაზეა აგებული. ოპერის ყველა მნიშვნელოვან მომენტში ჩნდება გუნდი, რომელიც ხან პერსონაჟს ასხამს ხოტბას, ხან კი სათანადო კომენტარს უკეთებს ამა თუ იმ პერსონაჟის მოქმედებას, რაც მედეას დრამატურგიას აახლოვებს ანტიკურ ესთეტიკასთან.

ოპერის მუსიკის მიმოხილვის დასასრულს მსურს კვლავ მოვიყვანო ალექსი მაჭავარიანის სიტყვები: „ნანარმოები, რომელსაც არ გააჩნია შინაგანი მრავალნახნაგოვნება, შეზღუდულია მხოლოდ კონკრეტული დროის, თუ მოდის მოთხოვნით, მალე კვდება, კარგავს სიკოცხლის უნარს, რადგან შემსრულებელი უძღურია მას შემატოს რაიმე, აღმოაჩინოს ახალი შრეები“. „მედეასთან“ დაკავშირებით ვფიქრობთ, რომ ეს პრობლემა გადაჭრილია, უფრო მეტიც, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ქართულ მუსიკას მისი სახით კიდევ ერთი ღირსშესანიშნავი ნანარმოები შეემატა. ამგვარი ნარმატების შემოქმედნი კომპოზიტორთან ერთად იყვნენ ჩვენი ახალგაზრდა შემსრულებლები, რომლებმაც მაღალპროფესიულ დონეზე გაართვეს თავი ამ ურთულეს პარტიტურას. მათ შორის იყვნენ აღიარებული მომღერლებიც და დამწყები ვოკალისტებიც. ამ მხრივ განსაკუთრებით უნდა გამოიყოს მედეას როლის შემსრულებელი 26 წლის სოპრანო — ქეთევან ხომერიკი, რომლის დებიუტიც სწორედ ამ როლში მოხდა და მას (ბუნებრივია, სხვა შემსრულებლებთან ერთად), ვფიქრობთ, დიდი მომავალი ელის საოპერო სცენაზე. ოპერის დამთავრების შემდეგ საზოგადოების მხრიდან ხანგრძლივმა განუწყვეტელმა ტაშმა აშკარად დაადასტურა, რომ ოპერის პრემიერა შედგა და საზოგადოებამ იგი აღიარა.

ეს განცდა კიდევ უფრო გაძლიერდა საღამოს დასკვნით ეპიზოდში, როდესაც წარმატებული პრემიერის აღსანიშნავად მერიის მიერ დაწესებული ალექსი მაჭავარიანის მედლით დაჯილდოვდნენ ოპერის სოლისტები, ხოლო ვახტანგ მაჭავარიანს ევგენი მიქელაძის მედალი გადაეცა. ვფიქრობთ, რომ ამგვარი დამოკიდებულება უაღრესად მნიშვნელოვანია იმ მრავალი შეუსრულებელი ოპერის აუქტურების გზაზე, რომლებიც ჯერ კიდევ ქართულ კომპოზიტორთა არქივებში ინახება. ვისურვებდი, „მედეას“ მალე მოჰყვებოდეს სხვა აუქტურებული ნანარმოების პრემიერა, რათა მუსიკოსებსა და მუსიკის მოყვარულთ უფრო ნათელი წარმოდგენა შეგვექმნას ქართული მუსიკის განვითარების რთული და მეტად მრავალნახნაგოვანი სურათის შესახებ.

უკვდავების დასაწყისი

მე ვერ ვიტყვი პიროვნება უფრო დიდი იყო ბატონი ბიძინა, თუ კომპოზიტორი... ორივე ძალიან დიდი რომ იყო, იმიტომ შეიქმნა ის ფენომენი, ბიძინა კვერნაძე რომ ჰქვია, ვინც კი ბიძინა კვერნაძის გარდაცვალების ამბავს იგებს, უდიდეს ტკივილთან ერთად უჩნდება სახეზე ნათელი სხივი მისდამი პატივისცემის გამოხატვის ნიშნად. ბატონ ბიძინას სახელთან ასოცირებულია არაჩვეულებრივი მუსიკა და იუმორი. იუმორი ადამიანის თვისებაა, ბევრს აქვს კარგი იუმორი. ბატონ ბიძინას იუმორი კი არ ჰქონდა, ჰქონდა ამ ტიპის აზროვნება. ის ასე აზროვნებდა, ასე ფიქრობდა და ეს ყველაფერი თავისთავად აისახა მის მუსიკაში. აქ ჩანს ის, რაც მას ღმერთმა დააბურცა და მერე ჩვენ გავგიზიარა. ბატონი ბიძინა გახლდათ უდიდესი კომპოზიტორი არა მარტო საქართველოს მასშტაბით, ის მსოფლიო დონის კომპოზიტორი იყო. ეს იყო კაცი, რომლის მუსიკა პირველი ტაქტიდანვე მოგნუსხავს მსმენელს, ისეთივე წმინდა და ამაღლებულია მისი მუსიკა, როგორც თავად იყო ცხოვრებაში.

წავიდა უკანასკნელი წარმომადგენელი ოქროს ხანის დიდი კომპოზიტორებისა, იმ ოქროს ხანისა, რომელიც ქართულ მუსიკას საბედნიეროდ ჰქონდა. ეს იყო თაობა, რომელიც ერთმანეთის მუსიკით ხარობდა. ბატონი ბიძინა იყო ადამიანი, რომელზეც ოდნავი გადაბრუნებული სიტყვაც კი არავის წამოსცდენია. არავის არაფერი ახსოვს მისგან, გარდა უდიდესი სიკეთისა. იშვიათია ახლა ასეთი ადამიანები, არც მგონია, რომ ოდესმე მსგავსი პიროვნება განმეორდეს. არის გამოთქმა, შეუცვლელი ადამიანები არ არსებობენ... როცა ასეთი ადამიანები მიდიან ამქვეყნიდან, მერე ხვდები, რომ ეს არ არის სიმართლე. არსებობენ შეუცვლელი ადამიანები და ბატონი ბიძინა

ასეთი შეუცვლელია საქართველოსთვის. უდიდესი ბედნიერებაა, რომ ქართველ ხალხს დარჩა მისი მუსიკა, რომელიც ბიძინა კვერნაძის უკვდავების ტოლფასია. სანამ არსებობს საქართველო, სანამ იქნებიან ქართველები, ყოველთვის მოისმენენ და ყოველთვის იმღერებენ მის უკვდავ ქმნილებებს და ყველამ იცოდეს, ქართველები სიმღერას და მუსიკის სიყვარულს არ მოიშლიან. არ მოიშლიან იმ პატრიოტიზმს, იმ ურთიერგატანას, იმ თანადგომას, რაც ბიძინა კვერნაძის ცხოვრების წესი გახლდათ და რაც ასახული იყო მის მუსიკაში. მუსიკის სიყვარულს ჩვენში ვერავინ ჩაკლავს. ამიტომ ვამბობ, რომ ბიძინა კვერნაძე უკვდავია.

კახა ცაავაძე

დავრჩით უბიძინოთ

ძალიან მიჭირს შევეგუო იმას, რომ ამ ქვეყნად აღარ არის ადამიანი, რომელთანაც დაკავშირებული იყო მთელი ჩემი ცხოვრება, რომელსაც იმდენი სიხარული და ბედნიერება მოუნიჭებია არა მხოლოდ ჩემთვისა და ჩემი ოჯახისათვის, არამედ მთელი ქართველი ხალხისათვის.

დრო უნდა გავიდეს იმისათვის, რომ მთელი სიღრმით გავანალიზოთ ბიძინა კვერნაძის, როგორც დიდი



მუსიკოსისა და პიროვნების ცხოვრება და შემოქმედება. დრო უნდა გავიდეს იმისათვის, რომ მშვიდად და ობიექტურად შეგვეძლოს საუბარი მის შემოქმედებაზე, და ალბათ, დიდი დრო უნდა გავიდეს იმისათვის, რომ მოვიგონოთ მისი საოცარი იუმორი, რომელიც არასოდეს არ იყო უბრალო ხუმრობა. ის თავისი ხუმრობით ყოველთვის ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენებს ასახავდა.

პირველად ეს სახელი მე გავიგე ჩემთვის ძალიან ახლობელი ადამიანისგან, შესანიშნავი კომპოზიტორის გუგული თორაძისგან. მითხრა: კონსერვატორიაში ბიჭი მოვიდა, გაგაოცებს თავისი ნიჭიერებითო, თანაც რაღაც უცნაურად ნიჭიერიაო, უცნაურად საინტერესოო.

გავიდა ხანი და ბიძინას პირველად შევხვდი ჩემი მეგობრის, უნიჭიერესი ადამიანის, პეტრე გრუზინსკის ოჯახში.

პირველი მისი ნაწარმოები, რომელიც მოვისმინე, იყო საოცრად უბრალო და სადა სიმღერა „პატარა, ჩემო პატარა...“, როდესაც ის პეტრეს სახლში როიალს მიუჯდებოდა და დაკვრას იწყებდა, შეუძლებელი იყო ამის აუღელვებლად მოსმენა, ისეთი ნიჭიერება გამოსჭვიოდა მის ჰარმონიებში.

ერთხელ მოსკოვიდან ჩამოვიდნენ ბიგბენდის ხელმძღვანელი საულსკი და კომპოზიტორი კალმანოვსკი და მითხრეს: ძალიან ბევრი ნიჭიერი კომპოზიტორია საქართველოში, მაგრამ ეს მაინც რაღაც განსაკუთრებული მოვლენააო, რა უცნაური, მოულოდნელი სვლები აქვს, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელიო. მე ყოველთვის ყურადღებას ვაქცევდი მის შემოქმედებით პრინციპებს— ის ოსტატურად ახერხებდა ყოფილიყო ეროვნული, ქართული და ამავე დროს, ევროპულად დახვეწილი, საინტერესო.

პეტრესთან, ჩემთანაც ერთდროულად იკრიბებოდნენ ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული თვისებების მქონე კომპოზიტორები: ანდრია ბალანჩივაძე, ალექსი მაჭავარიანი, გუგული თორაძე, ოთარ თაქთაქიშვილი, რეზო ლალიძე, ტუხა კერესელიძე, სულხან ცინცაძე, შოთა მილორავა, გოგი ცაბაძე, სულხან ნასიძე, გია ყანჩელი, მათგან ყველასაგან განსხვავებული არჩილ ჩიმაკაძე, მაშინ ვამჩნევდი, რომ ყველანი განსაკუთრებული სიყვარულით იყვნენ გამსჭვალულნი ბიძინასადმი.

ჩემს ახალგაზრდობაში თბილისში ჩამოვიდა კონსტანტინე პევზნერი, რომელსაც უნდა ჩამოეყალიბებინას ქართული საესტრადო ანსამბლი. მე მომიწია მასთან რე-

ჟისორად მუშაობა, ამ დროს პირველი, რაც გავაკეთე — გავაცანი ბიძინა. არ დამავინწყდება პევზნერის საოცარი ალტაცება, ასე დაახასიათა: რა უბრალოდ წერს და რა გენიალურადო.

პირველი ჩემი შემოქმედებითი შეხვედრა ბიძინასთან შედგა სპექტაკლში „მე ვხედავ მზეს“, საოცრად შეეერწყა ბიძინას ლირიკა ნოდარ დუმბაძის განუმეორებელ სამყაროს, შემდეგ ვიმუშავეთ „სირანო დე ბერჟერაკზე“, „თეთრ ბაირაღებზე“... როდესაც დადგა ჩემს ცხოვრებაში მეტად მნიშვნელოვანი მომენტი, 49 წლის კაცს, აქამდე მხოლოდ დრამის რეჟისორს უნდა დამედგა ფილმი — „დათა თუთაშხია“, ცხადია, მუსიკისათვის მივმართე ბიძინას, ამაში ყველა დამეთანხმება, რომ როდესაც იწყება ფილმის შესავალი (დათას თემით), ხალხი მეორე ოთახიდან ყვირის „დათა თუთაშხია“ დაიწყეთო. ბიძინა, როგორც ნიჭიერ ქართველთა უმეტესობა, დიდი შრომისმოყვარეობით არ გამოირჩეოდა და ამიტომ დიდი ბრძოლა მიხდებოდა მასთან. მაგრამ, როდესაც მოვიდოდა და დამიკრავდა მონაკვეთებს, ტირილს ვიწყებდი, ეგრევე ვხედავდი ფილმს. ჩემს ოჯახში დაიწერა ნანოს სიმღერა „შემოდგომის ყვავილებს“, შემდგომში მთელმა საქართველომ რომ შეიყვარა: ბიძინა უკრავდა, მე ტექსტი მეჭირა და ვმღეროდი., ორივე მონდომებული ვიყავით, რომ მღერადი მუსიკა გამოსულიყო.

ბიძინასთან ერთად ვიმუშავე კიდევ ჩემს ერთ უიღბლო ფილმზე — „ნივნი ფიცისა“. აქ მან თავისი მუსიკით ქართველი ხალხის უდიდესი ტრაგედია გამოხატა.

ბიძინას იუმორი ხომ თავისთავად ცალკე თემაა. ერთი ასეთი ეპიზოდი მინდა გავისხურო: ერთხელ ბიძინას მეუღლე ნუგეშა ქალაქიდან იყო გასული. ამ დროს ბიძინას რომ ეკითხებოდნენ, — როგორა ხარო, — პასუხობდა: უნუგეშოდო. მაშინ ნუგეშა კი მალე ჩამოვიდა და ბიძინა უკვე აღარ იყო უნუგეშოდ, მაგრამ ახლა, სამწუხაროდ, მთელი საქართველო დავრჩით უბიძინოდ.

ბიძინა იყო ჩემი და ჩემი ოჯახის უახლოესი ადამიანი. მე და ქეთინო ეს დღეები სულ იმაზე ვფიქრობთ, როგორ უნდა ვიცხოვროთ ბიძინას გარეშე.

გაუთავებლად შემიძლია ბიძინაზე საუბარი, მაგრამ ყოველგვარი ზოზის გარეშე ვამბობ, რომ, ალბათ დრო უნდა გავიდეს ამ ტრაგედიის შემდეგ, რომ შევძლოთ გავაანალიზოთ ამ დიდი შემოქმედისა და პიროვნების მნიშვნელობა.

ბიძინა...

„გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“ — ეს გამოთქმა ამეკვიცა იმ წუთიდან, ბიძინა კვერნაძის იმპროვიზირებულ საუფლოში გარდასვლის ამბავი რომ შევიტყვე. ეს ფრაზა თითქოს არ მიესადაგება ადამიანებთან ურთიერთობისათვის იმგვარად ვახსნილ, სუფთა, იუმორითა და სიკეთით აღსავსე ადამიანს, როგორც ბიძინა კვერნაძე იყო, რადგან, ერთგვარად, მარტოსულობასთან ასოცირდება. მაგრამ, ვფიქრობ, რომ ბიძინას პიროვნებაში ამგვარი ვახსნილობა ყოველდღიურობაში ჩნდებოდა მხოლოდ. მკვეთრად, სიღრმისეულად კი მარტოსულის სევდა იყო მისი იდუმალი, შინაგანი სულიერი სამყაროს მახასიათებელი. ისიც კი მგონია, რომ მისი უღრვი იუმორი, სწორედ იმ შინაგანი იდუმალების დამკავი მეტაფორა იყო, რომელიც მხოლოდ შემოქმედებაში რეალიზდებოდა. მისთვის შემოქმედება ყოველდღიურობისაგან გამოცალკევებული იდუმალი პროცესი იყო, რომელსაც, როგორც წესი, მარტოობის ინტიმი ბადებს. ეს არის „სევდა ნათელი“, თავისუფალი ყოველგვარი ირონიისაგან, იუმორისაგან, პათეტიკისაგან თუ ვნებიანი ტრაგიზმისაგან.

მაგრამ ეს არ არის ორსახოვანება — ეს ჩემთვის ბიძინას პიროვნების ორგანოზომილებიანი რთული ბუნებაა. იუმორში ვაცხადებული მეტაფორა იყო მისი ყოფითი სამყაროს მსაზღვრელი. შემოქმედებაში კი მეტაფორა-იუმორს მის სულში ჩაბუდებული განცდების ნათელი სევდით აღბეჭდილი ლირიკული მეტაფორა ენაცვლებოდა, რომელიც უფაქიზეს მელოდიურ-ჰარმონიულ ქარგაში იკითხებოდა, ასე მძაფრად რომ შეიგრძნობა მის სიმღერებში, „ძველ ქართულ ნარნერებში“, ვალს-ფანტაზიასა თუ თუთაშხია-შუმანიკის ჰანგებში.

ამიტომ ვაიყურებ ჩემთვის სრულიად ბუნებრივად ფრაზამ მისი ერთ-ერთი ბოლო ტელე-ინტერვიოდან: „ყველაზე კარგად თავს მაშინ ვგრძნობ, როდესაც მარტო ვარ ინსტრუმენტთან“. დიახ, ყოფაში ბიძინა და ხუმრობა განუყოფელი მთელია, შემოქმედებაში კი მისი კვალიც არ ჩანს. აქ თითქმის ვერ შეხვდებით კომედიურ ჟანრს. მისი მუსიკა თვით კომედიურ ფილმებსაც კი ლირიკულ პოემებად აქცევს. ერთადერთი, რაც ბიძინას ცხოვრებისეული ყოფითი იუმორიდან მუსიკაში გადმოაქვს, არის სწორედ მეტაფორა, გამოთქმის ლაკონურობა და აზრის სიმკვეთრე. გაჯერებული სიკეთის უსაზღვრო მადლით, რომელსაც უხვად აფრქვევდა

ცხოვრებაშიც და შემოქმედებაშიც, მადლით, რომელიც გასწვდა სრულიად საქართველოს და თავისი წასვლით არა ტრაგიზმის, არამედ მისი მოტივების ნათელი სევდის არეალში მოაქცია ყოველი ჩვენგანი.

მანანა პორძია

მარადიული სიცოცხლის დასაწყისი

თბილისის ქუჩებში ერთი გამორჩეული პიროვნება დადიოდა, სახეზე ნათელი გადასდიოდა, დადიოდა დინჯად, აუჩქარებლად, ალაღ-მარათალი, ღიმილიანი, მადლიანი, სიკეთიანი, უბოროტო, უმურველი, უამბიციო, უპრეტენზიო., მორიდებული, თავდაჭერილი, ყველას მოყვარული, იუმორითა და სიცოცხლით სავსე, ტკბილ-მოუბარი, სულიერად ამაღლებული, უსუფთავესი პიროვნება, ღვთაებრივი ნიჭით დაჯილდოებული მუსიკოსი — ბიძინა კვერნაძე.

ჰყავდა უდიდესი სამეგობრო წრე, რომლის შუაგულშიც ტრიალებდა და ირგვლივ მყოფთ ანდამატივით იზიდავდა. მასთან ურთიერთობა ყველას აკეთილშობილებდა და სიცოცხლის ხალისს მატებდა, მისი არაჩვეულებრივი იუმორი ყველას ალაფროთოვანებდა და სიცოცხლის ხალისს მატებდა, რომელიც ისეთივე ხალასი, ელვარე და ნიჭიერი იყო, როგორც მისი მუსიკალური ნაწარმოებები.

ბიძინა კვერნაძემ სრულიად ახალგაზრდამ მიიქცია საზოგადოების ყურადღება და პოპულარული კომპოზიტორი გახდა. მისი შემოქმედება მდიდარი და მრავალფეროვანია, თითქმის არ დარჩენილა მუსიკის არცერთი ჟანრი, სადაც ბიძინას თავისი ნათელი კვალი არ დაემჩნიოს. მას ჰქონდა თანამედროვე მუსიკალური სამყაროს შეცნობის უტყუარი ალღო, მაღალი მუსიკალური აზროვნება, იშვიათი ვემოცონება, ყველასგან განსხვავებული მუსიკალური ენა, მისი მუსიკა გამოირჩევა ამაღლებული სულიერებით, იშვიათი მელოდიურობით, ლირიზმით, ის ნამდვილად ღვთის მადლით მირონცხებული მუსიკოსია.

ჯანსუღ კახიძემ ბიძინას „ქართული მუსიკის ბარათ-შვილი“ უწოდა. მისი ლირიკა მართლაც ნიკოლოზ ბარათ-

თაშვილის პოეზიის თანაზიარია. იგი ნამდვილი სახალხო კომპოზიტორია, მისი მუსიკა ყველასთვის მისაღები და საყვარელია.

ბიძინა ჩემი კარის მეზობელი იყო. მასთან ერთად 25 წელი გავატარე. ეს წლები ჩემთვის დაუვიწყარი და ყველაზე ბედნიერი წლებია.

ბიძინა კვერნაძე ხალხში სინმინდის ეტალონად დარჩა. მას არ შეხებია არანაირი ამქვეყნიური სიბინძურე და ბოროტება, იგი როგორც დაიბადა, ისეთივე ბავშვივით სუფთა წავიდა ამ ქვეყნიდან. მისი გარდაცვალება მარადიული სიციცხლის დასაწყისია.

ანგორ ერქომაიშვილი

მაჟორული მინორი . . .

...ყველასაგან განსხვავებით, საოცნებო, უზენაეს სა-
მყოფელს — ოთხი მხარის და მასთან ზესკნელის, შუა-
სკნელის, ქვესკნელის ერთობას ქართველებმა სამოთხე
უნოდეს. ამ უჩინარ სანეტარო ადგილში შელწევა იმქვეყ-
ნიურს უკავშირდება. ამიტომაც, რომ სიციცხლეში სა-
მოთხესთან კავშირი რჩეულ ერთეულთა იშვიათი სვედრი
იყო და იქნება.

...კეთილი, ბრძენი, თმენით აღსავსე ადამიანები
ქმნიდნენ და ქმნიან ცხოვრებას და მის მშვენიერებას...

ბიძინა კეთილი, მოუსვენარი დარბაისელი, თმენით
აღსავსე ფლობდა ზებუნებრივ ნიჭს იქ შელწევისა, სადაც
მშვენიერების მწუხარე და ტრიუმფალური ერთად იყრის
თავს. მას შეეძლო იქ შეესმინა სხვათა სიციცხლის
მშვენიერი ტკივილი და უკვდავ მელოდიად ქცეული აქ
ჩვენთვის საამებლად და სანუგეშოდ ჩამოეტანა. ამიტომ
არის, სამოთხესთან წილნაყარ ბიძინა კვერნაძის მელოდია
სულშიჩამწვდენად მწუხარეც და ტრიუმფალურიც. ამი-
ტომაც მისი ყოველი მუსიკალური პერიოდის ბგერა-
თა მწკრივი მაჟორში მინორის მატარებელი. ეს მისი
განსაკუთრებულობის ნიშანია, აქაურთათვის სამარადი-
სოდ დარჩენილი.

გურამ მელიძე

ჩვენი ჟურნალის წინა გვერდებზე ბევრი ითქვა იმის შესახებ, რომ ბიძინა კვერნაძე მთელი საქართველოსათვის ცნობილი და ახლობელი გახლდათ როგორც თავისი მუსიკით, თავისი ინტონაციით, მხოლოდ მისთვის ჩვეული მოსწრებული სიტყვით, აგრეთვე პიროვნული თვისებებით, განუმეორებელი სიკეთის უნარით. ამ ნომრის მომზადებამდე შევითყვეთ, რომ კომპოზიტორის ცხოვრების ერთგულ თანამგზავრს, პიანისტს, პედაგოგს, ჩვენი ჟურნალის ერთ-ერთ აქტიურ ავტორს – ქალბატონ ნესტან (ნუგეშა) მესხს ფურცელზე ჰქონია გადატანილი ბატონ ბიძინასთან დაკავშირებული ცხოვრებისეული ეპიზოდები. მივმართეთ რა მას, გადავწყვიტეთ, პერიოდულად გამოგვექვეყნებინა ეს ჩანაწერები. მაშინ რას წარმოვიდგენდით, თუ ამ ნომრის გვერდები ხალხის უსაყვარლეს კომპოზიტორთან გამოსათხოვარს დაეთმოდა. ამავე ჟურნალში ბატონი გიგა ლორთქიფანიძე გულისტკივილით ბრძანებს, რომ მთელი საქართველო დარჩა უბიძინოდ. ჩვენ შევეცდებით, „მუსიკის“ ფურცლებზე, რაც შეიძლება ხშირად, გამოასხივოს ბიძინა კვერნაძის დაუმრეტელმა ნიჭმა და სიკეთემ, რათა რაც შეიძლება ნაკლებად ვიგრძნოთ თავი „უბიძინოდ“.

ბიძინას გვერდით

ნესტან მესხი

მე და ბიძინა

მე და ბიძინა ყოველგვარი ჰოროსკოპებით შეუთავსებელი წყვილი ვართ. მე – ღრიანკალი და ვეფხვი, ის კი – ლომი და დრაკონი! მე არ ვიცი, რა გამონაკლისი შედგა ზეცათა შინა, რომ ურთიერთობის ყველანაირი პალიტრით – სიყვარულით და ჩხუბით, ერთგულებითა და ერთმანეთის გადაკეთების ყინით, აქამდე შევაბერდით ერთმანეთს.

მეუბნება: – შენ რომ ტოლსტოი ყოფილიყავი, „Воина и Мир“-ს კი არა „Воина и воина“-ს დანერდიო.

ბიძინას დიდი ხმა აქვს და ტყუილუბრალოდ ყვირილი გამოსდის, – რატომ ყვირი, კაცი იფიქრებს ამ ოჯახში ღალატი ან რაღაც უბედურება ხდებაო...

– მე ხმა მაქვს ასეთი, თორემ შენ სისინაბელა ხარ, ჩუმად იძახი: „ВОИНА“-ს, მე კი ხმამაღლა გეკამათები „Мир, Мир, Мир“-ს. ასეთია ლოღიკა!

ახალგაზრდობაში ურჩ ხელოვანთა გილდიაში პეტრე გრუზინსკისთან (ჟურნალისტი) და ლევან ჭუბაბრიასთან ერთად დრამატურგი კოლია არეშიძეც შედიოდა. მუსკომედიისთვის სცენარებს წერდა. უცოლშვილო და მოხეტიალე ტიპი იყო, დალევა მასაც უყვარდა. იმას ეუბნებოდა, შენ რომ ტოლსტოი ყოფილიყავი „Неясная поляна“-ში დაიბადებოდიო.

პეტრეს მანქანაში ტევა არ იყო. მუდამ მეგობრებით იყო სავსე. ერთხელაც მიდიოდნენ სვეტიცხოველში მისი მამის, დიდი პეტრე ბაგრატიონის საფლავის მოსანახულებლად. ამაღლებული განცდით კითხულობდნენ წარ-

სულის დიდებულ აჩრდილთა საფლაგების წარწერებს: ბაგრატიონი დაბადებული „ჩყბ...“ წელს... და ასე შემდეგ. სადღაც შუაში ამ ვეებერთელა, შთამბეჭდავ წარწერე-ბიან ლოდებს შორის პატარა შავი ქვა იდო პეტრეს მამის განსასვენებელზე.

– ეს „ზაყივალკის“ ქვა რამ დაგადებინა, შენ რომ მოკვდები, დაგანერენ დაბადებული „მძღმნ“ წელს“–ო, და ეს კრძალვით მისული კომპანია შეუკავებელი ხარხარით გამოვარდა ვარეთ.

ბატონი ალიკო მაჭავარიანი, გუგული თორაძე და მთელი ეს სახლში „არშესაშვები“ კომპანია სტუმრად იყვნენ ერთ კომპოზიტორთან.

ბიძინამ დაინახა, რომ იმ ფუჟერში, ბატონ ალიკოს რომ დაუსხეს შამპანიური, მოძრავი ობობა იჯდა და ბადეს ქსოვდა.

ბიძინამ მიუთითა – „ბატონო ალიკო, არ დალიოთ, თორემ ეს ტიპი საჯდომს ამოგიკემსავთო...“

ერთხანს, მთელ თბილისში და, რა თქმა უნდა, „მო-საშვილის“ სახლშიც უამრავი დიდი შავი, სატელიტი ტარაკები ბინადრობდნენ. მეზობლები რომ მიახამდნენ წამალს, ჩვენთან მოძვრებოდნენ. ჩვენ რომ შევუტევდით, ისევ ქვემოთ შეეფარებოდნენ.

– ბიძინა, ტკვენი ტარაკები ჩვენთან მოდის! უსაყვე-ღურა შურა შავერზაშვილმა.

– რა იცით, ფეხბურთელებივით დანომრილი არიან თუ რაო? – ეჭვი შეიტანა ბიძინამ.

ვენდეტა

ბიძინას ბაზარი რაღაც განსაკუთრებულად უყვარს თავისი სიჭრელით, ეგზოტიკით, ხალხის ყრიაშუ-ლით. გულგრილად გვერდს ვერ უვლის მუხავეების და მწვანელების რიგს. ნიყაში რომ ტარხუნა აღმოაჩინა, არ-ქიმედესავით აღმოხდა „ევრიკაო“.

ერთხელ ჯანო და ბიძინა თურქეთში გაემგზავრნენ გასტროლეტზე. ჯანოს ზღვარგადასული ნიჭიერება

ხანდახან წარმოუდგენელ ანცობაში გადაიზრდებოდა ხოლმე. საღამოს ანკარის ფემენებელურ საკონცერტო დარბაზში თავმოყრილი იყო იქაური ელიტა: ფრაკებით, დეკოლტეებით, ბრილიანტებით, თუმცა მათი მუსიკალური განათლების დონე ჩვენში მაინც ეჭვს იწვევდა.

სრულდებოდა ბეთჰოვენი, ჩაიკოვსკი, კვერნაძე და რახმანინოვი. ბეთჰოვენი, რა თქმა უნდა, იცოდნენ და დამსახურებული აპლოდისმენტებითაც დააჯილდოვეს. ჩაიკოვსკიზე მოეწყინათ, მაგრამ დამთავრებისას ბისზე იძა-ხებდნენ „ავტორა, ავტორაო“. შემდეგ შესრულდა ბიძინა. ტაშზე ჯანომ იფიქრა, სანამ დარბაზის ბოლოს ჩაყუდებუ-ლი ბიძინა აქამდე მოვა, რა გაძღესო და დარბაზს მწუხ-არედ თავდახრილმა თითით ამცნო: მკვდარიაო. ვენდეტაც ასეთი უნდა! თურქებმაც შეიბრაღეს უბედური ავტორი და ბოლოს დამოშმინდნენ. ამის შემდეგ შესრულდა რახმანი-ნოვის №2 სიმფონია, რომელზედაც „მოესმათ რა მშობლი-ური ორიენტალური ინტონაციები, მთლად გაგიყდნენ, არ ჩერდებოდნენ, „ავტორა, ავტორაო“–ო და ჯანომაც კულისე-ბიდან საზეიმო ჟესტით გამოიხმო თავისი სამწეო ნაწილის გამგე, ქუთაისელი მოცეკვავე რეზო ვაჩიბერიძე, რომელიც პენიანი გარეგნობითა და ჩაცმულობით ჰგავდა კიდევ რაღაცით რახმანინოვს. რეზომაც მშვენივრად შეიფერა გულამომჯდარი პუბლიკის ოვაციები. კონცერტის შემდეგ ვახშამზე ბევრი იცინეს და ბიძინა გამოაფრინეს თბილისში.


სამ დღეში ვიღებთ ჯანოსგან ულამაზესად შეფუ-თულ ბანდეროლს, სულმოუთქმელად ვხსნით და... რა სილამაზეა! – ქორფა ოხრახუმის ფონზე დიდებულად დევს მკლავისხელა, მუშტისთავა პრასი და აქეთ-იქიდან შემონყობილი აქვს თითო წითელი პომიდორი. ბიძინამ სასწრაფოდ დაურეკა ანკარაში – მართლა მაგარი „პრი-ბორია“, მაგრამ ეს რასპუტინის პრასი სადღა იშოვნე შე სულწასულოო!

„სულწასულოსაც“ ორაზროვნად ხმარობდა ჯანოს მისამართით.

დიდი ქართველი რევიზორები

ნოდარ გაბუნია ბორჯომის კომპოზიტორთა დასასვე-ნებელ სახლში რევიზიის ჩასატარებლად მიავლინა ვინ-ვინ და... ანზორ ერქომაიშვილი და ბიძინა!

მივიდნენ კაბინეტში. ზის ვიღაც გაბღენძილი და ქექავს რაღაც დავთრებს.



ფოტო - გუნდა ნიკასაშვილი

– რა გნებავთ! – წამოჰყო თავი.
 – მივლინებთ ვართ. ვვითხრეს, რაღაც რევიზია უნდა ჩავატაროთ, – მორიდებით აღმოთქვა რომელიღაცამ.
 – რა გვარები ხართ?
 – ეს ანზორ ერქომაიშვილია, მე ბიძინა კვერნაძე ვარ. არავითარი რეაქცია.
 – სად ცხოვრობთ? – მისამართები! გამკაცრდა ის...
 აბანოთუბანში – 23 ნომერში.
 – რას აკეთებთ?
 ამ ტიპთან ლაპარაკი აღარ ღირსო, – იფიქრა ბიძინამ და მიახალა: – მე მექისეების „ხუდრუკი“ ვარ, ეს კი ჩემი მოადგილეაო!!!

სულ ახლა ხანს...

მისმა უწმინდესობამ, საქართველოს პატრიარქმა ილია მეორემ სოსო კეჭაყმაძეს, ანზორ ერქომაიშვილსა და ბიძინას უბოძა წმინდა გიორგის ფერის ორდენი.

– ეს ყველა დროში ყველაზე საპატიო ფილდო, საპატრიარქოში საზეიმო ცერემონიაზე, თვით კათალიკოსმა შეაბა ყელზე დიდი ფართო ლენტით.

წითელ ხალიჩაზე რომ გამოატარეს ჩვენი გმირები, მე აღმოძნდა: თქვენ რა ვინძორებივით შეიფერეთ ეს ყველაფერი?

ბიძინა მომიბრუნდა და გულუბრყვილოდ შემეკითხა:
 – მართლა, ვინ ფორები ვართ ჩვენ?

ფერისწერა

ხანგრძლივად ერთმანეთს შერჩენილ მეუღლეთა შორის, საბჭოთა ეპოქის დასასრულისკენ, ფერისწერა შემოვიდა მოდაში.

ჩემი საყვარელი რძალი მაკა ძალიან მორწმუნეა, ფისასოც გაიყვანა საქმეში. იმან საერთოდ, ზნეობრივი პოლიტიკა დაგვიწუნა, – სულაც არ მინდა უკანონო შვილი ვიყო და როგორც იქნა, გადაგვიწყვიტეს ფვარი დაგვეწერა. მაკამ სთხოვა თავის სულიერ მამას – ერიდებათ და როგორმე ხალხის გარეშე ჩავატაროთ ეს რიტუალი.

მოახლოვდა დანიშნული დღე. ახალი ომის შემდგომი პერიოდი. რისი კაბა, რისი სუფრა, არაფერიც არ გვაქვს.

ბიძინამ, რომელსაც მთელი თბილისი მეგობრები ჰყავდა, „შაფერი“ ვერ აირჩია, რატომღაც „ღრმააზროვანი“

დაცვა მოიფიქრა, უხერხულია, საჩუქარზე უნდა იფიქროსო.

– აბა, არა გრცხვენია, მაგას რომ ამბობ, ვის რა უნდა შენგან, იქედან ერთ უბრალო სადილზე დავბრუნდებით სახლში და მორჩა–თქო!

გურამ მეღივა დაგვნიშნე ხელისმომკიდედ. მე მაყვს ჩემი ბიძაშვილი ცინუკი ჯანელიძე, რომელთანაც უსიტყვოდ ყველაფერი გარკვეულია.

ბიძინა, როგორც იქნა, დამყაბულდა.

ლამე როგორღაც ვერ მოვისვენე. მე კი მაქვს ბიძინას დედის ბაჯალლოს რგოლის ბეჭედი, რომელიც „სამა ბაბუამ“ (ბიძინას მამამ) გათხოვებიდან მეოთხე წელს მაჩუქა. ალბათ, იფიქრა – რაკი აქამდე გაუძლო, ანი რაღა გააგიჟებსო... მაგრამ ბიძინას ბეჭედს რაღა ვუყო? მერე ვიფიქრე, გზაში სადმე ჯიხურში ერთლარიან უბრალო ბეჭედს ვუყიდით, რა მნიშვნელობა აქვს–თქო. მზიანი კვირადღეა. ჩავსხედით მანქანაში გმირები, შვილები, მაყრები და მივდივართ კამოს ქუჩაზე პატარა ეკლესიაში.

გზაში რაღაც „по закону подлости“ ყველა მაღაზია და ჯიხური დაკეტილია. ბიძინას ახლა გაახსენდა, რომ ბეჭედი არა აქვს და მსაყვედურობს, რატომ არ იზრუნე ოქროს ბეჭედზეო. გავბრაზდი, როდის გქონდა მაგის ყიდვის თავი–მეთქი. სატყესთან ვზივარ, ჩვენი ნერვიულობა მანქანასაც გადაედო და მანევრირება დაიწყო. მივყევით, მივყევით და ეს ძლივს შესაუღლებელი ხალხი ეკლესიაში კინაღამ გავეყარეთ ერთმანეთს.

საქმე საქმეზეა მისული და, რომ მგონია, უჩემოდ სიცოცხლე არ შეუძლია–თქო, სიძე არ გავვიფიქრებო? – ცოლი რომ მომყავდა, მაშინ რას ვფიქრობდი? ახლა კიდე საიმპროვიზოდ დააკანონეო, – აპროტესტებდა.

შეშინებული ბავშვები სერიოზულად გვაშოშინებდნენ... სირცხვილი, არ გაუხდათ სახვენი, შეირთე დედაჩვენიო?!

ანერვიულებულებმა მანქანა გავაჩერეთ ეკლესია-სთან. უკვე გვიცდიდნენ მღვდელი, დიაკვანი და მგალობლები. მღვდელმა ხელი გამომიწოდა ბიძინას ბეჭედი მომეცითო.

ცუდად გვენიშნა, ყველას სახეზე ნაცრისფერი დაგვედო. ამ ერთ წამ სიჩუმეში უკვებ ფისასოს თვალები გაუბრწყინდა, ჩემი ხელჩანთის „ელვა-ზმეიკა“ სწორედ თითის ლამაზი დიამეტრის რგოლით იხსნებოდა.

– მამაო, დანა ხომ არ გაქვთო, – ჰკითხა. ბიძინას შეეშინდა აქ მკვლელობა არ ატყდესო... ფისასომ ფრთხილად მოხსნა რგოლი, რომელიც გახარებულებმა წამო-

ვაცვით ბიძინას თითზე და ღვთისა და ქვეყნის წინაშე გაცხადეთ ჩვენი სიყვარული!

სახლში ძალიან მხიარულები დავბრუნდით და არაჩვეულებრივი დროც გავატარეთ. იყო სადღეგრძელოები: გაუმარჯოს ჩვენს სულისჩამდგმელებს ჩუქას და ოქროს „ზავტრუპას“ (გურამს შეარქვა ბიძინამ, რადგან ოპერის დასის ხელმძღვანელი იყო), ჩვენს ჭკვიან, მუდამ სახეზე დარიან — ანუ სახედარ ცინუკის და მის იშვიათად კეთილშობილ, წყნარ, უხმო მეუღლეს — ანუ პირუტყვ ბიჭვოს — სულ მძივებით იფრქვეოდა ქათინაურები...

„მამა ენა“

საირმეში ვისვენებდით ჟანრი ლოლაშვილი, ბიძინას სკოლის მეგობარი არაჩვეულებრივი პიროვნება თენგიზ ხოსიტაშვილი და ჩვენ. ქართული ენის პიგიენას ვიცავდით მარტო თენგიზი და მე. ამ კომპანიას სასიეროდ ნაკლებად უცალა. მწვადებით კი ყოველდღე მიმასპინძლებოდნენ, მაგრამ ვსერიანობდი მარტო. ერთხელაც დაუყუვე ტყისპირა გზას. უღამაზესია, სურნელოვანი და წყნარი. მიგდივარ, ვხედავ, რუს ქალს მოაქვს მთელი დიდი მწვანე ბუჩქი, რაღაც ნაძვისმავგარი ბალახი. ვიფიქრე, ალბათ ტყუილად არ მოკრეფდა ამდენს-მეთქი.

– Простите, что это вы собрали? – Это полевой хвощ.

– ааа!.. გავონილი მქონდა უებარიაო თირკმლები-სათვის. А где можно его найти?

– Немного дальше целая поляна.

ნაბიჯს ავუჩქარე, თითქოს ვინმე წამართმევდა. რაც ხელები მეყო, მოვკრიფე, გულზე მივიდე და ძლივს ვხედავ გზას. ვფიქრობ: რა ბრძენია რუსი ხალხი, სიტყვის ფუძეში როგორ დებს მთელ აზრს. როგორ ზუსტად მივითითებს хвощ – это мощь! значит хлещет по почкам и выгоняет камни, браво хвощ, браво!

ამ რუსულ ფიქრებში გართული უკან მოვდივარ. შემომხვდა სანდომიანი ქართველი ქალი და მეკითხება: ქალბატონო, სად იპოვეთ შვიტა?

– შვიტაა? – რა ლამაზი სიტყვაა... არ ვიცი, თუ შვიტა ერქვა. ცოტა სიღრმეში რომ შეხვალთ, შეხვდებით, ბევრია.

„შვიტა“... როგორ ჟღერს, რა მუსიკალურად, როგორც პროკოფიევის „Наваждение“-ს შემდეგ დებუსის „მთვარის მუქი“. მაინც, რა უხეში ხალხია რუსები, — შე-

მოვებრუნე ფიქრები, — იმიტომ, რომ მაგათი ჩექმა ასე ეზარება მთელ მსოფლიოს. სად „хвощ“ და სად შვიტა, პირდაპირ მარტო სიტყვაც მოვარჩენს. ვფიქრობ და წინ შემეფეთა ორი სქელი, შავებიანი, ცოტაც წვერებიანი ქალები. წინა დღით პარკში ერთ „სკამიკაზე“ გავორებულეყვნენ თავშექცევით და ჩრდილსა და ნიაჭში გემრიელად ფშვინავდნენ, თან მაზოლიან ფეხისგულეებსაც იგრილებდნენ. გაფლაშული ფეხსაცმელები იქვე ეყარათ.

– ე გოგო „დათვის ფანჩარი“! — აკრა მუჯღუგუნე ერთმა მეორეს, — სა ნახე ქალბატონო მაი დათვის ფანჩარი? — ჩქარ-ჩქარა მეკითხებიან.

ვაი მე... какой образ...

სახლამდე კინალამ გავიგუდე. სიცილით გაბობილი მივფრინავ, რომ ჟანრისთვის წარმომედგინა ეს სცენა.

– ხვალ მაგ ქალებს პარკში იცნობ? წარმოიდგინე, კიდევ რამდენი კაი რამეები ეცოდინებათ?! გინებას მონყურებული ჩვენი „ჩრდილოვანი ლექსიკოლოგები“ მეორე დღესვე მორჩილი შეგირდებით პირში შესცქეროდნენ უკომპლექსო „ფოლკ-მეტრებს“, გულით ხარხარებდნენ და სიამოვნებით იღებდნენ ფოტოსურათებს, იმდიდრებდნენ და ხვენდნენ ბიძინას საყვარელ „მამა ენას“.

ბიძინას იუმორი ხშირად სკაბრუზულია, მაგრამ კოსმეტიკა არ უხდება. მეც აღარ ვთავილობ და მოგანოდებთ მის გამონათქვამებს „დედანში“ ანუ „მამაენასთან“, როგორც ეძახის, აუცილებელი თანაარსებობით. თუმცა კი ბოდიშს გიხდით ამისთვის, მაგრამ რა გაენყოზა, თუ დედანი ასეთია.

დედაჩემი და ბიძინა

დედასა და ბიძინას შორის ძალიან დელიკატური დამოკიდებულება იყო. ვინ იცის, ვულში რას ფიქრობდა ბიძინა, მაგრამ მისგან ისეთ სიყვარულს და მზრუნველობას ვრძნობდა, რომ იძულებით თავის ჩვეულ ლექსიკას ვერ სმარობდა.

დედა ხშირად ჩამოდიოდა ქუთაისიდან — დატვირთული ნაირ-ნაირი ნუგზარით. ბიძინას ერთი დიდი გაჭირვება შეემატა — დილის 6 საათზე სადგურზე სიდერის დახვედრა. რა ექნა, მოჭრილ უარს ვერ ამბობდა, მაგრამ ტელეფონით დამდეგი დილის ტრაგედიაზე ყველა მეგობარს ატყობინებდა სათანადო კომენტარებით...

დილას ბურდღუნით იღვიძებდა „ახლა ადექი, ჩაიკვი, ტაქსი დაიჭირე და იკატავე, როცა მთელ ქვეყანას ძინავს!“

სადგურზე მბჟუტავ ნათურებში დამხვდურების ლანდები, პერონის ძებნა, ლიანდაგის ძებნა, ნერვული ბოლთისცემა... მერე ელმავალიც შემზარავად მოაკივლებდა. ამას მოჰყვებოდა დიქტორის ყიყინა ხმა: „მატარებელი №9 ჩამოდგება X ლიანდაგზე“.

– ხომ არ იცით, – თვითონ არ იცის, ვის ეკითხება ბიძინა, – სად დადგება მე-3 ვაგონი? აქეთ თუ იქით, „იდი, გადაი“!

სირბილი, ქშენა. ბოლოს და ბოლოს, მოუხერხებელი კიბეებიდან ძლივს გადმოდიან ხაბაკში ჩაჭედილი მგზავრები და იწყება აქეთ-იქით სახელების გადაძახილი. ბარგიანი ხალხი ღორღიანი შავი მდინარესავით აწყდება ტაქსის რიგს და იწყება სიდედრების გაცვლა-გამოცვლა, არა, შენია, არა ჩემიო!

– თქვენ შვილს რა ჰქვია?

– არა, ის სხვა თამარია, უფ, უფ, გათენდეს მაინც, დაინახო ვინ მიგყავს სახლში!

– სხვისია? თქვენ რა გედოთ, გოჭი?

– მიიჩოჩეთ ბატონო, მიიჩოჩეთ, ეგერ ურიგოდ ნევიდა ვინცხა, ეირია სუმკები ერთმანეთში და მიხვთი ახლა, რომელი ვისია! წესრიგს ამყარებს ვიღაც.

– გოჭიც ქე მედო და ხაჭაპურებიც, მარა ამ სიბნელეში დეინახავ რამეს? – ბუზღუნებს შუახნის, ეტყობა, რომ გამოუძინებელი კაცი...

...რიგში უკვებ ვიღაცის ჩანთამ დაიწყო ხტომა. დაბნედილ ბიძინას ეგონა ჰალუცინაციები დამეწყოო, მაგრამ დახეტ, ფეხებშეკრული რევოლუციონერი წითელი ქათამი ამოხტა, გმირულად გაბრძოლა და განწირული კაკანით თავისუფლება მოითხოვა!

ამასობაში თენდება, ტაქსის რიგიც თხელდება. მარჯვე სიძეები უკვე სახლებში არიან.

– ოჰ, ქალბატონო თამარ, აქა ხართ? ბოლოს და ბოლოს მიაგნო „პოზნი“ ბიძინამ სიდედრს, დაბრძანდით, – ფაქიზად მოკიდა ხელი გოჭიან ჩანთას და ცხრის ნახევარზე ძლივს მოვიდნენ სახლში.

მერე ბიძინა მთელი დღე შუშდებოდა ძილში... მშვენიერი საუზმე, მთელი აზბით გაფორმებული სადილი – უბიძინოდ... დედას რბილი საყვედური: გენაცვალე, არ გვინდოდა უშენოდ დაჯდომაო.

– რა, ორკესტრის რეპეტიციაა, რომ ყველა ერთად დავედეთ? გაიკვირვა ოჯახის ტრადიციებთან ჯერ კიდევ მოუშინაურებელმა ბიძინამ.

ღამე კი ყველას ურეკავდა ტელეფონით – ქუთაისელი ქალი არ მოიყვანოთ, სანამ „რასპისანიე“ არ შეიცვლებაო.



მუსიკალური ფესტივალების კალიდოსკოპი

გულზათ სორაძე

მუსიკალური ფესტივალები, რომლებიც, უკვე რა ხანია, ტრადიციულად იმართებიან თბილისის საკონცერტო დარბაზებში შემოდგომითა და გაზაფხულობით, ჩვენი დღე-დაქალაქის კულტურული ცხოვრების განუყოფელ და ფრიად სასიამოვნო ნაწილად იქცნენ.

ამ კონცერტებზე ხშირად ვეცნობით ქართველი (და არა მხოლოდ ქართველი) კომპოზიტორების ახალ ნაწარმოებებს, ვისმენტ მსოფლიოში აღიარებულ ჩვენ მუსიკოსებს, აგრეთვე ცნობილ (ზოგჯერ, ჩვენივე უცნობ) უცხოელ მუსიკოს-შემსრულებლებს, დიდი ინტერესითა და თანაგრძნობით ვადევნებთ თვალს ნიჭიერი ახალგაზრდული თაობის წარმომადგენელთა წარმატებებს, რაც კმაყოფილების გრძნობას გვანიჭებს დღეს და კიდევ უკეთესი იმედებით გვაგვებს სამომავლოდ.

ამ მხრივ, გამონაკლისს არ შეადგენენ გასული წლის შემოდგომისა და ამ გაზაფხულის „მუსიკალური

მარათონები“, რომლებმაც მდიდარი და მრავალფეროვანი მხატვრული შთაბეჭდილებებით დაგვაჯილდოვეს. ტუმბარიად, ეს იყო, როგორც ფრანგები იტყვიან, ნამდვილი „embarra de richesses“ – „გასაჭირი სიმდიდრისაგან“.

ალბათ, გასაგებია, რომ ჩვენ მიმოხილვაში ამ მრავალფეროვანი პანორამიდან საშუალება გვაქვს შევიჩერდეთ მხოლოდ ზოგიერთ მათგანზე, მით უმეტეს, რომ კონცერტები ხანდახან პარალელურად იმართებოდა.

მაშ, ასე, დავინყოთ ბატონ ჯანსუღ კახიძის მიერ დაარსებული ფესტივალთ „თბილისის მუსიკალური შემოდგომა“, რომელსაც უკვე წლების მანძილზე წარმატებით უძღვება მისი ვაჟი დირიჟორი ვახტანგ კახიძე.

ვ. კახიძის მიერ ჩატარებული ბოლო ფესტივალის უდავოდ ცენტრალურ მოვლენად: იქცა გამოჩენილი კომპოზიტორების იოსებ კეჭაყმაძისა და იოსებ ბარდა-



იოსებ კეჭაყმაძე

ნაშვილის შემოქმედებითი საღამოები.

ქართული საგუნდო მუსიკის სიდიადისა და მშვენიერებას ეზიარა ყველა, ვინც კი იმ საღამოს თბილისის საოპერო თეატრში გამოჩენილი კომპოზიტორის იოსებ (სოსო) კეჭაყმაძის შემოქმედებისადმი მიძღვნილ კონცერტს ესწრებოდა.

როგორ ავწეროთ რამდენიმე სიტყვით უმდიდრესი შთაბეჭდილებები, რომლითაც დაგვაჯილდოვა ამ დაუვინყარმა საღამომ? — აქ იყო მაღალი რელიგიური გრძნობებით შთაგონებული მუსიკაც, ჩვენი ბედკრული ხალხის საუკუნოვანი სევდითა და, ამავე დროს, მისი გაუტეხელი სულის გამონათებით აღბეჭდილი ქმნილებები, ხალხური იუმორის (ზოგჯერ, გროტესკის ელემენტებით) გაბრწყინების ეპიზოდებიც — მოკლედ, ადამიანური განცდებისა და განწყობილებების მრავალფეროვანი გამა.

სრულდებოდა ი. კეჭაყმაძის, როგორც ძველი, კარ-

გად ნაცნობი, ისე ახლად შექმნილი ნაწარმოებები, რომლებმაც კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა კომპოზიტორის უბერებელ ნიჭიერებასა და საგუნდო წერის დიდოსტატურ ხელოვნებაში.

საჭიროდ ვთვლი მკითხველს შევახსენო ი. კეჭაყმაძის უმთავრესი ნაწარმოებები (საგუნდო ციკლები), რომლებმაც მას ქართველი ხალხის სიყვარული მოუპოვა და ისეთი საპატიო ფილდოებით აღინიშნა, როგორებიცაა შ. რუსთაველის, ზ. ფალიაშვილის, საქართველოს სახელმწიფო პრემიები. ესენია (ქრონოლოგიურად) „ფშაური იდილიები“, „ძველი თბილისის სიმღერები“, „დავითიანიდან“, 20 გუნდი ი. ჭავჭავაძის ლექსებზე, საეკლესიო გუნდები და საგალობლები (50-მდე), დაწერილი სიონის საკათედრო ტაძრისათვის, შესანიშნავი მიუზიკლი „არსენას ლექსი“, მუსიკა დრამატული სპექტაკლებისათვის. ყველას გვახსოვს, რომ ი. კეჭაყმაძეს ეკუთვნის ზ. ფალიაშვილის მუსიკის საჰიმნო ვერსია, რომელიც 2004 წლიდან დამტკიცდა საქართველოს სახელმწიფო ჰიმნად.

ქართველ მსმენელს, ცხადია, ვერ გააკვირვებ საგუნდო მუსიკის მშვენიერებით. უნიკალურ ხალხურ მუსიკას რომ თავი დავანებოთ, ყველას გვახსოვს ზ. ფალიაშვილის, ნ. სულხანიშვილის, შ. მშველიძის, ო. თაქთაქიშვილისა და სხვათა საგუნდო ჟანრის კლასიკური ნიმუშები, მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ ამ დიდებულ ფონზედაც კი ი. კეჭაყმაძის ქმნილებები, გამოირჩევიან თავის თვითმყოფი მხატვრული და მუსიკალურ-ტექნოლოგიური ღირსებებით. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი იუბილარი ამ საქმის ნამდვილი ვირტუოზია, რომელიც ფლობს საგუნდო წერის უმდიდრეს და უახლეს არსენალს, კერძოდ, ე. წ. სონორული (წინათ რომ ფონიკურს ვწოდებდით) ხმოვანებებისა და კომპლექსების ვარიანებისა და კომბინირების ტექნიკას.

კონცერტი, რომლის შესახებაც ვწერ, გაიხსნა ჩვენი კომპოზიტორის დიდი წინამორბედის ნიკო სულხანიშვილის გენიალური „ქორალით“, რასაც მოჰყვა კეჭაყმაძის საგუნდო ნაწარმოებების შესრულება.

შემსრულებლად კი მოგვევლინენ შესანიშნავი ლობაზრები: ვახტანგ კახიძე (დიას, ჩვენი ცნობილი დირიჟორი, რომელიც იმ საღამოს კონცერტის ნამყვანი მუსიკისმცოდნის ფუნქციასაც ითავსებდა), ქუთაისელი ქალბატონი ირინა ლომინაძე და ჩვენებური ლია ჭონიშვილი. ყველა მათგანი უმაღლეს შეფასებას იმსახურებს.

რაც შეეხება კონცერტში მონაწილე საგუნდო კო-



ელისო ვისსალაძე

ლექტივებს, პირველი მათგანი გავიცანით შარშან გაზაფხულზე და ძალიან კმაყოფილებიც დავრჩით. ეს გახლავთ ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის სამუსიკო სასწავლებლის დიდი, ჩინებული გუნდი, რომლის მსგავსი ახალგაზრდული მუდმივმოქმედი გუნდი თბილისშიც არ გვყავს და მეორე – ჩვენი ნიჭიერი ქალბატონის (კონსერვატორიის პროფესორის) ლია ჭონიშვილის მიერ სპეციალურად ამ კონცერტისათვის ორგანიზებული საფესტივალო გუნდი (კონსერვატორიის სტუდენტთა და კურსდამთვრებულთა, აგრეთვე სახელმწიფო კაპელისა და საოპერო თეატრის გუნდის წევრთა შემადგენლობით), რომელმაც გაგვაკვირვა თავისი მაღალი პროფესიული დონით.

მადლობა ბატონ სოსო კეჭაყმაძეს, ვახტანგ კახიძესა და კონცერტის ყველა მონაწილეს ჩვენთვის მონიჭებული ესთეტიკური და მორალური კმაყოფილებისათვის.

ჩვენ ვამაყობთ შესანიშნავი კომპოზიტორით, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწით, ზ.ფალიაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატით იოსებ (სოსო) ბარდანაშვილით, რომელიც დაიბადა და დავაჯკაცდა საქართველოში (ბათუმის მკვიდრმა, მან 1973 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია პროფ. ა. შავერზაშვილის ხელმძღვანელობით), ხოლო 1995 წლიდან ცხოვრობს და მოღვაწეობს ისრაელში, სადაც ფართო აღიარება მოიპოვა და ამჟამად თელავის მუსიკალური აკადემიის (კონსერვატორიის) პროფესორია.

ჩემ შეკითხვაზე, თუ რამ განაპირობა მისი გადასახლება ისრაელში, ბატონმა სოსომ ასე მიპასუხა: – პირველი ვარემოება, ცხადია, იყო „სისხლის ყვილი“ (ჩემი წინაპრები მუდამ სახლობდნენ ისრაელში), მეორე ვარემოება კი – ის უაღრესი სიძნელები საკუთარი შე-

მოქმედებითი თვითრეალიზაციის საკითხში, რომლებიც შეიქმნა საქართველოში გასული საუკუნის 90-იან წლებში. ცხადია, რომ ძნელი გადასადგმელი ნაბიჯი იყო ჩემთვის ხომ ქართული ენა, როგორც სალაპარაკო, ისე მუსიკალურიც (!), პირველი და მშობლიური იყო და ახლაც ჩემ მუსიკაში ცოცხლობს ქართული ინტონაცია.

—ჩემი მხრივ, დავამატებ, რომ ისრაელში სოსომ საერთაშორისო აღიარება მოიპოვა. იგი რამდენჯერმე დაასახელეს წლის საუკეთესო კომპოზიტორად, მისი ნაწარმოებები სრულდება სხვადასხვა ქვეყანაში. იგი ხშირად ჩამოდის საქართველოში, მართავს კონცერტებს, ატარებს მასტერ-კლასებს კონსერვატორიაში და ა.შ.

ი. ბარდანაშვილი სხვადასხვა ჟანრის მრავალი ნაწარმოების ავტორია, რომლებშიც ორგანულადაა შერწყმული ებრაული და ქართული ხალხური მუსიკალური კულტურის ნიშნები. ამაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, როდესაც „თბილისური შემოდგომის“ კონცერტების სერიალში გაიმართა მისი შემოქმედებითი საღამო.

თავისი შემოქმედებითი საღამოს პროგრამისათვის კომპოზიტორმა შეარჩია ის ნაწარმოებები, რომლებიც ეხმიანებიან ცნობილ ტრაგიკულ ამბებს საქართველოში. ასეთებია: სიმფონია №2 (2001), „ლოცვები“ ხმისა და ორკესტრისათვის (1998), „დილოგები“ ჩელოსა და ორკესტრისათვის (2001) და „ელეგია“ (1996).

ყველა ზემოთხაზოვლილ ნაწარმოებს აერთიანებს მძაფრი დინამიკური პულსი, დიდი დრამატიზმი, რომელთაც პერიოდულად ენაცვლება ნაღვლიანი და ამაღლებული მუსიკის ფურცლები.

ხსენებული დრამატურგიული პრინციპი განსაკუთრებით მკაფიოდ გამოვლინდა მასშტაბურ, ძალზე კონცენტრირებულ სიმფონიაში, რომელსაც მრავალსიმეტყველი სათაური აქვს — „გზა იერუსალიმისაკენ“ და შესანიშნავ „ლოცვანში“. ეს უკანასკნელი ბრწყინვალედ შესრულა ისრაელელმა მომღერალმა ეტი ბენ ზაკენმა. ნაწარმოებში საძი ნაწილია: „დილის კურთხევა“, „წმინდა ლოცვა“, „სიმღერა“ ეკლესიასტეს ტექსტზე, რომელშიც მკვნესარე ინტონაციები თანდათან შთავგონებულ არიოზულ გალობაში გადაიზრდება.

ამ მუსიკალური შედეგით, რომელსაც უდიდესი წარმატება ხვდა წილად, დასრულდა კონცერტი, მაგრამ მსმენელებმა სიამოვნება მიიღეს მანამდე შესრულებული ნაღვლიანი „ელეგით“ და, განსაკუთრებით, სავიოლონჩელო „დილოგებითაც“, რომლებიც დაუკრა ცნობილმა ებრაელმა მუსიკოსმა ცვი პლესერმა. განსაკუთრებით

შთაბეჭდავად გაისმა მაღალი რელიგიური სულით გამსჭვალული უკანასკნელი ტაქტები...

29 სექტემბერს დაიხურა მუსიკალური ფესტივალი „შემოდგომის თბილისი“, კონცერტის პროგრამა შეიცავდა მოცარტის მე-40 სიმფონიასა და როსინის საოპერო ნაწყვეტებსა და საგუნდო ნაწარმოებებს. დირიჟორი — ვ. კახიძე. კონცერტში მონაწილეობდნენ თბილისის კონსერვატორიის სტუდენტები და მაგისტრანტები და საგუნდო-სადირიჟორო კათედრის გუნდი (ხელმძღვანელები ლია ჭონიშვილი და არჩილ უშვერიძე).

უმაგალითო იყო, როგორც ძალზე მაღალი საშემსრულებლო დონით, პროგრამების სიახლით და მრავალფეროვნებით სასულე საკრავთა ფესტივალი, მისი დამფუძნებელი და სამხატვრო ხელმძღვანელი გახლდათ ახალგაზრდა ნიჭიერი კლარნეტისტი — თბილისის კონსერვატორიის აღზრდილი ლევან ცხადაძე. იგიც და მისი მეგობრებიც დიმიტრი სტავრიანიდი (ფლეიტა), ვიორგი გვანცელაძე (ჰობოი), თემურ ბუხნიკაშვილი (ფაგოტი) — ამჟამად ევროპული ქვეყნების ცნობილ საშემსრულებლო კოლექტივებში მოღვაწეობენ. მათთან ერთად კონცერტებში მონაწილეობდნენ სპეციალურად მონწვეული ევროპელი, უმაღლესი კლასის სასულე საკრავებზე დამკვრელები და აგრეთვე ჩვენი ნიჭიერი ახალგაზრდა პიანისტები და მევიოლინეები.

კონცერტებმა დიდი ინტერესი გამოიწვია და შესაბამისი შეფასებაც დაიმსახურა.

ჩვენმა შეუდარებელმა ელისო ვირსალაძემ თავის მუდმივ შესანიშნავ პარტნიორთან, გამოჩენილ მუსიკოსთან — ნატალია გუტმანთან ერთად შესრულა ბეთჰოვენის სონატები (№№ 1, 2, 4, 5) ჩელოსა და ფორტეპიანოსათვის.

მე ვიტყოდი, ეს იყო უმაღლესი ესთეტიკური „სინჯის“ კონცერტი. შემდეგ კი გაიმართა პროფ. ე.ვირსალაძის კლასის (მოსკოვისა და მიუნენის კონსერვატორიებში) სტუდენტთა კონცერტი.

ძალზე ნაყოფიერი და შინაარსიანი გამოდგა კამერული ანსამბლების მე-4 ფესტივალი, რომლის ორგანიზატორად მოგვევლინა საქართველოს მუსიკალური საზოგადოება (თავმჯდომარე — მანანა ახმეტელი).

ჯერ იყო და თავისი ხელოვნებით დაგვატყბეს ჩვენმა უკვე სახელმოხვეჭილმა ახალგაზრდა მუსიკოსებმა ხატია ბუნიათოშვილმა (ფორტეპიანო) და ვიორგი ხარაძემ (ჩელო), რომლებმაც მშვენივრად შესრულეს ჩელოსა და ფორტეპიანოს საანსამბლო რეპერტუარის ცნობილი ნი-



ლიანა ისაკაშვილი

მუშები: ბეთჰოვენისა (№2) და შოპენის სონატები, შუმანის 5 პიესა ხალხურ თემებზე.

შემდეგ კი დიდი სიამოვნება მოგვანიჭეს თავისი ანსამბლით თამარ ლიჩელმა (ფორტეპიანო), მანანა ქანთარია (ვიოლინო), ირინა ხოშტარია-ჯაიანმა (ალტი) და ოთარ ჩუბინიშვილმა (ჩელო).

შესრულდა ბეთჰოვენის საფორტეპიანო ტრიო №3, ბრამსის ანდანტე (საფორტეპიანო კვარტეტიდან №3) და ფინალი (საფორტეპიანო კვარტეტიდან №1), აგრეთვე – მენდელსონის საფორტეპიანო ტრიო.

ო. ჩუბინიშვილი რომ მაღალი კლასის დიდებული მუსიკოსია – კარგადაა ცნობილი, ასევე – ჩინებული მუსიკოსი და პროფესიონალია მევიოლინე მანანა ქანთარია, გაგვაკვირვა თამარ ლიჩელმა, რომელიც შეიძლება ითქვას, კონცერტიდან კონცერტამდე იზრდება, წარმატებები აქვს, როგორც სოლო (ამ ზაფხულს „გრანპრი“ მოიპოვა იტალიაში პიანისტთა საერთაშორისო კონკურსზე), ისე საანსამბლო დაკვრაში. კონცერტზე მან ბრწყინვალედ შეასრულა თავისი პარტია ყველა ნაწარმოებში. კოლეგებს ღირსეული პარტნიორობა გაუწია ირინა ხოშტარია-ჯაიანმა.

სამწუხაროდ, ვერ დავესწარი კიდევ ერთ კამერულ

კონცერტს იმ მიზეზით, რომ პარალელურად გამართა კონსერვატორიის სტუდენტთა სიმფონიური ორკესტრის კონცერტი რევამ ტაკიძის დირიჟორობით.

სტუდენტთა ორკესტრი, ისევე როგორც სოლისტი – მე-3 კურსის სტუდენტი გვანცა ზანგალაძე (პედაგოგი – პროფესორი სვეტლანა კორსანტია) უკრავდნენ როგორც ნამდვილი, გამოცდილი პროფესიონალები – მწყობრად, მტკიცე ანსამბლით, ტემბრული გამომსახველობით (სრულდებოდა მოცარტის უვერტიურა ოპერისათვის „ფიგაროს ქორწინება“, ბეთჰოვენის მე-4 საფორტეპიანო კონცერტი და მე-7 სიმფონია).

უნდა აღინიშნოს რ. ტაკიძის დამსახურება, რომელმაც დიდი შრომა გასწია ამ კონცერტის მომზადებისათვის (მოსდა ფრიად იშვიათი ამბავიც: დარბაზის მოთხოვნით სიმფონიის ფინალი განმეორებით შესრულდა!).

კამერული მუსიკის ფესტივალის დაგვირგვინებისას საქართველოს სახელმწიფო კვარტეტმა უმაღლეს ნიშნზე შეასრულა შუბერტის, შოსტაკოვიჩის (№3) და ზურაბ ნადარეიშვილის №1 კვარტეტები. კიდევ ერთხელ დავრწმუნდით ქართველი კომპოზიტორის ამ ნაწარმოების (1987) მაღალ მხატვრულ ღირსებებში. ველით მისი სხვა ნაწარმოებების შესრულებას!



იოსებ ხარაჯანაშვილი

მოგვეწონა ჯაზ-ტრიოს კონცერტიც დავით მაზანაშვილის (ფორტეპიანო), ნოდარ ექვთიმიშვილის (კონტრაბასი) და ვია სალაღიშვილის (დასარტყამი საკრავები) მონაწილეობით, რომელთაც ბოლოს შეუერთდნენ სახელმწიფო კვარტეტის მუსიკოსები (!).

ახლა კი ბოდიშს მოვიხდის საშემოდგომო მუსიკალური მარათონის იმ მონაწილეების წინაშე, რომლებიც ჩვენი მიმოხილვის შებლდულ ფარგლებში ვერ მოხვდნენ.

როგორც მუდამ, ფრიად საინტერესო და შინაარსიანი იყო კონსერვატორიის დიდ დარბაზში ჩატარებული XII საერთაშორისო ფესტივალი „სახალწლო მუსიკალური შეხვედრები“. ძველ ნაცნობებთან – გამოჩენილ ქართველ, ასევე, ცნობილ უცხოელ მუსიკოსებთან ერთად, შევხვდით ნიჭიერი ახალგაზრდობის წარმომადგენლებს, რომლებიც, შეიძლება ითქვას, ჩვენ თვალწინ იზრდებიან შემოქმედებითად და გვახარებენ ახალი მშვენიერი მიღწევებით საშემსრულებლო ასპარეზზე.

ფესტივალი გაიხსნა გამოჩენილი ქართველი მომღერლისა და პედაგოგის – ბატონ ნოდარ ანდლულაძის ყოფილი აღზრდილებისა და ამჟამინდელი სტუდენტების

(მათი რაოდენობა 20-ს აღემატებოდა!) კონცერტით, რომელმაც ერთხელ კიდევ ნათლად დაადასტურა თანამედროვე ქართული ვოკალური სკოლის მაღალი საერთაშორისო „რეიტინგი“.

ბრავო მასტრო! – ასე ერქვა ამ საღამოს და ჩვენც – დიდი მასეტროსა და მისი აღზრდილების ხელოვნებით აღტაცებული მსმენელები – ვუერთდებით საუკეთესო სამომავლო იმედებსა და კეთილ სურვილებს, რომლებიც აღძრა ჩვენ გულებში კონცერტმა.

რამდენიმე დღის შემდეგ კი საშუალება მოგვეცა ამ ახალგაზრდათა სახელოვანი წინამორბედების, შესანიშნავი არტისტულ ფორმაში მყოფი ბრწყინვალე მომღერლების – მაყვალა ქასრაშვილისა და ბადრი მაისურაძის მოსმენისა. მათ ღირსეულად უმშვენებდა გვერდს ჩვენი კონსერვატორიის აღზრდილი (პროფ. გ. კარიაულის მონაფე) დღეს უკვე ევროპული სახელის მქონე ქეთევან ქემოკლიძე (მეცო-სოპრანო).

ეს იყო ვოკალური ხელოვნების ნამდვილი ზეიმი. მომღერალთა წარმატება გაიზიარა თბილისის საოპერო თეატრის სიმფონიურმა ორკესტრმა – ზაზა აზმაიფარაშვილის დირიჟორობით. შესრულდა მსოფლიო საოპერო რეპერტუარის შესანიშნავი ნიმუშები.

კიდევ ერთი დაუვინყარი ვოკალური საღამო გვაჩუქეს უმაღლესი რანგის მუსიკოსებმა – მომღერალმა ალა სიმონიშვილმა და პიანისტმა ვაჟა ჩაჩავამ, რომლებმაც შემოგვთავაზეს მსოფლიო კამერული კლასიკის ნიმუშები. მათ კონცერტში მონაწილეობა მიიღო ნიჭიერმა ახალგაზრდა კლარნეტისტმა დიმიტრი ბოქოლიშვილმა.

საფორტეპიანო ხელოვნება ფესტივალზე წარმოდგენილი იყო ცნობილი პიანისტით, თბილისის კონსერვატორიის დიდი მეგობრით – ქ-ნი ლიზა ლეონსკაიათი (ავსტრია), რომელიც შოპენის ნაწარმოებებს უკრავდა და ახალგაზრდა მუსიკოსებით – მარინა ნადირაძითა და ნინო გვეტაძით.

ორივენი თბილისის კონსერვატორიის აღზრდილები არიან: მარინა პროფ. თენგიზ ამირეჯიბის მონაფე იყო, ნინო კი პროფესორების ნოდარ გაბუნიასი და ნანა ხუბუტიასი. ამჟამად მ. ნადირაძეც და ნ. გვეტაძეც უცხოეთში (ინგლისსა და ჰოლანდიაში) მოღვაწეობენ და საერთაშორისო ავტორიტეტითაც სარგებლობენ. ფესტივალზე მ. ნადირაძემ ჩინებულად შეასრულა სკარლატის, ჰაიდნის, რაველისა და შოპენის, ხოლო ნ. გვეტაძემ – შოპენის, რაველისა და ლისტის ნაწარმოებები.

ერთი სიმფონიური კონცერტი მიეძღვნა გენიალური

კომპოზიტორების ჰაიდნისა და მენდელსონის საიუბილეო თარიღებს. აქ შემსრულებლებად მოგვევლინენ კონსერვატორიის სტუდენტური ორკესტრი (დირიჟორი გიორგი ბაბუაძე) და ჩვენი ცნობილი, დამსახურებული მუსიკოსი (ორგანისტი) ქ-ნი ეთერ მგალობლიშვილი.

შესრულებულ იქნა ჰაიდნის კონცერტი ფა მაჟორი ორგანის, ორი ვალტორნისა და სიმებიანი ორკესტრისათვის, 6 პიესა ლოტენუჰრ (ორგანის საფლეიტო რეგისტრი)-ისთვის, მენდელსონის სიმფონია სიმებიანი ორკესტრისათვის და საორკესტრო უკერტიურები – „მშვენიერი მელუზინა“ და „ჰებრიდები“ („ფინგალის მღვიმე“).

დასამახსოვრებელი კამერული კონცერტი გამართეს დუდანა მამზანიშვილმა (ფორტეპიანო), იაკობ გილმანმა (ვიოლინო. გერმანია) და რევაზ მაჩაბელმა (ჩელო. საქართველო-საფრანგეთი), რომლებმაც ჩინებულად შესრულეს კლასიკური რეპერტუარის ცნობილი საფორტეპიანო ტრიოები: ბეთჰოვენის, (სი-ბემოლ მაჟორი), ჩაიკოვსკის (ლა მინორი) და მოსტაკოვიჩის (№2).

როგორც მუდამ, ერთი კონცერტი მიეძღვნა ქართულ ტრადიციულ მუსიკას. ამჯერად იგი წარმოგვიდგინა ფოლკლორულმა ანსამბლმა „სახიობამ“ და მამა დავითის ტაძრის მგალობელთა გუნდმა მალხაზ ერქვანიძის ხელმძღვანელობით. ამ კონცერტსაც, მსგავსად ზემოხსენებული კონცერტებისა, დიდი და დამსახურებული წარმატება ხვდა.

ასეთი გახლდათ საახალწლო ფესტივალის საერთო პანორამა, რომელიც, ცხადია, უფრო დეტალურ და ღრმა განხილვას იმსახურებდა.

ახლა კი და პირდაპირ გადავალ მუსიკალური გაზაფხულის ცენტრალურ მოვლენაზე – საქართველოს ე. მიქელაძის სახელობის ეროვნული სიმფონიური ორკესტრის საიუბილეო ფესტივალზე (ორკესტრს 85 წელი შეუსრულდა), რომელიც გაიმართა საქართველოს ეროვნული მუსიკალური ცენტრის საკონცერტო დარბაზში. იგი ოთხი საღამოსაგან შედგებოდა და დიდი კმაყოფილება მოგვანიჭა თავისი მაღალი სამშემსრულებლო დონით, შესანიშნავი სალისტების მონაწილეობით და, რაც მთავარია, გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორების ჩვენთვის უცნობი ნაწარმოებების პრემიერებით. ფესტივალის „სული და გული“ გახლდათ მუსიკალური ცენტრის სამხატვრო ხელმძღვანელი, ნიჭიერი მუსიკოსი, დირიჟორი ნიკა მემანიშვილი, რომლის თაოსნობით ცენტრის მთელმა შემოქმედებითმა და ადმინისტრაციულმა



ნოდარ ანდღულაძე

კოლექტივმა დიდი და ნაყოფიერი შრომა გასწია ფესტივალის ღირსეულად ჩატარებისათვის. გამოცემულ იქნა ვრცელი და ძალზე შინაარსიანი სპეციალური ბუკლეტიც (ტექსტის ავტორი – ნატო მოისწრაფიშვილი). პირველი კონცერტი გაიმართა შაბათს 1 მაისს, ხოლო ფესტივალის გრძელდებოდა კიდევ სამი შაბათის განმავლობაში. საერთო შთაბეჭდილება ფესტივალის კონცერტებისაგან, როგორც ითქვა, მაღალი იყო და იგი სამართლიანად ჩაითვლება სეზონის ერთ-ერთ ყველაზე დასამახსოვრებელ მხატვრულ მოვლენად.

პირველი კონცერტის „გმირად“ (უკვე მერამდენედ!) მოგვევლინა ჩვენი შეუდარებელი ლიანა ისაკაძე, რომელმაც ბრწყინვალედ, ნამდვილი შთაგონებით შესრულა სავიოლინო რეპერტუარის ორი უდიდესი შედეგრი – ბეთჰოვენისა და ბრამსის კონცერტები. მსმენელების აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა.

მეორე კონცერტმა ყურადღება მიიპყრო მენდელსონის მექსპირისეული „ზაფხულის ღამის სიმღერის“ სრული ვერსიით, რომელიც ძალზე იშვიათად ჟღერს ჩვენთან. გარდა განთქმული „უვერტიურისა“ და „საქორწინო მარშისა“, ეს გახლავთ ცალკეული მუსიკალური ნომრები ორი ვოკალისტი ქალის, ლიტერატურული ტექსტის მკითხველისა და ორკესტრისათვის.

სოლისტებად აქ მოგვევლინენ ახალგაზრდა მომღერლები: თბილისის კონსერვატორიის სტუდენტი მეგი ჩიხრაძე (სოპრანო) და ბათუმის კონსერვატორიის კურსდამთავრებული ეთერ ხალვაში (მეცო-სოპრანო), რომლებმაც ფრიად სასიამოვნო შთაბეჭდილება დატოვეს, ისევე როგორც ლიტერატურული ტექსტის მკითხველმა მსახიობმა ნინო კასრაძემ.

მეორე განყოფილებაში ცნობილმა ჰიანისტმა კატია სკანავიმ ბრწყინვალედ, არტისტულად შესრულა პროკოფიევის მე-3 საფორტეპიანო კონცერტი (რასაც ვერ ვიტყვით „ბისზე“ შესრულებული შოპენის პიესების შესახებ).

ნამდვილ აღმოჩენად იქცა ბევრი მსმენელისათვის (მათ შორის, ჩემთვისაც) — მესამე კონცერტში უნიჭიერესი ახალგაზრდა მუსიკოსი სერგეი ნაკარიაკოვი (დ. 1977). იგი საყვირზე უკრავს, არის ნამდვილი ვირტუოზი, რომელიც თანაბრად შესანიშნავად ფლობს ამ ინსტრუმენტის ყველა ნაირსახეობას. 1993 წლიდან ცხოვრობს პარიზში და გამოდის მსოფლიოს ესტრადებზე.

ნაკარიაკოვის ხელოვნების უნიკალობა ვლინდება მის რეპერტუარშიც, რომელიც, ძირითადად, შედგება ტრანსკრიფციებისაგან — მამამისის მიხეილ ნაკარიაკოვის მიერ საყვირისათვის გადმოღებული მსოფლიო ინსტრუმენტული კლასიკის ნიმუშებისაგან. აი, ამჯერადაც, მან გავვაოცა ფლიუგელჰორნისათვის (საყვირის ნაირსახეობა) გადმოტანილი ჰაიდნის სავიოლონჩელო (!) კონცერტის ვირტუოზული შესრულებით. ასევე ბრწყინვალედ დაუკრა სერგეიმ უკვე „ჩვეულებრივი“ საყვირით რამდენიმე ეფექტური „საბისო“ ნომერი.

აღარ მიკვირს, რომ რუსეთსა თუ უცხოეთში მას ხან „საყვირის პავანისი“, ხანაც „საყვირის კარუზოს“ უწოდებენ ხოლმე!

საკმაოდ მკრთალი შთაბეჭდილება დატოვა ჰიანისტმა მარია მეეროვიჩმა, რომელმაც შესრულა მოცარტის გენიალური კონცერტი A-dur (№23). ამავე საღამოს მოვისმინეთ ბეთჰოვენის მე-8 სიმფონიაც.

საუბარი მეოთხე კონცერტის შესახებ მინდა დავინყო

მაღლობის სიტყვებით მისი ინიციატორის — ნიჭიერი და მზარდი მუსიკოსის — დირიჟორ ნიკა მემანიშვილის მიმართ, რომელმაც საშუალება მოგვცა პირველად მოგვესმინა გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორების სულხან ნასიძის, იოსებ ბარდანაშვილისა და გია ყანჩელის დიდი სიმფონიური ფორმის სამი ჩვენთვის უცნობი ნაწარმოები (თავისებურად უნიკალური შემთხვევა!).

ამ კომპოზიტორების მუსიკაში და, კერძოდ, ფესტივალზე შესრულებულ მათ ქმნილებებში ასახვას ჰპოვებს თანამედროვე მსოფლიო საზოგადოების ყველაზე მწვავე პრობლემატიკა, რომელიც გამსჭვალულია შინაგანი და გლობალური კონფლიქტებით, ადამიანთა ცხოვრების დრამატული პერიპეტეიებით. ეს თემატიკა მათ ნაწარმოებებში ნათელ და ორიგინალურ განსახიერებას იღებს საორკესტრო ფერთა ფერიულ მრავალფეროვნებასა და სიმდიდრეში, მხატვრული კონტრასტების სიმძაფრეში.

ცხოვრებიდან ადრე ნასულმა სულხან ნასიძემ, როგორც ვიცით, დაგვიტოვა მდიდარი შემოქმედებითი მემკვიდრეობა, მაგრამ, სამწუხაროდ, დღემდე არ შესრულებულა ბოლო წლებში მის მიერ შექმნილი მთელი რიგი ნაწარმოებები. სასიამოვნო გამოწაკლისად მოგვევლინა ამჯერად — ნასიძის ერთნაწილიანი ნაწარმოების — „Infinitas“ („უსასრულობა“. 1992) შესრულება.

სათაურის შესაბამისად, მის მუსიკაში შეთავსებულია გამჭვირვალე, „ზეციური“ და უხეში, „აპოკალიფსური“ ხმოვანებების შრეები.

მსმენელეზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა მაღალნიჭიერი კომპოზიტორის ამ უდავოდ ყველაზე ტრაგიკულმა ოპუსმა.

ქართველ-ისრაელელმა კომპოზიტორმა იოსებ (სოსო) ბარდანაშვილმა ამჯერად შემოგვთავაზა თავისი უახლესი ოპუსი — კონცერტი მანდოლინისა და კამერული ორკესტრისათვის (ნაწარმოების პრემიერა გაიმართა ისრაელში შარშან შემოდგომით). კომპოზიტორის განმარტებით, ნაწარმოების ჩანაფიქრი მდგომარეობს უხეში, აგრესიული და ამაღლებულ-ზეციური („მაღერისეული“) სანყისების დაპირისპირებაში. პირველი მათგანი გამოხატულებას იღებს ორკესტრის მკაცრ და ხისტ აკორდულ კომპლექსებში და სოლო საქსოფონის ასეთსავე მკვეთრ, „გამომწვევ“ ჩარევებში, მეორე კი — მანდოლინის გამჭვირვალე და ნაზ პასაჟებსა და ფიგურაციებში.

ამ ფრიად ორიგინალური ნაწარმოების პარტიტურა

მდიდარია მრავალფეროვანი, ზოგჯერ – რაფინირებული ტემბრული ბგერათშესამებებით.

ბრწყინვალე სოლისტ-მანდოლინისტად წარმოგვიდგა ახალგაზრდა ნიჭიერი ისრაელელი მუსიკოსი აკი ავიტალი, რომელიც ძალიან ცნობილია თავისი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც. იგივე შეიძლება ითქვას მის თანამემამულეზე საქსოფონის პარტიის შემსრულებელ გან-ლევის შესახებაც.

გია ყანჩელის ვოკალურ-სიმფონიური ნაწარმოების „Dixi“-ის შესრულება ამ რამდენიმე თვის წინ ევროპული მუსიკალური ცხოვრების მოვლენად იქცა. იგი კომპოზიტორს შეუკვეთა ბავარიის რადიოს სიმფონიური ორკესტრის მთავარმა დირიჟორმა მარის იანსონსმა ამ ორკესტრის 60 წლისთავისადმი მიძღვნილ კონცერტზე შესასრულებლად ბეთჰოვენის მე-9 სიმფონიასთან ერთად (!).

აი, რა თქვა ამასთან დაკავშირებით თვითონ გია ყანჩელმა (აღებულია ფესტივალისადმი მიძღვნილი ბუკ-ლეტიდან): „მარის იანსონსის შემოთავაზებამ დამენერა ნაწარმოები, რომელიც წინ წარუძღვებოდა ბეთჰოვენის მეცხრე სიმფონიის შესრულებას, საგონებელში ჩამავდო. ერთის მხრივ, ვგრძნობდი რაოდენ დიდ პასუხისმგებლობას ვიღებდი ჩემ თავზე – ბეთჰოვენის მეცხრე სიმფონიის შესრულება ხომ ყოველთვის და ყველგან განსაკუთრებული მოვლენაა. მით უმეტეს, ბეთჰოვენის სამშობლოში, მსოფლიოში ერთერთი საუკეთესო ორკესტრის, გუნდისა და ბრწყინვალე დირიჟორის შესრულებით. მეორეს მხრივ, პიროვნებას, რომელმაც ძირფესვიანად შეცვალა ჩემი ცხოვრება და უდიდესი როლი შეასრულა ჩემი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში, დაკრძალვის დღეს საჯაროდ აღვუთქვი პირობა, რომ პირველივე დიდი ფორმის სიმფონიურ ნაწარმოებს მივუძღვნიდი მას – ჯანსუღ კახიძეს. ვფიქრობ, ამიტომ დავძლიე უხერხულობის გრძნობა და მივიღე მარის იანსონსის შემოთავაზება“.

გასაღებს ყანჩელის „Dixi“-ს მუსიკალური შინაარსის გაგებისათვის იძლევა თვით მისი დასახელება – ლათინური გამოთქმა, რომელიც თავისი სრული სახით ჟღერს როგორც - „Dixi et animam meam levavi“ ანუ – „ვთქვი და ამით ვისხენი ჩემი სული“ (წყარო – ბიბლია, ეზეკიელ წინასწარმეტყველის წიგნი. 33,9), რაც გასაგები ხდება ყანჩელის ზემოთმოყვანილი სიტყვების კონტექსტში.

„Dixi“ – შერეული გუნდისა და დიდი სიმფონიური ორკესტრისათვის – ასეთია ნაწარმოების ავტორისეული სრული დასახელება, რაც დამაჯერებელ განხორციელებას



ლევან ხხაფაძე

იღებს ამ გრანდიოზულ, უაღრესად მასშტაბურ ნაწარმოებში.

იგი აგებულია ყანჩელის მიერ „დაპატენტებული“ დრამატურგიული პრინციპის მიხედვით, სადაც ერთმანეთს ენაცვლებიან ვრცელი ამაღლებულ – ლოკითი (ამ შემთხვევაში – „მემორიალური“) ხასიათისა და უხეში, სიკვდილივით უღმობელი და მრისხანე ბგერითი მონაკვეთები. სიმფონიური ორკესტრისა და ვეებერთელა საგუნდო მასის (საქართველოს ეროვნული საგუნდო კაპელა, დირიჟორი არჩილ უშვერიძე) ხმოვანებათა ოსტატური ვარირებით კომპოზიტორი აღწევს ძალზე შთამბეჭდავ მხატვრულ და ემოციურ ეფექტს.

ჭეშმარიტად, ეს იყო ძალზე შინაარსიანი, უაღრესად საინტერესო ფესტივალის ღირსეული დაგვირგვინება.

დასასრულ დიდი მადლობა ყველა შემოსხენებულ ფესტივალის ორგანიზატორებს, სპონსორებს, შემსრულებელთა კოლექტივებსა და ცალკეულ შემსრულებლებს.

მუსიკა ავთო ვარაზის ცხოვრებასა და შემოქმედებაში

მანანა ხვთისიაშვილი

„ფერწერა იყოს ჩემთვის ღილინი გლეხისა და არა სიმ-
ღერა არტიტისა სცენიდან“ – ასე გამოთქვამდა ავთო
ვარაზი თავის შემოქმედებით **Credo**-ს და იქვე დასძენ-
და: „ღილინი, საუბარი ნივთებთან“, რითაც შემოქმედების
უშუალობას, ძალდაუტანლობას ათვალსაჩინოებდა.

მუსიკა ავთო ვარაზის ცხოვრებისა და შემოქმედების
განუყოფელი მეგზური იყო.

იგი მუსიკალურ ოჯახში დაიბადა. ავთოს მამა, ცნო-
ბილი მეცნიერი, ვასილ ვარაზი საკმაოდ კარგად უკრავდა
ფისგარმონსა, ჩელოსა და გიტარაზე. უფროსი ძმა ვახ-
ტანგი, პროფესიით ექიმი, ვიოლინოზე.

ვარაზების ოჯახი რელიქვიად ინახავდა გვარწერი-
სა და სტრადივარის მუსიკალურ ინსტრუმენტებს და
თითქოს ამ ინსტრუმენტებზე დაკვრის ღირსეულ შემკვიდ-
რეს ელოდა.

ოჯახის ტრადიციის შესაბამისად, ავთოც 14–15 წლამ-
დე ვიოლინოზე უკრავდა, ვიღშაუს მონაფე იყო. მაგრამ
ერთხელ, კონსერვატორიის მცირე დარბაზში გამართულ
კონცერტზე ავთოს შეეშალა და გაჩერდა, რითაც წერტი-
ლი დაესვა მისი, როგორც მევიოლინეს კარიერას, მაგრამ
სიყვარული მუსიკისადმი სივოცხლის ბოლომდე გაჰყვა
და მის შემოქმედებასაც დაეტყო.

ჯერ კიდევ ბავშვობის პერიოდშია შექმნილი ავთო ვა-
რაზის ისეთი ნახატები, როგორიცაა „გიტარისტი“, „ფლეი-

ტისტი“, „მოკარტი“, „თამარის ცეკვა“.

ეს თემა ახალი კუთხით ცხადდება 50-იან წლებში და
აღმოსავლური სიუჟეტების ერთ-ერთ მთავარ მოტივად
წარმოჩნდება. 60-იან წლებში კი ავთოს ინტერესი მუსი-
კისადმი ნახატების უაღრესად საინტერესო სერიით
„პაგანინი“ (1967) ვლინდება, ხოლო 70-იან წლებში ვი-
ოლინოს თემისადმი მიძღვნილი გენიალური პოპ-არტე-
ბითა და მონტევერდის პორტრეტით აღინიშნება.

ავთო ვარაზს, როგორც პიროვნებას, თან დაჰყვებოდა
სმენითი აღქმის განსაკუთრებული სიმძაფრე, რის დასტუ-
რდაც მისი ერთ-ერთი გამონათქვამიც გამოდგება.

„შეგრძნება ჩვენი ყოველდღიური გარემოსი, რომე-
ლიც თავისი უმნიშვნელობით თითქოს არ იწვევს ემო-
ციებს, მაგრამ მაინც იჭრება ჩვენს ფსიქიკაში. იქნება ეს
ასანთის კოლოფი, თუ უადგილოდ დადგებული ნებისმიე-
რი საგანი. ვთქვათ, ჩამოსაკიდიდან ჩამოვარდნილი ტან-
საცმელი (ეს ხედვითი). სმენითი – დილა. ჩიტების ჭიკ-
ჭიკი თუ ნაგვის მანქანის ნაბათი, გაფუჭებული ონკანის
გუთავებული შხული თუ მანქანების დაქოქვის ხმები“ და
იქვე: „წინათ ადამიანებს ეკლესიის ზარები აღვიძებდა, ახ-
ლა კი... ნაგვის“. და კიდევ ერთი, საავადმყოფოში ყოფ-
ნისას ჩაწერილი.

„გუმინ, 14 ივლისს, დახოცეს უპატრონო ძაღლები.
ერთი ეტყობა გადარჩა და ღამე ყეფა-ყმუილი დაიწყო.



ადრე, როდესაც ერთ-ერთი ძალი ყევას იწყებდა, დანარჩენი ძალები ხმას უწყობდნენ. ახლა ძალი ყევდა, მაგრამ საპასუხო ხმა არსაიდან ესმოდა. იგი დილამდე ყევდა. ბოლოს ხმაც ჩაეხლიჩა და კიდევ დაიღალა. ყევდა ჩუმად და სუსტად“.

და ბოლოს ერთი პატარა დეტალი. როდესაც ავთო მუშაობის პროცესში დაუმთავრებელ ტილოსთან მიიყვანდა, აუცილებლად მკითხავდა: „აბა, მოუსმინე, რას გე-

თავისი პირველი პერსონალური გამოფენაც, რომელიც არ შედგა და ბოლო წუთს დაიხურა, როგორც საბჭოთა ადამიანებისათვის მიუღებელი და საშიში.

დიდ ინტერესს იწვევს „ჰამლეტის“ დადგმის ვარაზისეული ინტერპრეტაცია, რომელიც გარდაცვალებამდე რამდენიმე წლის წინ კინალამ განხორციელდა, მაგრამ იმის გამო, რომ რეჟისორთან საერთო ენის გამონახვა ვერ მოხერხდა, ავთოსეული ნააზრევი მხოლოდ რამო-



ძეგვი ვახტანგ, ლევან და ავთო ვარაზი

უბნება“ (ე.ი. კი არ „შეხედე“, არამედ „მოუსმინე“).

ალბათ სწორედ სმენითი აღქმის მგრძობელობამ განაპირობა ის გარემოება, რომ რუსთაველის 800 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო გამოფენაზე ავთო ვარაზმა პირველმა დაურთო ექსპოზიციას ქართული საგალობელი, რითაც განუმეორებელი ეროვნული სული შთაბერა მას და მკვეთრად დაუპირისპირდა იმ დროისათვის ესოდენ დამახასიათებელი „ინტერნაციონალური პოლიტიკის“ იდეოლოგიას.

ასევე მუსიკის თანხლებით ჰქონდა მას გააზრებული

დენივე მოკლე ჩანაწერმა შემოგვინახა, რომელთაგან მუსიკასთან დაკავშირებული, დაფიქსირებულია შემდეგნაირად:

„მუსიკა ხელს უნდა „უშლიდეს“ მსახიობთა მოსმენას, მაგრამ სპეციალურად არა, მუსიკა თან უნდა ახლდეს მოქმედებას, მაგრამ ხელს უშლიდეს. მაშინ მაყურებელი ძალაუნებურად სიტყვებზე მოახდენს ყურადღების კონცენტრაციას“.

ავთო საოცარი ხატოვანებით წარმოადგენდა ხოლმე ჰამლეტის ცნობილი მონოლოგის დროს სავარძელ-

ში „ჩასვენებულ“ მაყურებელს, რომელსაც ასეთი მუსიკა მყუდროებას უშლიდა და მეშინურ სიამტკბილობას აკარგვინებდა. შედეგად კი იგი თანდათან „ნირვანიდან“ გამოდიოდა, სკამიდან იწეოდა, იძაბებოდა, აქტიურდებოდა და ყურზე ხელს იდებდა, რათა სიტყვები არ გამორჩენოდა.

ავთო ვარაზის მუსიკალური სიმპათიები ერთის მხრივ მოცარტი-შოპენი-პაგანინის, ხოლო მეორეს მხრივ ბახი-ბეთჰოვენის გზით წარიმართა. ბეთჰოვენი ავთოს ბავშვობის კერპი გახლდათ. აი, რას წერს იგი ამის შესახებ: „სკოლამდელ ასაკში ძალიან მინდოდა ბეთჰოვენს დაგმსგავსებოდი. სარკეში ვიკვირებოდი, თმებს ვიჩეჩავდი და ტუჩებს ვებრავდი... უშედეგოდ“.

ბეთჰოვენის რიგი გამონათქვამებისა ავთომ ზეპირად იცოდა და ხშირად იმეორებდა. მათ შორის ყველაზე უფრო ორ მათგანს: „ჩვენი მრისხანება დაკარგული გროშის გამო“ და „გული, აი, ჭეშმარიტი ბერკეტი ყოველივე დიდებულისა“.

რაც შეეხება ბახს, იგი ავთოსათვის ხელოვნებაში სეზანისეული ხედვის მატარებელ გენიოსს წარმოადგენდა. სეზანი კი ავთოს ერთ-ერთი უსაყვარლესი მხატვარი იყო.

ჩვენი პირველი პაემანი სწორედ ბახსა და სეზანზე, მათი ხედვის სიახლოვეზე საუბრით აღინიშნა, მე მაშინ სეზანს ბახთან ვერ ვაკავშირებდი და ამიტომაც ამ პარალელმა თავდაპირველად გამაოცა, ნაძალადევი მეჩვენა. მაგრამ ავთომ, მისთვის ჩვეული გულმხურვალეობით, მთელი ლექცია წამიკითხა სეზანის აზროვნების პოლიფონიურობის შესახებ, მაგალითად ციურისხის ბურლეს კოლექციაში დაცული „წმინდა ვიქტორიას მთა“ დაასახელა და მასში გაცხადებული თეოზისის იდეა დამისაბუთა. შემდეგ კი სეზანის ნატურმორტებს შეეხო და აღნიშნა, რომ „სეზანის მიერ დახატული საგნები, საგნები კი არა, მთელი სამყაროა (აი, მაგალითად ხილი, ეს ის ხილი ხომ არ არის, რომელიც შეიძლება იჭამოს), სამყარო, რომელიც კარგავს თავის მატერიალურობას და მარადისობას ერწყმის. აი, ზუსტად ისე, როგორც ბახთან“ — დააბოლოვა მან და მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი, ბავშვივით უწყინარი გამომეტყველებით შემომხედა.

მუსიკალური კანონზომიერებანი განსაკუთრებული სიმძაფრით მოსჩანს ავთო ვარაზის იმ კოლაჟებში, სადაც მასალად გამოყენებულია: სიგარეტის კოლოფები, თვით ამ სიგარეტის ნამწვავები, ასანთის ღერები, სხვადასხვა ეტიკეტები, თევზის ჩონჩხის ნაწილები და სხვა ამგვარი,



ავთო ვარაზი

ხოლო ფონად მინაა მიყრილი. სწორედ ამ სურათების ფერადოვანი გამა და თავბრუდამხვევი რიტმი, თაღებისა და რემინისცენციების გამოყენების მეთოდი და თუ შეიძლება ასე ითქვას, მძაფრი სიმფონიზირებული ფაქტურა, განსაკუთრებული მუსიკალობით გამოარჩევს ავთოსეული შემოქმედების ამ შედეგებს.

სამწუხაროდ აღნიშნული ნამუშევრებიდან დღეს მხოლოდ ორია შემორჩენილი. მათგან პირველი, „ორნი სამყაროში“ სამყაროს დისჰარმონიულობაზე მოგვითხრობს, სამყაროსი, სადაც ადამიანის მიერ ყოველივე უკუღმა ტრიალებს და ყირამალა იკითხება. ეს ადამიანები ასტრალურ მზესაც ვეღარ ამჩნევენ და თავის ყოველდღიურ საქმიანობასა და სიბოროტეში არიან ჩაძირულნი.

აი, ასეთ სამყაროზე მოგვითხრობს ეს კოლაჟი და კიდევ ამ სამყაროში მოულოდნელად აღმოცენებულ სიყვარულზე, რომელიც ისეა თავისი არსით გატაცებული, რომ მისდამი მტრულად განწყობილი სამყაროს აღქმის უნარი არ გააჩნია და საკუთარ გრძობაში განზავებული, ვერ ხე-



მანანა. 1963

დავს იმ საშიშროებას, ამ სამყაროს მისთვის რომ მოაქვს. სამყაროს, რომელმაც არ იცის რა არის სიყვარული და დავინწყებია, რომ „ღმერთი სიყვარული არს“.

მეორე კოლაჟი „ჟიტანი“ ამ სამყაროს მოჩვენებით ჰარმონიულობაზე, მის გარეგნულ სილამაზეზე და სამყაროში მფეთქავ, დაუოკებელ რიტმზე მოგვითხრობს, ყოფითობით შეპყრობილი ადამიანების ხიბლზე, სულიერი დასეულობების მიღმა რომ დგანან და საკუთარ სულში ჩახედვის დრო და უნარი არ გააჩნიათ.

აქვე შეიძლება გავისვენოთ 1970 წელს შექმნილი „თეთრი თევზი“, რომელიც თავისი სრულყოფილი სილამაზით, გამჭვირვალე, ნატიფი ფარფლებით, თაბამირის ფაქტურით შექმნილი ზეაღმსწრავი თაღებით, უხვად დაღვრილი, ზეგარდმოსული თეთრი ფერით – საკურთხეველში აღვლენილ ვალობად „მოისმის“ და საოცარი სინამინდის, ამაღლების, გასხივოსნების, ციური ნათლის ასოციაციებს ბადებს.

ეს თევზი ვარაზი-მხატვრის შემოქმედების ერთ-ერთ მწვერვალს წარმოადგენს და მისი ქრისტიანული მრანამ-

სის არსზეც ღალადებს.
ტანი. 1968

მუსიკას ავთო ვარაზი ჩვენი შვილების აღზრდის აუცილებელ პირობად მიიჩნევდა. ამის შესახებ მისი შემდეგი

ჟი-ტარო იგი მუზეუმებში, ცეკვებზე, ბალეტზე, შევერჩიო მუსიკალური ინსტრუმენტი, მაგალითად ვიოლინო. ვურჩიო რა წაიკითხოს. მივცე სისტემა, მიმართულება“.

როგორც ადრეც მქონდა აღნიშნული, სიყვარული ვიოლინოსადმი ავთოს სიცოცხლის ბოლომდე ვაჰყვამ.



ოტარი სამაყაროვი. 1963

ჩანანერიც მეტყველებს: „ის რაც ემართება ამყამად ლიკას, მეც მჭირდა მაგის ასაკში — ტემპერატურა, ავადმყოფური მდგომარეობა, მოუსვენრობა და ამავე დროს გულგრილობა, გაურკვეველი სურვილები, ნაღველი და სხვა.

ამ მდგომარეობას ვინკელმანი სულიერ ქავილს უწოდებს!

მოვეხმარო ლიკას თავისი მონოდების პოვნაში. ვა-

იგი საათობით უსმენდა პავანინის ნაწარმოებებს და განსაკუთრებით „კამპანელას“, რომელსაც ასეთ კომენტარს უკეთებდა: „იცი, რატომ მიყვარს „კამპანელა“? ჩიტების ჭიკჭიკს მაგონებს“ და დაუმატებდა: „ჰგავდეს შენი მუშაობა ფრინველთა ფრენას. როგორც კი იფიქრებ როგორ უნდა გააკეთო, აღარაფერი გამოვა“.

ავთო — იმიტატორის „რეპერტუარში“ ბრწყინვალე ადგილი ეკავა ვიოლინოზე შესრულების ეტიუდს, როდესაც იგი ცარიელი ხელებით, რომლებშიც ვითომ ვიოლინო და ხეში ეკავა, დაკვრის იმიტირებას ახდენდა. ამოყვანა

1 იგულისხმება ანტიკური ხელოვნების ცნობილი გერმანელი ისტორიკოსი იოჰან იოახიმ ვინკელმანი

შემდეგში მდგომარეობდა. ვითომ ავთო ხალხმრავალი აუდიტორიის წინაშე გამოდიოდა და შიშისაგან ხელებიდან ხან ვიოლინო და ხან ხეში უხსლტებოდა. ბოლოს კი, როდესაც დიდი ვაივავლახით „დაუკრავდა“ და „უკანასკნელ ბგერას აიღებდა“, „დარბაზს“ „ტაშის გრიალი“ და-

და ნაწილებად დაშლილი, მაგრამ ჯერ მაინც არაა ფუნქციონირებადი და მუსიკალური კანონზომიერებებით ცოცხლობს. მისი ფერადოვანი გამა, ჰარმონია, საოცარი პლასტიურობა, ბარელიეფისა და სიბრტყის მონაცვლეობაზე აგებული პლანების ურთიერთშენაცვლება და სხვა-



შალვაში. 1968

ფარავდა. მაშინ ავთო თავმოყმონედ ვიოლინოს ჰაერში აისროდა, ოსტატურად ჰაერშივე იჭერდა და ისეთი მედიდური სახით ვადიოდა „დარბაზიდან“, რომ თითქოს სულ ცოტა პავანინი მაინც ყოფილიყოს.

ვიოლინოს თემას დიდი ადგილი უკავია მხატვარი ვარაზის შემოქმედებაშიც. მისი გაზზარული, გაპობილი, დალენილი ვიოლინოებისაგან შექმნილი ბრწყინვალე პოპ-არტები სულიერი ტრავმების გადმოცემის გენიალურ მიგნებას წარმოადგენს და ცნობილი პოპ-არტების – ხარის, ცხენის, კრავის თავებთან ერთად, აგრესიის მსხვერპლთა უკვდავ პორტრეტებს ძერწავს, პორტრეტებს, რომელთა „ისტორიაც“ ზოგადსაკაცობრიო მამტაბებს აღწევს და იმავე დროს, თვით ვარაზი-მხატვრის alter ego-საც ამკვიდრებს.


უკვე პირველი ვიოლინო (1970) ორადაა გახლეჩილი

დასხვა ფაქტურათა დაპირისპირებებით შექმნილი რიტმი, თავბრუდამხვევ დინამიკას ანიჭებს ნამუშევარს და ამ ვიოლინოს მუსიკალურ სამყაროში წარმოაჩენს, სადაც იერარქიის უმაღლეს საფეხურზე ბახი სუფევს (Joh. Seb. bach), რომლის გვარშიც დაშიფრული ჯგარი საკრალური ნათლით ასხივოსნებს ავთოსეული ვიოლინოების პირმშოს. ეს ინსტრუმენტი ჯერ კიდევ ფეხზე დგას და მისი გედისეური თავის სპირალში, მსგავსად ემბრიონისა, ინსტრუმენტის მთელი საგვარეულო შტო „იკითხება“, ხოლო გახლეჩილი გული მუსიკითაა შთაგონებული და მასში ავთოს უსაყვარლესი პავანინის მეხუთე კაპრისია ჩამალული.

მომდევნო პოპ-არტი „ვიოლინო და გიტარა“ (1972) ამ პერსონაჟის ინტიმურ მხარეს წარმოაჩენს და მისი ცხოვ-

სვთომ ვაკაში თათარი თაზნი





ლიკა. 1971

რების რომანტიკულ ფურცელს გვიშლის, მთვარის ნათლით მოსილს.

ხოლო 1974 წელს შექმნილი „ვიოლინო“ მთლიანად არსდაკარგული, ფუნქციამოშლილი და მილიტარისტული დიქტატურის ქვეშ სახენაშლილია. აქ ბახის ადვილს სამხრელებიანი დიქტატორის ფოტო იკავებს, ხოლო თვით ვიოლინოს... მუსიკალური ბგერის გამოკვამაც არ ძალუძს. ამიტომ ნოტები სურათიდან თითქმის გატანილია. ინსტრუმენტის ნამსხვრევები სატანური წრითაა გარშემორტყმული და ეს წრე „ისკრის“ მრავალმნიშვნელოვანი ასოებით დაშიფრული. რომელიც თავის საყრდენს ერთის

მხრივ ხორციელი განადგურებისა და მისი სიმბოლოს, სასაფლავს, ხოლო მეორე მხრივ სულიერი კვდომისა და ამ უკანასკნელის გამოშხატველი ე. წ. „მატერიალური ფასეულობების“ – ფულის, ლამაზმანების და სხვა ამგვარის განსახოვნებაში ჰპოვებს. ხოლო ვიოლინოს გედისებური თავი წაგლეჯილია და გველისებური ფორმით შეცვლილი.

ვიოლინოს ასეთი ტრაგიკული „ბიოგრაფია“ თითქოს კომენტარს აღარ საჭიროებს და კონკრეტულად მისი ცხოვრებისა და ზოგადად სულიერების მოსპობის სამშრობაზე მეტყველებს.

მაგრამ 1975 წელს შექმნილ პოპ-არტში ავთო უფრო შორს მიდის. და დაგდებული, დაღეწილი, გათელილი ვიოლინოსა და მისი დასამარებული ხემის წარმოჩენით ამ ინსტრუმენტი-სიმბოლოს და საერთოდ სულიერების აღსასრულზე მოგვითხრობს. ინსტრუმენტისა, უკანასკნელად რომ გამოსცემს მისი საყვარელი პავანის ერთ-ერთი კაპრისის დაგლეჯილ ფრაზებს, აღქმულს „ხმად მლაღადებლისა უდაბნოსა შინა“. აქ „ისკრის“ სატანური წრე კიდევ უფრო შემზარავი, ფატალური წარწერით „Градоначальства“-დ იკითხება და ამ ინსტრუმენტის ჯვარცმის აღმსრულებელზე, ჯოჯოხეთბეტზე მიგვანიშნებს.

შედეგად კი ვარაზის შემოქმედება ტრაგიკომის გამოხატვის უმაღლეს დონეს აღწევს, თავისი საერთო კონცეფციით და მასშტაბით შოსტაკოვიჩის სიმფონიებს უტოლდება და მისი ნონ-კონფორმისტული ხედვა ყოველგვარი ნიღბის გარეშე, გამიშვლებული სახით წარმოჩნდება.

ჩემს პუბლიკაციას ავთოსეული ორი ჩანაწერით დავასრულებ, რომელთაგან პირველი მის დაბადებას ეხება, ხოლო მეორე – გარდაცვალების წინ ნანახ სიმძარს. ვფიქრობ, რომ არც ერთი ჩანაწერი კომენტარს არ საჭიროებს.

1. „პეროვსკაიას ქუჩა ჩემი ფანჯრიდან: მეზობე, გავლელები, ურმები, კალათიანი ქალები, ჭრელი ქურთები, მოხუცები ქვაბებით. დაკრძალვები, აღლუმები, სიმღერები, საუბარი. ძაღლები, კატები, დათვები. მევიოლინეები, მეარღნეები. ზარის თამაში, ჩირკა ფოხი, ლახტი, ფეხბურთი, ველოსიპედი. ქალიშვილები და სურათები ფანჯრებში. თოვლი, წვიმა, ქარი, ქვაფენილი, ასფალტი, სარდაფები. შეშლილი ქალი: „აბაზი არა გაქვს, აბაზი?“ „შუშები ჩავსვათ“, „ძველი ძონძები“, „ყვავილების მიწა“, „ხალიჩები გავრეცხოთ“, „სამოვრის მიწა“, „მანონი“, „ბლითები“, „ნაყინი“. ჩხუბი, ლოთები, კინტოები. მეძავები სადარბა-





ვილინი და გიტარა. 1972



ვიოლინო. 1974



ვიოლინო. 1975

ზოგბში, მილიცია. მყვირალა კაცი ფაეტონზე — პირველი ცნობა ომის შესახებ. კიბეებზე მჯდომარენი, კრიალოსანი, მათხოვრები. ბოძები, მანტიორები, ხარაზები. ღამე, ხეები, ტოტები. შენიღბვა, მორიგეები, ტარაკნები, მორიელი ბალიშზე. ნაბიჯები, საყვირი, ბალალაიკა. დავიბადე. დავიბადე ბატკანივით“.

II. „გუშინდელი სიზმარი: რასაც სუფრაზე ხელს მოკიდებდი, ქრებოდა. დღევანდელი — შავ-თეთრი, თითქოს ფერებს ტონი გადაუსვეს და ცოტა ზედმეტი მოუვიდათ. ისმოდა განუწყვეტელი სიმღერები, ოლონდ ძალიან ჩემი... უამრავი ძალი მეხვეოდა... მერე თხრილში დავგორავდი... მეძახდნენ „ხეს მოეკიდეო“. მეც მოვეკიდე... თოკი გამოძინოდეს... ამოვედი“.

ეს ავთოს პირველი და უკანასკნელი შავ-თეთრი სიზმარი იყო. იგი მხოლოდ ფერად სიზმრებს ხელავდა.



ბენანა პალიტი. 1971



საუბარი ქართული კულტურის გამოჩენილ მოღვაწესთან, მუსიკოსთან, რომლის სახელთანაც იყო დაკავშირებული XX საუკუნის მეორე ნახევრის ეროვნული საოპერო, ინსტრუმენტული და საგუნდო ჟანრების განვითარება, ქართული საკომპოზიტორო და საშემსრულებლო სკოლის მიღწევების წარდგენა მსოფლიო მუსიკალურ ასპარეზზე.

ჩვენი საუბარი შედგა 2002 წლის თებერვლის ბოლოს. სამწუხაროდ, შეხვედრა უკანასკნელი აღმოჩნდა. სულ რამდენიმე დღეში ქართული საზოგადოება ჯანსუღ კახიძეს ემშვიდობებოდა. მაშინ საუბრის მკირედი ნაწილი დაიბეჭდა **PEN CLUB** – ის გაზეთში „ქომაგი“. ამჯერად ვთავაზობთ ჩანაწერის სრულ ვერსიას და ვფიქრობთ, რომ 8 წლის წინ შემდგარი ინტერვიუში წამოჭრილი საკითხები დღესაც აქტუალური და მტკივნეულია ქართულ მუსიკალურ სინამდვილეში.

ინტერვიუს უძღვება მუსიკისმცოდნე თააარ ძარაჯაჯილი.

ჩვენ ვიყავით ქართული მუსიკის „მკლავრი ჯგუფი“

– ბატონო ჯანსუღ, დღეს თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქართული მუსიკალური ხელოვნების განვითარების თითქმის ნახევარსაუკუნოვანმა პერიოდმა თქვენ თვალწინ გაიარა. უფრო მეტიც, სწორედ თქვენს სახელთანაა დაკავშირებული ეროვნული მუსიკალური შემოქმედების აჟღერება და მისი წარმოჩენა საერთაშორისო სარბიელზე. ვფიქრობ, დადგა დრო, წარსულის მიღწევების შეფასებისა. თქვენეული ინტერპრეტაცია XX საუკუნის ქართული საკომპოზიტორო, საშემსრულებლო შემოქმედების, გნებავთ ცალკეული ჟანრების? თქვენი აზრით, როგორ მოვიდა დღემდე ქართული კლასიკური მუსიკალური ხელოვნება?

– როგორ მოვიდა? ცხოვრებისეულად თუ ფასეულობებით?

– ფასეულობებით, რა თქმა უნდა.

– თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ფასეულობებისადმი დამოკიდებულება სხვადასხვანაირია, და არა მრავალმხრივი, მაშინ აღნიშნულ საკითხზე სხვადასხვაგვარი კუთხიდან უნდა ვისაუბროთ. საქართველოს მუსი-

კალური ხელოვნება ისტორიულად ძალზედ მოკლე პერიოდში ჩამოყალიბდა და რუსული მუსიკალური კულტურიდან შემოიჭრა ქართულ სინამდვილეში.

მაგრამ სანამ უშუალოდ გადავალ მუსიკალურ ხელოვნებაზე უნდა ითქვას, რომ ზოგადსაკაცობრიო კულტურაშიშექმნილია ისეთი აღიარებული ფასეულობები, რომელთაც ყოველი ქვეყანა უნდა ეზიაროს. ბუნებრივია, ჩვენც უნდა ვზიარებოდით ამ საყოველთაოდ აღიარებულ კულტურულ ფასეულობებს. იმიტომ, რომ მსოფლიო ცივილიზაციაში ინტეგრაცია და გაერთიანება, გასვლა ყველა კულტურის ცოდნას ნიშნავს. და არა მარტო ცოდნას, უნდა გქონდეს მასთან შეხება და ცხადია, შენც რაღაცას უნდა წარმოადგენდე. ამდენად, მარტო „ვეფხითა და მოყმით“, რომელიც გენიალურია, და თუ გნებავთ, დიდი შოთა რუსთაველით, მსოფლიო პროცესებში ინტეგრაცია შეუძლებელია. ეს დიალექტიკური პროცესია. მით უფრო, ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორიც ჩვენ ვართ. რაც შეეხება ევროპული კულტურის შემოჭრას ქართულ სინამდვილეში,

მიუხედავად მძლავრი ანაბეჭდისა, ქართული კულტურა, მაინც ევროპულ კულტურად არ მოიზრება. მაგრამ აღნიშნული მონაპოვრის დამკვიდრება საქართველოში ძალიან სწრაფად მოხდა. მე მხედველობაში მაქვს, რომ დაახლოებით ასი წლის განმავლობაში, შეიძლება უფრო ნაკლებშიც კი, საქართველომ თავისი ადგილი მოიპოვა ზოგადსაკაცობრიო კულტურაში. ვვულისხმობ იმას, რომ მუსიკალური ხელოვნების ყველა დარგი განვითარდა – გვაქვს ოპერაც, სიმფონიური ორკესტრები; გვაქვს ქართული ეროვნული თეატრი, ძირითადად ენასთან არის დაკავშირებული და ალბათ, მაინც ცალკე უნდა განვიხილოთ. გვაქვს არქიტექტურა, რომელიც ძველისძველი ეროვნული არქიტექტურიდან მომდინარეობს და არ კარგავს პირვანდელ, რაღაც არქაულ სახეს, თუმცა შეხება მოდერნიზმთან ან გენებავთ თანამედროვე არქიტექტურულ სტილებთან საკმაოდ შესაძლებელია.

სხვათა შორის, რაც დრო გადის, უფრო და უფრო ვრწმუნდები, რომ საბჭოთა კავშირმა, რამდენადაც იდეოლოგიურად თავისებური დალი დაასვა სულიერ ცხოვრებას – იყო შეზღუდვები, აკრძალვები, აღარაფერს ვამბობ რეპრესიებზე და იმაზე, რომ ციხეს დაემსგავსა ამხელა ქვეყანა, საბოლოოდ, სულის დაპატიმრება მაინც ვერ შეძლო. მოგეხსენებათ, რომ საბჭოთა კულტურის არაერთი ფასეულობა სწორედ ციხეში შეიქმნა. სწორედ სულიერად მოხდა დაძრომა ამ საერთო ციხიდან, რომელმაც მოიტანა ჩვენთვის გარკვეული ღირებულებანი. მაგრამ, ამავე დროს, მე ვიტყვოდი, რომ ამ საბჭოთა ქვეყანამ, სწორედ თავისი იდეოლოგიური დანტერესებით, ძალიან ბევრი რამ გააკეთა კულტურის განვითარებისთვის. ყოველივეს ხომ სჭირდებოდა მატერიალური ბაზა, ფინანსები... აბა, წარმოიდგინეთ, ყველა რესპუბლიკას ჰქონდა ოპერის თეატრი, სიმფონიური ორკესტრი, ფილარმონია, საკონცერტო დარბაზები, სკოლები, აღზრდის სისტემა. ეს ხომ საოცარი თანხებია, არა? დღეს ყოველივე უფრო თვალშისაცემი გახდა, რადგან ეს ფინანსები აღარ არსებობს და ვერც ვიღებთ. ცენტრალიზებული ბიუჯეტი ასაზრდოებდა ამხელა ქვეყანას. გადახედეთ, ყველაფერი გვაქვს, შენობებიც გვაქვს და ხალხიც არსებობდა... კონსერვატორია, კინოსტუდია, რომელი ერთი დავისახელოთ კულტურაში... მწერალთა კავშირი, მეცნიერებათა აკადემია და სამეცნიერო ინსტიტუტები, რომლებშიც 12 000 კაცი იყო გაერთიანებული. შემოქმედებითი კავშირები, სადაც 400–800 წევრი იყო.

ამ დროს, დღეს მეცნიერება აღარ არის, შემოქმედებითი კავშირის 800 წევრიდან საზოგადოება იცნობს 20–30-ს. რა ხდებოდა? არც არაფერი! ყველაფერი ფორმლობა იყო და სხვა არაფერი. მაგრამ ამ საყოველთაო ინტერესმა კულტურის მიმართ, მოიტანა სისტემა, შექმნა ბაზისი სწორედ მაღალმხატვრული შემოქმედების განვითარებისთვის. ამიტომაც ხდებოდა უზარმაზარი ნახტომებით კულტურის განვითარება. დაახლოებით ამგვარად გამოიყურებოდა ზოგადად XX საუკუნის საბჭოთა, და მათ შორის, ქართული კულტურა. ახლა დავუბრუნდეთ მუსიკას.

მუსიკაში ეს ნახტომები განსაკუთრებით იყო შესაძლებელი. იმიტომ, რომ ევროპულ მუსიკალურ ხელოვნებას, დაწყებული აღორძინების პერიოდიდან, 600–700 წლიანი ისტორია აქვს. დღეს არსებობს ეს საოცარი სულიერი სიმდიდრე, დაწყებული მკაცრი სტილის პოლიფონიიდან, შემდეგ ბახი, შემდეგ კი, ჩემო ბატონო, მოცარტი, ბეთჰოვენი, ვაგნერი... და აღარ გავაგრძელებ ჩამოთვლას. თუ შეიძლება, ასე უხეშად მოვიხსენიოთ, ყოველივე აღნიშნული ის სულიერი დოვლათია, ის ღირებულება და ფასეულობაა, რომელსაც ვერაფერი ვერ ნაშლის, ვერც ომები და ვერც ვერაფერი ამქვეყნად. სწორედ მასზე იქნება ორიენტირებული ყველა თაობა, და თან ყოველთვის. აქედან გამომდინარე, თითოეული, ვინც შეეხება ამ უკვდავ ქმნილებებს, თავის მხრივ, ეცდება თვითონაც შექმნას რამე ფასეული. მე ხშირად ვაწყდები იმ წინააღმდეგობას, რომ თითქოს არაფრის შექმნა აღარ შეიძლება. ცხადია, როდესაც ისმენ ბახს, ბრამსს, შოსტაკოვიჩს და შემდეგ გესმის ის, რაც დღეს იქმნება... ძალიან დაბალი დონე! ერთი რამ შეიძლება ვთქვა თამამად. დღევანდელი მუსიკა, შესაძლოა, საინტერესოა კომპოზიციურად, ტექნოლოგიის თვალსაზრისით, ბგერის შესაძლებლობების მხრივ, მაგრამ... ერთ რამესაც ვეცხვით. მოგეხსენებათ, XX საუკუნეში საოცრად განვითარდა ტექნოლოგია, ბგერის შესაძლებლობები. სად იყო ბეთჰოვენის ან მოცარტის დროს ასეთი პოტენციალი? ერთი ვიოლინო იყო და მეტი არაფერი. ჰაიდნმა, პირველმა რომ გამოიყენა კრესჩენდო ტიმპანის პარტიისათვის, ამაზე მთელმა მსოფლიომ ორმოცდაათი წელიწადი ილაპარაკა, ეს რა გააკეთა ჰაიდნმაო! რომ გადახედოთ დასარტყამი ინსტრუმენტების შესაძლებლობებს, შეიძლება შეიშალო. ელექტრო ხმავანება, ელექტრო ინსტრუმენტები, კომპიუტერები. თვითონ ბგერის ფიზიკური შესაძლებლობები არის საოცრად განვითარებული, თითქმის ამონურულიც კი. თუმცა,



მე ვერ ვიტყვი ამონურულია თუ არა, იმიტომ, რომ ველარ მივსდევ ამ ტექნოლოგიას, რადგან ჩემთვის, სულიერად ძალზედ დაკნინებულია ყოველივე. მეტსაც გეტყვით, იცით რატომ მაქვს ასეთი დამოკიდებულება? ნიჭიერი ხალხი აღარ მუშაობს მუსიკაში და იმიტომ. მაგალითად, კომპიუტერული მუსიკა რომ შექმნა, ნიჭი ნაკლებადაა საჭირო. დაუფლები კომპიუტერს, კარგად ისწავლი გრაფიკას, და თუ განათლებული ხარ, შექმნი რაღაცას, რომელიც მოგვცემს გარკვეულ კომპოზიციას, შეიძლება ხმოვანებით საინტერესოც კი იყოს, მაგრამ შიგ ვერ ნახავ ვერავითარ სულს. სული კი უშუალოდ არის დაკავშირებული ნიჭთან. ეს ხომ მართლაც დღეიერი, ზებუნებრივი წყალობაა. საქართველოში თითქოს ყველაფერი მოხდა, მაგრამ ფასეულობები, როგორც ასეთი, მხატვრულად ღირებული, ძალიან ცოტა შეიქმნა. მე ვიტყვით, რომ ქართულმა მუსიკამ ჯერჯერობით მხარი ვერ აუბა ევროპიდან შემოსულ კულტურას, თუმცა სწორედ აღნიშნულ კულტურაზე იყო დაყრდნობილი. ჩვენ ვერ მივიღეთ ვერც დიდი ეროვნული ფასეულობანი, ვერც საშემსრულებლო და ვერც საკომპოზიტორო შემოქმედებაში, თუმცა განვითარების ყველა პერიოდი გავიარეთ. ვიღაცას რომ ვკითხვით და სტატისტიკას რომ გავყვით, ან აღნუსხვის პოლიტიკას, თითქოს ყველაფერი გვაქვს. და საერთოდ, ვისზე ნაკლები ვართ, მაგრამ ეს ყველაფერი, ჯერჯერობით, ატარებს ძალიან არამდგრად ხასიათს; რაღაცა ჩაისახა და შემდეგ ჩანასახშივე მოისპო, რაღაც ვერ განვითარდა, რაღაცას აკლია ნამდვილი პროფესიონალიზმი, დახვეწილობა, ის საფუძველი, რომელსაც უნდა ჰქონოდა ლოგიკური განვითარება და სწორედ მისგან რაღაც ახალი უნდა წარმოშობილიყო. მე მაინც მგონია, რომ გასული საუკუნე ძიების და ამ ძიებაში ძალიან დიდი ძალისხმევის საუკუნე იყო. რაც შეეხება მონაპოვარს, როგორც გითხარით, ბევრს ვერ დავასახელებ.

მაგალითად, ჩვენ ვიცით, რომ ვან გოგი არის ჰოლანდიელი, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს ჰოლანდიელი არის თუ ვინაა, ესაა უმაღლესი ხელოვნება... ან გერმანელი ბეთჰოვენი. ის ხომ დიდი ხანია უკვე გახდა საყოველთაო კომპოზიტორი და ჩემთვის ის ქართველიც არის... ამ თვალსაზრისით მე ვინრო მსჯელობად მიმაჩნია – „აი, ჩვენი ნაციონალური“ და „აი, ჩვენი ეროვნული“ და ა. შ. ეროვნული ფასეულობები, ჩემი აზრით, ისტორიული წარსულიდან გვაქვს და იმას ვერაფერი ვეღარ შევვლის. მუსიკაში, მაგალითად, ასეთი ფასეულობაა ქარ-

თული ხალხური სიმღერა. ქართული ფოლკლორის მონაპოვარია, რომელსაც თავისუფლად დააყენებ ბეთჰოვენის და ბახის გენიის გვერდით. ჩემთვის ეს არის ამოუხსნელი ფენომენი! საიდან წამოვიდა, რაზე უნდა აშენებულიყო და როგორ დაიბადა, როგორ გაუძლო ყველაფერს და ამ საუკუნეების მანძილზე შემოგვრჩა? ცნობილია ხომ, რომ პროფესიულ მუსიკაში უმაღლესი ფილოსოფიაა კოდირებული, საოცარად ამაღლებული ესთეტიზმითა და მისტიციზმით... აი, სწორედ ამ დონეზეა ქართული ხალხური სიმღერა. ვიმეორებ, ჩემთვის დღემდე ამოუხსნელია ეს ფენომენი! ალბათ, მე არ მყოფნის განათლება ან ისტორიული, ან მეცნიერული, მაგრამ სამწუხაროდ, ვერც ვერავინ ვერ ახსნა და ამოხსნა ამ საოცრების იდუმალება. ამ შემოქმედებას არ აქვს ანალოგი – მარტო ჩვენთან არის და სხვაგან არსად. ყველაზე დიდი სიმდიდრე სწორედ ქართული ხალხური სიმღერა მგონია, რომელიც XX საუკუნეს კი არ შეუქმნია, კი არ შეუცვლია, არამედ XX საუკუნემ ყველაფერი გააკეთა, რომ დაენგრია და დაეღუპა. მაგრამ ის მაინც დგას. არის რაღაც, რასაც ვერ ნააქვევ.

ახალგაზრდობაში ძალზედ კრიტიკულად ვიყავი განწყობილი ზაქარია ფალიაშვილის მიმართ. გატაცებული ვიყავი ამ მოდერნიზმით, ამ ვითომ პროგრესით, რომელიც მუსიკაში ხდებოდა. ფალიაშვილის მუსიკა კი, ამ ფონზე ძალზედ პრიმიტიულად გამოიყურებოდა. ახლა, ხანში რომ შევედი და გადავხედე ირგვლივ ყველაფერს, მივხვდი, რომ ვცდებოდი, და თან ძალიან. დღევანდელი გადასახედდან, ზაქარია ფალიაშვილი მაინც ერთადერთი მგონია ეროვნულ პროფესიულ მუსიკაში. ის კრიტიკული შეხედულებები, რაც მქონდა ახალგაზრდობაში, ცხადია, დამრჩა. მისი გამოსწორება დღესაც შეიძლება, მაგრამ ხელის ხლება არ შეიძლება. ვფიქრობ, თავისი საოცარი სულიერი და შინაგანი სამყაროთი „აბესალომ და ეთერი“ უკვდავი ნაწარმოებია. სხვას ვერაფერს ვერ დავასახელებ.

ქართული პროფესიული მუსიკა დღეს არავის არც აინტერესებს და სამწუხაროდ, არც დაინტერესებს მომავალში. ჩემს ხელში გაიარა თითქმის ყველა ქმნილებამ, ყველაფერი შესრულებული მაქვს, და კარგად ვიცნობ მათ მხატვრულ-შემოქმედებითი და ტექნოლოგიური თვალსაზრისით. ვფიქრობ, რაც მეტი დრო გავა, ამაზე მეტად არავის დაინტერესებს. ეს აღმოჩნდა მაინც მეორადი პოზიცია – ზოგი ვაგნერიზმით იყო გატაცებული, ზოგი კიდევ სხვა ზეგავლენის ქვეშ მოექცა. ყოველივე გვიანდელი რუ-

სული კულტურის ზეგავლენა იყო. ადრეული პერიოდის ქართველი კომპოზიტორები მოექცნენ ლილოზის, გლაზუნოვის, მუსორგსკის, ნანილობრივ, რიმსკი-კორსაკოვის სტილისტიკის ქვეშ. ჩაიკოვსკის გავლენა რომ ყოფილიყო, კიდევ მესმის და გავიგებდი, მაგრამ... მერე წამოვიდა გენიოსი შოსტაკოვიჩი და ქართული მუსიკა გაიჩხირა შუაში, გაიგეთ?! სხვათა შორის, რომ არა შოსტაკოვიჩი და პროკოფიევი, რუსულ კულტურასაც ძალიან ცუდად ჰქონდა საქმე და აქვს კიდევაც. მაგრამ არიან ერთეულები, ვინც განსაზღვრავს კულტურულ პოლიტიკას. ახლა მერაც მოყვები, ისტორიულად ასე მოხდა რუსეთშიც – ასე შემოვიდა რუსეთში ევროპული კულტურა, რომელიც შემოიტანეს ეკატერინეს ეპოქაში გერმანელებმა და ფრანგებმა; მაგრამ, რუსებმა, ჩვენგან განსხვავებით, შეძლეს „ევროპულის“ საოცარი ტრანსფორმაცია, რამაც, თავის მხრივ, წარმოიშვა რუსული მუსიკალური კულტურის ფენომენი. ამ მონაპოვარს ვერაფერი გადააბიჯებს. ჩაიკოვსკი ისეთივე გენიოსია ჩემთვის, როგორიც შუბერტი, ან გნებავთ, მთელი რომანტიზმი. ლისტი ჩაიკოვსკისთან მიმართებაში არაფერი არ არის. მაგრამ მუსორგსკი, თავისი თვითმყოფადობით, მთელი შინაგანი კულტურაა. სწორედ ამ შინაგანი კულტურიდან წარმოშვა ჩაიკოვსკიც და მუსორგსკიც. ანუ პროცესები მიმდინარეობდა კულტურის შინაგანი ტრანსფორმაციით, რაღაც სხვაგვარად გაიხსნენ. მერე წამოვიდა სტრავინსკი, წამოვიდა რახმანინოვი, სკრიაბინი ნაკლებად, მაგრამ, მაინც სკრიაბინიც! წამოვიდნენ პროკოფიევი და შოსტაკოვიჩი. ეს გენიოსები კიდევ ათი საუკუნე ეყოფა რუსეთს. გაიგეთ?! სამუხაროდ, ჩვენთან ეს პროცესები არ მოხდა. ჩვენ მოვექცეთ მათი გავლენის ქვეშ. და არ გამოჩნდა ადამიანი, რომელსაც შეეძლო ამგვარ სიმალღებზე აეყვანა ქართული საკომპოზიტორო სკოლა. ამ მხრივ, ჩვენ ვერც ეროვნული შევქმენით და ვერც შევედით დასავლეთის პროცესებში. დასავლეთთან ინტეგრაციას ხელი შეუშალა საბჭოთა კავშირის იდეოლოგიურმა მარწმუნებმა, მაგრამ, ალბათ სათანადო შემოქმედებით ნიჭის უქონლობამაც. ამას მართლ საბჭოთა ტოტალიტარიზმით ვერ ავსხნით, ვინაიდან, ამ ავადსახსენებელ ხანაში, ასეთივე შეზღუდულები იყვნენ რუსებიც. მაგალითად, შნიტკე, მაგრამ მან მაინც მიაღწია გარკვეულ სიმაღლეებს. თუმცა შნიტკეს მე არ ვახსენებდი ჩაიკოვსკის, რახმანინოვის, პროკოფიევისა თუ შოსტაკოვიჩის გვერდით. ის არც არის რუსული მოვლენა. აი, ამ თვალსაზრისით, მე ვიტყვოდი, რომ ერთადერთი

დიდი ნახტომის შედეგი ვახლავთ გია ყანჩელი. ალბათ იმიტომ, რომ მან ვერ მოასწრო ამ ტაობში ჩახრჩობა და გვიან მოვიდა მუსიკაში. მისი პარტიტურები და შემოქმედება თავისი კულტურით, ღრმად ჩაფიქრებული პროფესიონალიზმით, დიდი ოსტატობით, გამართულობით (ხომ არსებობს გამართული პარტიტურა!) გამოირჩევა. ვფიქრობ, ბედმა გაუღიმა. დროზე დაინგრა საბჭოთა კავშირი, დროზე წავიდა. უკანასკნელი შვიდი-რვა წელი დასავლეთში გია ყანჩელის ბუძია. საოცარი შესრულებებია, აქვს შეკვეთები, მის მუსიკას ასრულებენ გამოჩენილი მუსიკოსები. ვფიქრობ, იმიტომ, რომ მსოფლიოში დიდი დეკადანსია. ძალიან დიდი დეკადანსი! უცნაურია, მაგრამ ბეთჰოვენისა და მოცარტის ქვეყანას საინტერესო კომპოზიტორი არა ჰყავს დღეს და კიდევ დიდი ხანი არ ეყოლება. ისინი სულ გავიჟდნენ, გადაირიენ ელექტრონულ მუსიკაზე და თუ ელექტრონულ მუსიკას არ წერს კაცი, ის არ მიაჩნიათ კომპოზიტორად. შეიძლება ცუდი დანერო, მაგრამ უნდა იყოს ელექტრონული და კომპიუტერული ტექნიკით დანერილი. მე არ მინდა ჩემ თავზე ბევრი ვილაპარაკო, მაგრამ მუსიკის შეგრძნება, ვფიქრობ, განვითარებული მაქვს. როგორ შეიძლება თქვა ასეთ მუსიკაზე, რომ ნიჭიერი კაცის დანერილია, ან კარგია და ლამაზი?... მუსიკა ხომ ემოციური შემოქმედებაა და სხვა არაფერი ემოციის გარდა. მუსიკა უნდა ემსახუროს სილამაზეს და კეთილშობილებას. ის ღვთაებრივია. აი, ამ თვალსაზრისით, დასავლეთში დიდი კრიზისია და დიდი დეკადანსი.

ადამიანმა, რაც მეტი ინფორმაცია მიიღო, მით მეტად ზერელე განდა. ახლა, მაგალითად, ჩემთვის ძალიან საინტერესოა ის, რომ ე-მაილ-ით შეგიძლია დაქორწინდე, შეყვარებული იყო, მთელ მსოფლიოზე შეგიძლია გახვიდე და უთხრა: მე ვარ ესა და ეს, შემიძლია შევიყვარო და ის თუ დაგთანხმდა ე-მაილ-ით... დამთავრდა! ყველაფერი მოგვარებულია! ჰოდა, ამ პროცესებში როგორ გინდათ თქვენ მაღალ სულიერებაზე ილაპარაკოთ. ამიტომ შემოვიდა მასიური კულტურა, ეს იცის ფულმა, ბევრმა ფულმა. აი, ამერიკამ აიღო და დაიპყრო მთელი მსოფლიო. მე მახსოვს, გამოთქმა იყო საბჭოთა კავშირის დროს, თქვენ რაც არ უნდა იხტუნოთ, მე მოვიგებთ, იდეოლოგიითაც და ყველაფრით, იმიტომ, რომ ჩვენ გვაქვს ჯინსები და ჯაზი; თქვენ ახლა იარეთ და იმღერეთ თქვენი ჩასტრუშკებიო. ასეც მოხდა და ეს პროცესი მთელ მსოფლიოში მიდის სწრაფად. მაგრამ, საქართველოში ამ მხრივ კატასტროფა ხდება. როდესაც ყველაფერი გაიხსნა, უკვე არავის აღარ

სტერდება არც პროფესიონალიზმი და არც არაფერი. საქართველოში ხომ ყველა მღერის, იმიტომ, რომ სინდისი დაკარგა ხალხმა და ყველა ამღერდა. ყველას ჰგონია რომ კარგად მღერის, მაგრამ რა ქნას, უსინდისოა და მღერის. მაგალითად, სუფრაზე ნამღერი სიმღერა გამოაქვთ ესტრადაზე და მღერიან... ანდა ტელევიზია – ეს კლიპები! ჩაერთო ფულიც... თუმცა ეს სხვა თემაა.

დავუბრუნდეთ XX საუკუნის ქართულ პროფესიულ მუსიკას. მე მაინც ვიტყვოდი, რომ თავისი მუსიკალობით და ნიჭიერებით ქართველმა ხალხმა საშემსრულებლო ხელოვნებაში გაცილებით მეტ სიმაღლეებს მიაღწია, ვიდრე საკომპოზიტოროში. რაც არ უნდა ითქვას, ჩვენ გვყავს ლიანა ისაკაძე, თუმცა პირველს დავასახელებდი ელისო ვირსალაძეს, რომლის შემოქმედებაც საოცარი ფენომენია... ზურიკო ანჯაფარიძე (მე დიდ გვარებს ვისახელებთ). სამწუხაროდ ვერ მოვესწარი, მაგრამ ქედმოხრილი ვარ ეგვენი მიქელაძის წინაშე. კაცმა ვერაფერი ვერ მოასწრო, არავინ არაფერი არ იცის, არც ჩანანერება და არც არაფერი, მაგის გვარი კი ლეგენდად არის შემორჩენილი. ღმერთმა მშვიდობა მისცეს იმ ლეგენდაში. დღეს ხშირია მისი სახელით სპეკულაცია. ამით ხომ სული ნუხდება?! ეს არის ლეგენდა და ლეგენდა ყოველთვის ლამაზია და ლეგენდას ვერავითარ შემთხვევაში ვერ შექმნი, თუ მისი საფუძველი არ არსებობს. დირიჟორებიდან ვახსენებდი ოდისეი დიმიტრიადის, სხვათა შორის, რომელსაც ჩაკეტილი ჰქონდა საზღვრები და, შებლუდული იყო რეპერტუარით, მაგრამ ძალიან დიდი ნიჭიერების მქონე, საოცარი შემოქმედებითი ალტკინების კაცი იყო. ისევე, როგორც მომღერლებიდან, ვერ გავიგებ ვერსად, მაგრამ დიდ, მსოფლიო დონის მოვლენად იყვნენ მიჩნეულნი – დავით ანდლუღაძე, პეტრე ამირანაშვილი, დათიკო გამრეკელი.

რაც შეეხება ცისანა ტატიშვილს, მე მიმაჩნია, რომ მან უფრო ვერ შეძლო უცხოეთში წასვლის გადანყვებილების მიღება, ვიდრე მოექცა საბჭოთა ჩაკეტილობის ქვეშ. ცისანას ჰქონდა ამის შესაძლებლობა. მიმაჩნია, რომ არანაკლები კი არა, ორჯერ უკეთესი მონაცემები ჰქონდა, ვიდრე გენა დიმიტროვას. მაგრამ გენა დიმიტროვა დღეს აღიარებულია ყველგან, ლა სკალაში მღეროდა და იყო უდიდესი წამყვანი სოპრანო წლების მანძილზე. იცით, როგორ არის? მე ჩემ თავზე მაქვს გამოცდილი. ერთხელ რომ გაგიშვებენ, უნდა გამოიყენოთ, თორემ მეორეჯერ შეიძლება არ გაგიმართლოს. ამ მხრივ, ეტყობა, რაღაცეები უნდა გაიარო, მართო მონაცემი არ არის საკმარისი. ზოგადი კულტურა, ზოგადი აღზრდა, მოვლენებისადმი

დამოკიდებულება, პიროვნებას ხდის პიროვნებად. მთელი კომპლექსია გასავლელი. ჩვენთან იტყვიან ნიჭიერიო. ასე, მთელი საქართველო ნიჭიერია. ჩამოჰკრავ გიტარაზე სამ აკორდს და ყველა აუნყოფს ხმას. აბა, დამისახელებთ მე ხალხი, ვინც ქართულ ხალხურ სიმღერას მღერის. აი, ქართულ ხალხურ სიმღერას რომ იმღერებ, მაშინ ხარ ნიჭიერი და არა ის, ინგლისურად რომ იმღერებ სტივ უანდერის სიმღერას. ეს არ არის ნიჭიერება, ეს არის უბრალოდ, წამბაძველობა, რომელიც ყველას შეუძლია.

შემსრულებელთა ახალგაზრდა თაობიდან გვყავს ლექსო თორაძე, სამა კორსანტია, არაჩვეულებრივი პიანისტები. სწორედ ამდაგვარად უნდა წარმართულიყო პროცესები – აქ გავიზარდეთ, აქ დავფუძნდით, ვისწავლეთ სხვისგანაც, მაგრამ „სხვისას“ ჩვენც არანაკლებად ვაკეთებთ. ისე, როგორც მე მიხდება ხოლმე. მაგალითად, უნდა წახვიდე და იდირიჟორო სტრავინსკი პარიზში. ფაქტიურად, ვულკანზე უნდა გაიარო და არ იცი, ამოიფრქვევა თუ არა, და არც ის იცი, სად წავიღებს ლავა. საბედნიეროდ, აღნიშნული პროცესები საშემსრულებლო ხელოვნებაში უფრო მოხდა, მაგრამ, სამწუხაროდ, შემოქმედებითში ვერა. ამიტომაც, ასეთი ნახტომებითა და ასეთი პატარა ეპიზოდებით შემიძლია შემოვფარგლო XX საუკუნის ქართული პროფესიული კლასიკური მუსიკის სამყარო, რომელმაც მთელი საუკუნე გაიარა, ჰქონდა პატარა აფეთქებები, მაგრამ ფუყე ალტკინებაზე, ფუყე პროპაგანდაზე დამყარებული. ბევრი ნიჭიერი ქმნილებაც გვექონდა, მაგრამ არა იმ დონის, რომელიც ქართულ მუსიკას ევროპულ დონეზე გაიყვანდა. ჩვენ ხომ ვართ ევროსაბჭოს წევრები, – აი, იმ დონეზე.

საქართველოში დღეს რაც ხდება, პრიმიტიულ ხალხზე გათვლილი მასობრივი კულტურაა. ჩვენ ამ კულტურაშიც კი ძალიან დაბლა ვდგავართ, ძალიან დაბლა!. იცით რატომ? იმიტომ, რომ ნამეტანი პრიმიტიული ხალხი აღმოვჩნდით. ჩვენ ხომ ყველაფერს ისე ვიღებთ, როგორც გვანვიან და არა გულიდან, ისე როგორც ჩვენგან მოდის. მაგალითად, ნარკოტიკი ავიღოთ. უი, ეს რა კარგი ყოფილაო! პირადად მე ნარკოტიკში ცოტა ნიგოზს ვაგურევი და ისე მივიღებდი, რომ რაღაც ნაციონალური სახე მიეღო (იციანის), და დავფიქრდებოდი რაღაცაზე. ეს სხვადასხვაა, გაიგეთ?. ეს პროცესი, რაც დღეს ხდება, აუცილებლად გადაივლის, მაგრამ რომ გადაივლის, რა დარჩება, აღარ ვიცი. მე ვერ ვხედავ ვერაფერს, რაც დარჩება.



იანო ალიბაგაშვილი

„ადდგომიდან ამაღლებაამდე“

მეხუთე საიუბილეო ფესტივალი

მუსიკა ჩვენი სულიერი არსებობის განუყოფელი ნაწილია. მას ძლიერი ზეგავლენა შეუძლია მოახდინოს ჩვენ შინაგან სამყაროზე, გამოიწვიოს ამაღლებული გრძნობები, ფიქრები, გააკეთილშობილოს ჩვენი სული. კლასიკურ მუსიკას ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. სწორედ ამიტომ, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II ყოველმხრივ მხარს უჭერს ქართული

და მსოფლიო კლასიკური მუსიკის პროპაგანდას საქართველოში. იგი მიიჩნევს, რომ მომავალი თაობის აღზრდა უნდა განხორციელდეს უნიკალურ ქართულ კულტურასა და მსოფლიო კლასიკურ ხელოვნებაზე დაყრდნობით, რათა ახალგაზრდობა ავაცილოთ ფსევდოკულტურაზე დამყარებულ იაფფასიან ღირებულებებს და სულიერ მისწრაფებებს.



ფესტივალის გახსნა

ამ მხარდაჭერის რეალური გამოვლინებაა 2006 წელს პატრიარქის ლოცვა-კურთხევით დაარსებული საერთაშორისო ფესტივალი «აღდგომიდან ამაღლებამდე», რომელიც წელს მეხუთედ ჩატარდა თბილისში (7-14 აპრილს), აღდგომის ბრწყინვალე კვირეულის დღეებში, გაგრძელდა საჩხერეში (13 აპრილს) და დასრულდა ახალციხეში ამაღლების დღესასწაულზე (13 მაისს).

საერთაშორისო ფესტივალისათვის ხუთი წელი არცთუ დიდი დროა, მაგრამ ამ პერიოდში გამოიკვეთა ფესტივალისათვის დამახასიათებელი პრიორიტეტები და მიზნები – პატივი მიაგოს ქართულ სასულიერო, საერო, ხალხურ და კლასიკურ მუსიკას, ქართველ კომპოზიტორთა შემოქმედებას, მოახდინოს ეროვნული მუსიკალური მემკვიდრეობის პოპულარიზაცია, გაიხსენოს ღვანლმოსილი მუსიკოსები, შემსრულებლები, რომლებმაც დიდი

წვლილი შეიტანეს ქართული მუსიკალური კულტურის განვითარებაში, საზოგადოებას გააცნოს უცხოეთში მოღვაწე ახალგაზრდა ქართველი შემსრულებლები.

ფესტივალის დამფუძნებლები და ორგანიზატორები არიან სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი და «აკაკი რამიშვილის ფონდი – ტრადიცია და ინოვაცია».

ჩვენ დავინტერესდით როგორ გაჩნდა ამ ფესტივალის ჩატარების იდეა, რისთვისაც დავუკავშირდით „აკაკი რამიშვილის ფონდი – ტრადიცია და ინოვაციას“ თავმჯდომარეს ქ-ნ მარიამ დავითაშვილს. აი რა გვიამბო მან: «რამდენიმე წლის წინ ჩვენ დავაფუძნეთ „აკაკი რამიშვილის ფონდი – ტრადიცია და ინოვაცია“, რომელიც დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის პირველი თავმჯდომარის ნოე რამიშვილის ვაჟის, ცნობილი ქა-

როველი ემიგრანტის სახელს ატარებს.

აკაკი რამიშვილი 5 წლისა იყო, როცა 1921 წელს მისი ოჯახი, საქართველოს მთავრობის სხვა წევრებთან ერთად, საფრანგეთში გაიხიზნა ემიგრაციაში. მეორე მსოფლიო ომის დროს იგი პოლონეთის ჯარში იბრძოდა გერმანელების წინააღმდეგ. ორი წელი ტყვეობაში გაატარა. ტყვეთა ბანაკიდან გაქცევის შემდეგ მოხვდა ინგლისში, გახდა დიდი ბრიტანეთის და ჩრდილოეთ ირლანდიის სამეფოს მოქალაქე. სიცოცხლის ბოლო წლები კი ისევ საფრანგეთში გაატარა. დაკრძალულია ლევილის ქართველთა სასაფლაოზე.

მიუხედავად იმისა, რომ მთელი ცხოვრება უცხოეთში ცხოვრობდა, მისი მთავარი საზრუნავი ყოველთვის სამშობლო იყო. ძალიან განიცდიდა 90-იან წლებში საქართველოში განვითარებულ მოვლენებს. განსაკუთრებით აწუხებდა ახალგაზრდობის ემიგრაციის პროცესი. თვლიდა, რომ სამშობლოს გარეშე ადამიანი სულიერ სიმშვიდეს ვერ იპოვიდა და ოცნებობდა ქართველთა ერთიანობაზე.

ქრისტესმიერი სიყვარულით გაძლიერებული ასეთი ერთიანობა ყველაზე მეტად თავს იჩენს ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულის პერიოდში, რასაც ჩვენი პატრიარქის ლოცვა-კურთხევა კიდევ უფრო მეტ ძალას მატებს. სწორედ ამან მთავაგებონა მოგვეფიქრებინა პროექტი, რომელიც აღდგომის დღეებში უცხოეთში მოღვაწე ჩვენს თანამემამულეებს სამშობლოსთან დაკავშირებდა, საშუალებას მისცემდა მათ თავიანთი შემოქმედებით მშობლიური აუდიტორიის წინაშე წარმდგარიყვნენ. ასე გაჩნდა ფესტივალის დაარსების იდეა.

შემდგომში ეს იდეა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია მეორეს გავაცანით. მან დაგვლოცა და გვითხრა: „ხელოვნებას შესწევს ძალა გააერთიანოს ადამიანები, მუსიკა კი მათ შორის უპირველესიაო“. აქვე დასძინა: „მე და მუსიკა ერთად დავიბადეთ“.

ამის შემდეგ ყველაფერი უფრო მარტივად წარიმართა. პატრიარქის ლოცვა-კურთხევის შემდეგ მივმართეთ სრულიად საქართველოს პატრიარქის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდს, სადაც ეს იდეა დაიხვეწა და საბოლოოდ იმ სახით ჩამოყალიბდა, როგორც უკვე ხუთი წელია არსებობს. სახელწოდება საპატრიარქოში ქალბატონმა შორენა თეთრუაშვილმა შეგვირჩია, ხოლო ლოგოტიპი, რომლის სიმბოლიკა მაცხოვრის ამქვეყნიურ მოღვაწეობას უკავშირდება, მხატვარმა გურამ ქლიბაძემ



თამარ ლიჩელი

შექმნა».

პატრიარქის ლოცვა-კურთხევით დაარსებული ფესტივალი მართლაც ფეხბედნიერი აღმოჩნდა. პირველი ფესტივალი 2006 წელს ჩატარდა და იმთავითვე გამოიკვეთა მისი თავისებურებები. კერძოდ ის, რომ იგი იმართება არა მარტო თბილისში, არამედ ამაღლების დღესასწაულამდე მოიცავს საქართველოს რამოდენიმე ქალაქს. ფესტივალში ცნობილ ხელოვანებთან ერთად მონაწილეობენ საქართველოსა და უცხოეთში მცხოვრები ქართველები, ასევე ქართული კულტურით დაინტერესებული უცხოელი შემსრულებლები. ფესტივალზე დიდი ყურადღება ეთმობა ბავშვთა შემოქმედებას, ეწყობა მათ ნამუშევართა გამოფენები ბიბლიურ თემებზე, ხალხური და კლასიკური მუსიკის კონცერტები. ყოველ წელს ფესტივალს ყავს თავისი სამხატვრო ხელმძღვანელი, რომელიც თავისი შეხედულებისამებრ ადგენს საფესტივალო პროგრამებს და განსაზღვრავს ფესტივალში მონაწილე შემსრულებლებს და კოლექტივებს.

წლეუანდელი, საიუბილეო ფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელი ცნობილი ქართველი მევიოლინე მარინე იაშვილი გახლდათ.

ფესტივალის ორგანიზატორთა ინიციატივით ფესტივალის პირველი კონცერტი მიეძღვნა «იაშვილების მუსი-



გაქარია ხუროძე

კალურ დინასტიას» და ამ მუსიკალური გვარის პირველი წარმომადგენლის ცნობილი მევიოლინისა და პედაგოგის ლუარსაბ იაშვილის ხსოვნას (1907-1993).

7 აპრილს კონსერვატორიის დიდ დარბაზში თავმოყრილ პუბლიკას სასიამოვნო შეხვედრა ელოდა საზღვარგარეთ მოღვაწე სახელგანთქმულ მევიოლინეებთან, ლუარსაბ იაშვილის შთამომავლებთან, მის ქალიშვილებთან – მოსკოვის კონსერვატორიის პროფესორ მარინე და სერბეთის ქ. ნოვი-სადის კონსერვატორიის პროფესორ ირინე იაშვილებთან, შვილიშვილებთან – მანანა დუგლაძესთან (ირინე იაშვილის ქალიშვილი), რომელიც სერბეთიდან დაბრუნების შემდეგ მოღვაწეობს ჯ. კახიძის სახელობის თბილისის სიმფონიურ ორკესტრში და ასწავლის ზ. ფალიაშვილის ცენტრალურ სამუსიკო

სასწავლებელში და გიორგი (გია) იაშვილთან (ნანა იაშვილის ვაჟი), რომელიც ესპანეთში აგრძელებს თავის საშემსრულებლო კარიერას. დედის ავადმყოფობის გამო თბილისში ვერ ჩამოვიდა და კონცერტში მონაწილეობა ვერ მიიღო ლუარსაბ იაშვილის უმცროსმა ქალიშვილმა, ცნობილმა მევიოლინემ ნანა იაშვილმა, რომელიც ამაჟამად გერმანიაში ეწევა პედაგოგიურ და საშემსრულებლო მოღვაწეობას.

კონცერტმა თვალნათლივ წარმოაჩინა ამ მუსიკალური გვარის წარმომადგენელთა გამორჩეული ნიჭიერება და პროფესიული ოსტატობა. განსაკუთრებით აღსანიშნავია მარინე იაშვილის შესრულება, რომელიც მუხედავად ასაკისა კვლავ საუცხოო ფორმაშია. უფრო მეტიც, სწორედ წლების მანძილზე დაგროვილი უდიდესი გამოცდილებისა და ღვთითობიერებით ტალანტის წყალობით მისმა შესრულებამ უფრო მეტი ფილოსოფიური სიღრმე და სიბრძნე შეიძინა, ამავე დროს შეინარჩუნა ვირტუოზული ბრწყინვალება. ასევე არ შეიძლება არ გამოვყოთ გიორგი იაშვილის მაღალი პროფესიული ოსტატობა, შესრულების ემოციური და ამავედროულად დახვეწილი მანერა.

თუ კონცერტის პირველ განყოფილებაში თითოეული შემსრულებელი სოლო პროგრამით წარსდგა მსმენელის წინაშე, მეორე განყოფილებაში ისინი ერთად ვიხილეთ ი.ს. ბახის კონცერტში ორი ვიოლინოსათვის (მარინე და გია იაშვილები), ვივალდის ოთხი ვიოლინოსათვის შექმნილ კონცერტში – მარინე, ირინე, გია იაშვილები და მანანა დუგლაძე. აღსანიშნავია რომ ამ კონცერტების თანმხლებ კამერული ანსამბლის შემადგენლობაში ჩელოს პარტიას ასრულებდა მარინე იაშვილის უფროსი ქალიშვილი ლალი პოლიტოვსკაია.

8 აპრილს, ფესტივალის ფარგლებში ორი ღონისძიება იყო დაგეგმილი. პირველი, კონსერვატორიის დიდ დარბაზში ჩატარდა და მასში მონაწილეობა მიიღეს ხელოვნების აკადემიის მიერ, ბავშვთა შორის საფორტეპიანო, საორკესტრო საკრავების, საესტრადო სიმღერისა და ფოლკლორის ჟანრში გამართული კონკურსების გამარჯვებულებმა. აღსანიშნავია რომ ლაურეატთა შორის იყვნენ არა მარტო თბილისის სამუსიკო სკოლებისა და სტუდიების მოსწავლეები, არამედ საოცრად ნიჭიერი ბავშვები რეგიონებიდან. განსაკუთრებით აღსანიშნავია რომ კლასიკური მუსიკის სფეროში თბილისის ტრადიციულად მეტოქეობას უწევდა ქუთაისი. თუ რეგიონებში ადგილობრივმა თვითმმართველობამ უფრო მეტი ყუ-



ალექსანდრა მინდიაშვილი

რადღება დაუთმო ბავშვთა სახელოვნებო განათლების გაუმჯობესებას, საქართველოს მსხვილ ქალაქებში თერთმეტწლიანი სამუსიკო სასწავლებლების გახსნამ გამოასწორა ახალი კადრების აღზრდის სფეროში ამჟამად არსებული საგანგაშო ვითარება, უნდა გვქონდეს იმედი, რომ რეგიონებიდან უფრო მეტი ნიჭიერი ბავშვი შეემატება ეროვნულ კონკურსებში გამარჯვებულთა სიას.

მეორე ღონისძიება გაიმართა თბილისის საკონცერტო დარბაზში. კონცერტში მონაწილეობდა თბილისის სიმფონიური ორკესტრი, დირიჟორი ვახტანგ კახიძე, სამების საკათედრო ტაძრის გუნდი და სოლისტები, იტალიაში მოღვაწე ცნობილი მომღერალი იანო ალიბეგაშვილი და მევიოლინე გიორგი იაშვილი, რომლისთვისაც ის დღე გამორჩეული იყო – მან საქართველოს მოქალაქეობა

მიიღო.

მოცარტის, ბელინის ვერდისა და ფალიაშვილის ნაწარმოებებთან ერთად საღამოზე აუღერდა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II ქმნილებები: «კირიე ელეისონ», «დავიდალე» და ვახტანგ კახიძის მიერ არანჟირებული «ავე მარია» (პირველი შესრულება).

პატრიარქის საგალობლები ჩვენს საზოგადოებაში უდიდესი პოპულარობით სარგებლობს. მათი სადა, ლამაზი მელოდიზმი გულშიჩამწვდომია და პირველივე მოსმენისთანავე ახლოებული და გასაგები ხდება ყველასათვის. ამავე დროს მათ ახასიათებთ დიდი სულიერი ზემოქმედების ძალა, რითაც იმსჯვალება როგორც შემსრულებელი, ასევე მსმენელი. მომღერალმა იანო ალიბეგაშვილმა «ავე მარიას» პრემიერის შემდეგ აღნიშნა, რომ სიმღერის დროს ემოციურად იმდენად იყო დამუხტული, რომ ძლივს იკავებდა ცრემლებს. ასევე ამაღელვებელი იყო ახალ საგალობელზე მუშაობა სამების საკათედრო ტაძრის საპატრიარქო გუნდისათვის (ქორმალისტრები სვიმონ ჯანგულაშვილი და გიორგი დონაძე), რომლებიც მისი უწმინდესობის მიერ შექმნილი ყველა საგალობლის პირველი შემსრულებლები არიან.

ფესტივალზე უკვე ტრადიციად ჩამოყალიბდა გამოჩენილ ქართველ ხელოვანთა ხსოვნისადმი მიძღვნილი კონცერტების ჩატარება. 9 აპრილს კონსერვატორიის დიდ დარბაზში სწორედ ასეთი ხსოვნის საღამო გაიმართა. იგი მიეძღვნა ქართული საფორტეპიანო სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელს, გამოჩენილ პედაგოგს, ქართული საფორტეპიანო სკოლის ერთერთ დამაარსებელს ანა თულაშვილს (1874–1956). კონცერტში მონაწილეობდნენ ანა თულაშვილის უშუალო მოსწავლე, მოსკოვში მოღვაწე ქართველი პიანისტი მარგარიტა ჩხეიძე, ეთერ გულისაშვილი, მოსწავლეთა მოსწავლეები – პროფ. ვანდა შიუკაშვილის აღზრდილი, კონსერვატორიის საფორტეპიანო კათედრის პროფესორი რევაზ თავაძე, პროფ. თენგიზ ამირეჯიბის აღზრდილები – მზია ჯაჯანიძე და ალექსანდრე ყანჩაველი. მეორე თაობის ეს ორი ახალგაზრდა პიანისტი დღეს წარმატებით აგრძელებს საშემსრულებლო კარიერას უცხოეთში, მზია ჯაჯანიძე – გერმანიაში, ალექსანდრე ყანჩაველი – შოტლანდიაში.

ამ კონცერტმა ნათლად დაგვანახა განსხვავება ძველი და ახალი თაობის პიანისტთა საშემსრულებლო სტილებში.

მარგარიტა ჩხეიძის პროგრამა ძირითადად შოპენის ნაწარმოებებზე იყო აგებული. მისმა შესრულებამ გავვა-



სენა ჰიანისტური ხელოვნების ის მივიწყებული ტენდენციები, რომელიც შოპენის უფრო ინდივიდუალურ და თავისუფალ ინტერპრეტაციას ეყრდნობოდა: რუბატოებით ხაზგასმული ინტონაციები და ბგერითი ნიუანსების უკაბედი გრადაციები. ეს ტენდენციები უფრო შესაძლებელი იყო XX საუკუნის 50-60-იან წლებში. ახალი თაობის ჰიანისტა შესრულებაში კი ჭარბობდა მეტი რაციონალიზმი, ტექნიკური სრულყოფილება და მსხვილი პლანებით აზროვნების უნარი.

10 აპრილის კონსერვატორიის დიდ დარბაზში ჩატარებულ კონცერტზე ერთად ჟღერდა ქართული და დასავლეთევროპული სასულიერო მუსიკის ქმნილებები: ქართული საგალობლები ვაჟთა ვოკალური ანსამბლის «მოდახილის» შესრულებით და ი.ს. ბახის, ვ. ჰახელბელის, ვ. ბრუნსის ინსტრუმენტული ნაწარმოებები. კონცერტში მონაწილეობას იღებდნენ მევიოლინეები — მარინე, ირინე იაშვილები, მანანა დუგლაძე და ორგანისტი ირინე ვერკელი, რომელმაც თბილისის კონსერვატორიის მუსიკათმცოდნეობის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა დანიაში ორგანის და კლავიკორდის სპეციალობებით. ამჟამად იგი მოღვაწეობს დანიაში, როგორც სხვადასხვა ტაძრის ორგანისტი.

11 აპრილს შოთა რუსთაველის თეატრში გაიმართა ფესტივალის თბილისური ნაწილის დასკვნითი საღამო, რომელიც მთლიანად ქართულ მუსიკას დაეთმო და ღვანლმოსილი დირიჟორის ზაქარია ხუროდის დაბადების 85 წლისთავს მიეძღვნა (1925 — 2005). კონცერტში მონაწილეობდნენ ევ. მიქელაძის სახ. ეროვნული სიმფონიური ორკესტრი ვახტანგ მაჭავარიანის დირიჟორობით, სოლისტები: ჰიანისტი, საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი თამარ ლიჩელი და მევიოლინე ალექსანდრე მინდიაშვილი, ქართველი, რომელიც ნიჟინ-ნოვგოროდში დაიბადა და ამჟამად მოსკოვის კონსერვატორიაში სწავლობს პროფ. მარინე იაშვილთან.

ბრწყინვალე შვიდეულის კვირის ბოლოს გამართული კონცერტის სადღესასწაულო განწყობას აძლიერებდა კონცერტისათვის შერჩეული პროგრამა: ალექსი მაჭავარიანის ორი საზეიმო უკერტიურა და სავიოლინო კონცერტი, მერი დავითაშვილის საორკესტრო პიესები — ეროვნული ინტონაციებითა და რიტმებით გაჯერებული «ორი ცეკვა» და «სიუიტა», «ფანტაზია ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის».

სოციალისტური რეალიზმის სტილისტიკის ფარგლებ-

ში შექმნილმა საორკესტრო პიესებმა ის პერიოდი შეგვახსენა, როცა საბჭოთა იდეოლოგიის ჩარჩოებში მოქცეულ ხელოვანს თავისი დამოკიდებულება სინამდვილისადმი აუცილებლად «ნათელი მომავლის» რწმენით და ოპტიმიზმით უნდა გამოეხატა. მიუხედავად დაკვეთის ხელოვნურობისა, კომპოზიტორთა მაღალი ნიჭიერების და პროფესიონალიზმის ნყალობით, აღნიშნული ნაწარმოებები საბჭოთა პერიოდის ქართული მუსიკის შესანიშნავ ნიმუშებად იქცნენ და დღესაც არ კარგავენ აქტუალობას.

ასეთივე მჩქეფარე და ენერგიული მუსიკით იყო გაჯერებული მერი დავითაშვილის « ფანტაზია ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის », რომელიც თამარ ლიჩელმა მისთვის ჩვეული მაღალი პროფესიონალიზმით, მგზნებარედ და ვირტუოზული ბრწყინვალეობით შეასრულა.

ალექსი მაჭავარიანის სავიოლინო კონცერტი, რომელიც არა მარტო კომპოზიტორის შემოქმედების ერთერთი მწვერვალია, არამედ XX საუკუნის ქართული სავიოლინო მუსიკის შედევრად შეიძლება ჩაითვალოს, ახალგაზრდა მევიოლინის ალექსანდრე მინდიაშვილისათვის საქართველოსთან და ქართულ მუსიკასთან პირველი შეხვედრის საბაზი გახდა. მან წარმატებით გაართვა თავი იმ სირთულეებს, რასაც კონცერტის შესრულება ითვალისწინებს ემოციური და ინტელექტუალური კუთხით, ასევე სრულფასოვანი საშემსრულებლო ტექნიკის ფლობის თვალსაზრისით.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ვახტანგ მაჭავარიანის დირიჟორობით ევგ. მიქელაძის სახ. ეროვნული სიმფონიური ორკესტრის მიერ საორკესტრო ნაწარმოებების კოლორიტული, თანშეწყობილი და ემოციურად ზეანეული შესრულება, საფორტეპიანო და სავიოლინო კონცერტებში კი საორკესტრო პარტის დაბალანსებული, სოლისტებთან ორგანულად შერწყმული ჟღერადობის მიღწევა.

კონცერტის ბოლოს საპატრიარქომ და ფესტივალის საორგანიზაციო საბჭომ საპატიო სიგელებით დააჯილდოვეს ფესტივალის სპონსორები, მხარდამჭერები და ერთგული პარტნიორები. მათ შორის იყვნენ თბილისის მერია, თელასი, რადიო «მუზა», თბილისის სახ. კონსერვატორია და სხვ.

ტრადიციულად, ფესტივალის ფარგლებში, თბილისში ჩატარებულ კონცერტებს მოყვება გასვლითი კონცერტები რეგიონებში. ამჯერად ეს იყო საჩხერე. იმერეთის ეს კოპნია, პატარა ქალაქი შემთხვევით არ აღმოჩნდა საფესტივალო რუქაზე. როგორც გაირკვა, იგი იაშვილების

მშობლიური კუთხე ყოფილა. აქ დღესაც დგას მათი სახლი. ამდენად იაშვილებისთვის საჩხერეში ჩასვლა ორმაგად სასიამოვნო იყო. ერთი მხრივ, ბავშვობის მოგონებები მარინე და ირინესთვის, მეორეს მხრივ, შეხვედრა მსმენელთან, რომელიც ჭეშმარიტი მამულიშვილისა და თავისი კუთხის დიდი პატრიოტის ბიძინა ივანიშვილის მიერ ნაპატრონებ და გარემონტებულ კულტურის სახლში სულმოუთმენლად ელოდა საპატიო სტუმრებს. კონცერტში გარდა იაშვილებისა, მონაწილეობა მიიღო ფოლკლორულმა ანსამბლმა «იმერეთმა», რომლის ხელმძღვანელია რობერტ გოგოლაშვილი. ეს ანსამბლი დიდ როლს ასრულებს ამ რეგიონის კულტურულ ცხოვრებაში და პოპულარიზაციას უწევს ხალხურ და პროფესიულ მუსიკას. ამ კონცერტზეც ანსამბლმა ხალხური სიმღერების გარდა შეასრულა კომპოზიტორ ნინო ჯანჯღავას ორი «ალილეუა» სპეციალურად ფესტივალისათვის დაწერილი საგალობლების ციკლიდან. დამსწრეთა შორის იყვნენ ცხუმ-აფხაზეთისა და საჩხერე ჭიათურის მიტროპოლიტი დანიელი და ეპარქიის სხვა წარმომადგენლები.

V საიუბილეო ფესტივალის დასკვნითი საღამო 13 მაისს, ახალციხეში, მესხეთის სახელმწიფო დრამატულ თეატრში გაიმართა. კონცერტში მონაწილეობდნენ პიანისტი თამარ ლიჩელი, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის ბატონ ნიკოლოზ რურუას მხარდაჭერით სპეციალურად ამ დღისთვის ესპანეთიდან ხელმეორედ ჩამოსული მევიოლინე გიორგი იაშვილი, კამერული ანსამბლი „მუზა“ და ადგილობრივი შემოქმედებითი კოლექტივები: უხუცეს მომღერალთა ანსამბლი; ახალციხის უნივერსიტეტის გოგონათა ანსამბლი; ახალციხის ქორეოგრაფიული ანსამბლი „ლომსია“. საღამოს დაესწრო ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტი თეოდორე.

დასკვნითმა საღამომ სადღესასწაულო ვითარებაში ჩაიარა და კიდევ ერთხელ წარმოაჩინა ამ ფესტივალის ჩატარების მნიშვნელობა მისი ეროვნული სულისკვეთებისა და კარგახსნილობის გამო: ვასვლით კონცერტებში მონაწილეობას იღებდნენ არა მარტო მოწვეული შემსრულებლები, არამედ ადგილობრივი კოლექტივები, რაც ააქტიურებს მათ მოტივაციას, ზრდის პასუხისმგებლობას და ამით აუმჯობესებს იქ არსებულ კულტურულ გარემოს.

საიუბილეო ფესტივალზე ერთი საინტერესო გადამწყვეტილება იქნა მიღებული. ფესტივალის საორგანიზაციო საბჭოს წევრის ლაშა ჟვანიას ინიციატივით, მომავალში შესაძლოა ფესტივალის გეოგრაფია გაიზარდოს და ერთ-

ერთი საღამო უცხოეთშიც ჩატარდეს. წელს კი ფესტივალის „ექო“, მისი დამთავრების შემდეგ ბათუმში გაისმა. ეს კი შემდეგნაირად მოხდა:

ფესტივალის მსვლელობის პერიოდში აშშ-დან საორგანიზაციო საბჭოს დაუკავშირდა ქართველი ხალხის დიდი მეგობარი, პიანისტი, საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი პეტრონელ მალანი, რომელიც წარმომობით სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკიდანაა. მან საქართველოსადმი სიყვარულისა და პატივისცემის ნიშნად სურვილი გამოთქვა მონაწილეობა მიეღო ფესტივალში. ბათუმში მისი ჩამოსვლა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრის ბატონ მათე ტაკიძის უშუალო მხარდაჭერით მოხერხდა. გაიმართა ძალზე საინტერესო კონცერტი ბათუმის სახელმწიფო სიმფონიურ ორკესტრთან ერთად. შესრულდა ბეთჰოვენის №15 საფორტეპიანო კონცერტი, რომელიც კომპოზიტორის დაბადების 240 წლისთავს მიეძღვნა. სადირიჟორო პულტთან იდგა ორკესტრის სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორი დავით მუქერია, რომელმაც თავისი მაღალი პროფესიონალიზმით ღირსეული პატრნირობა გაუწია სტუმარს. „ეს იყო ჩემთვის დაუვიწყარი შემოქმედებითი ტანდემი. მიუხედავად იმისა, რომ მე ქართული არ მესმოდა, დირიჟორის ხელები და მისი სახის მიმიკები სიტყვებზე მეტად მეტყველებდნენ“ – აღფრთოვანებულმა აღნიშნა კონცერტის შემდეგ პეტრონელ მალანმა და მომავალი თანამშრომლობის იმედი გამოთქვა. საინტერესო იყო ასევე მის მიერ ბათუმის კონსერვატორიის ფორტეპიანოს სპეციალობის სტუდენტებთან ჩატარებული მასტერ კლასები.

დასასრულ, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საქველმოქმედო ფონდის მთავარმა მენეჯერმა, საერთაშორისო ფესტივალის „აღდგომიდან ამაღლებამდე“ საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ ირაკლი ქადაგიშვილმა ფესტივალის სიგელები გადასცა პეტრონელ მალანს, დავით მუქერიას და მათე ტაკიძეს. აქვე გამოითქვა სურვილი მომავალში ფესტივალის დასკვნითი საღამოების ბათუმში მოწყობის შესახებ.

ასე რომ, ფესტივალი ვითარდება, იხვენება და მომავალ წელს აშშ-ში მოღვაწე ცნობილი ქართველი პიანისტის ალექსანდრე კორსანტიას ხელმძღვანელობით კიდევ უფრო საინტერესო, გაფართოებული მასშტაბით შეეგებება აღდგომისა და ამაღლების ბრწყინვალე დღესასწაულებს.

ზაქარია ფალიაშვილი იოანის ბაღას

~~წილების წესი~~
~~იოანე ოქროპირის ვასილი~~
~~წილებითი შეწიხულისა და მღვდელთა-მთავრის~~
~~წახმონისაჲთა ქალთა და ვაჟთა გუნდისათვის~~

~~საქ. ფალიაშვილისა მიერ.~~

ამ ცოტა ხნის წინ ქართველმა საზოგადოებამ დიდად მნიშვნელოვანი ფაქტი შეიტყო: ამერიკის შეერთებულ შტატებში, ვაშინგტონის პრესბიტერიანულ ტაძარში შესრულდა ქართული ნაწარმოები, როგორც გამოცხადდა — ზაქარია ფალიაშვილის ლიტურგია. ჩვენში ძალზე სასიხარულო განცდები გამოიწვია ქართული ნაწარმოებისადმი, მეტადრე წარსული ნიმუშისადმი, ოკეანის ვაღდა ასეთმა ცოცხალმა ინტერესმა და ესოდენ მხურვალე მიღებამ. ამას უნდა ვუმაღლოდეთ პირთვნებებს, რომელთა ინიციატივითა და ძალისხმევითაც განხორციელდა ჩვენთვის დიდად საშური საქმე. ესა ადამიანები არიან: პროექტის ინიციატორი და კაპიტალჰოლის ქოროს დამფუძნებელი პარკერ ჯეინი, აღმოსავლეთ ევროპის მუსიკის კალიფორნიელი მკვლევარი ვლადიმერ მოროსინი, რომლის პირად არქივიდან მოიპოვეს ეს ნაწარმოები, (თავად მოროსინმა მას მოსკოვის სახელმწიფო ბიბლიოთეკაში მიაგნო და ასლი გადაიღო), და ტაძრის ქოროს ხელმძღვანელი, დირიჟორი ფრედერიკ ბინჭოლდერი. ეს უკანსკელი ორი წლის განმავლობაში მუშაობდა ამაზე, გაცენო ფალიაშვილის შემოქმედებას, გუნდის წევრებს შეასწავლა ქართული ტექსტი. ახლო

მომავალში ჩაფიქრებული აქვს საქართველოში ჩამოსვლა და ლიტურგიის აქ შესრულება. რაც შეეხება ნაწარმოებს, რომელმაც ამგვარი რეზონანსი გამოიწვია: ეს ვახლავთ ქართული საგალობლები, რომელთა თანმიმდევრობა ექვემდებარება წმინდა იოანე ოქროპირის წირვის წესს. იგი დაამუშავა ზაქარია ფალიაშვილმა, რაც დაიბეჭდა და გამოიწვა კიდეც 1909 წელს „ტფილისის ქართული ფილარმონიული საზოგადოების“ მიერ. ნაწარმოების დედანი კუთვნილება ზაქარია ფალიაშვილის სახლ-მუზეუმის, ხოლო გამოცემული ეგზემპლარები ინახება აგრეთვე მუზეუმში და საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნულ ბიბლიოთეკაში. ხელნაწერსა და გამოცემას შორის არის გარკვეული ცვლილებები. როგორც ჩანს, კომპოზიტორმა დროთა განმავლობაში დახვეწა და შეცვალა რიგი ნიუანსებისა. გამოცემის თავფურცელს შემდეგი წარწერა ახლავს ქართულ და ძველ რუსულ ენებზე: ქართული (ქართლ-კახური კილო) საეკლესიო საგალობლები წმ. იოანე ოქროპირის წირვის წესისა ქალთა და ვაჟთა გუნდისათვის ხმა-შენწყობილი ზაქ. პ. ფალიაშვილის მიერ შესრულებული ტფილისის ქართულ

ზაქარია ფალიაშვილის სახლ-მუზეუმიდან

ფილარმონიული საზოგადოების კონცერტებზედ. აქი მუსიკალური (სანოტო) ტექსტის დასაწყისი კი ამგვარადაა დასათაურებული: საგალობელნი ლიტურგიისა წმ. იოანე ოქროპირისა ქართლ-კახურ კილოზედ ქალთა და ვაჟთა გუნდისათვის.

ზემოთმოყვანილიდან საყურადღებოა ერთი ცნობა: „შესრულებული ტფილისის ქართულ ფილარმონიული საზოგადოების კონცერტებზედ“. ე. ი. ნანარმოები გამოცემაზედ უკვე შესრულებულა, მაგრამ არა ტაძარში, არამედ საკონცერტო დარბაზში

გამოცემას ახლავს თვით ზაქარია ფალიაშვილის ვრცელი წინასიტყვაობა. აქ დიდი კომპოზიტორი და მამულოშვილი განმარტავს მის მიერ განეული შრომის მნიშვნელობასა და არსს. ხაზს უსვამს საგალობლის როლს ქართველი პიროვნების ჩამოყალიბებაში, ქართველი ადამიანის სარწმუნოებრივი გრძნობის გაღვივებაში. ამ საქმესთან დაკავშირებით განსაკუთრებით ხაზს უსვამს XIX-ის მოღვაწის გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ალექსანდრეს ღვანლს. სახელდობრ, 1862-63 წლებში ექსარქოსის ევსევის დროს აღძრული იყო საკითხი, ძველ ქართული საეკლესიო გალობის აღდგენის შესახებ. დაარსებულა კიდევ კომისია, რომლის თავმჯდომარეც გახლდათ სწორედ ეპისკოპოსი ალექსანდრე. მისი თაოსნობით დაიწყო ფულის შეგროვებაც ამ საქმისათვის. შემდგომ კომისიის მუშაობა შეაფერხა ორი პრინციპული აზრის არსებობამ: არქიმანდრიტების ნაწილი ამტკიცებდა, რომ ძველი ქართული გალობის მკოდნენი შემორჩენილი არიან მხოლოდ გურიაში, ხოლო კომისიის წევრთა მეორე ნაწილი, მათ შორის ეპისკოპოსი ალექსანდრეს აზრით, რომ აუცილებელი იყო ქართლ-კახური გალობის აღდგენა და გავრცელება. ამ კომისიის გაუქმების შემდეგ ეპისკოპოსი ალექსანდრე არ შეეშვა ამ საქმეს და თავის საკუთარი ხარჯებით განაგრძო ამ მიზნისათვის ბრძოლა. მან 1884 წელს ხელშეკრულება დადო იმ დროის თბილისის საიმპერატორო სკოლის დირექტორთან მიხეილ იპოლიტოვ-ივანოვთან, რომელსაც საგალობლები ნოტებზე უნდა გადაეღო. ეპისკოპოსმა ალექსანდრემ იპოლიტოვ-ივანოვს მიუჩინა მგალობლები, რომელთა შესრულებასაც ის ჩაინერდა. ესენი გახლდნენ: მღვდლები ალ. მოლოდინაშვილი და გრ. მღვბრიშვილი და ძმები ვასილ და პოლიექტი კარბელაშვილები, ამ დროს ჩანერილი იქნა წმინდა იოანე ოქროპირის წირვა და კიდევ ბევრი სხვა საგალობელი. როგორც ზ. ფალიაშვილი აღნიშნავს, აქედან გამოქვეყნებული ყოფილა მხოლოდ წმინდა იოანე

ოქროპირის წირვა.

ზ. ფალიაშვილს სწორედ ზემოთმოყვანილი ჩანაწერით უსარგებლია. იმ თანმიმდევრობაში ჩაუმატებია კიდევ რამდენიმე საგალობელიც.

საგალობლები ზაქარია ფალიაშვილს ოთხი ძირითადი ხმისთვის აქვს გადატანილი. თუმცა მნიშვნელოვანია ამასთან დაკავშირებით თვით კომპოზიტორის განმარტება. „როცა ამ საგალობლებს ხმას უწყობდი, მე მხედველობაში მქონდა მხოლოდ – დიდი ქალთა და ვაჟთა გუნდი, ამისათვის საგალობლების მომეტებული ნაწილი დაწერილი მაქვს ხუთ, ექვს და ზოგან შვიდ ხმადაც, რის ასრულებაც საშუალო გუნდისათვის მუდამ ადვილი არ იქნება; ამისათვის იმ გალობის მასწავლებელთ, რომელთაც დიდი გუნდები ხელთ არა ჰყავთ, მე ურჩევ შემდეგი ჩვენება იხელმძღვანელონ. საგალობლების ოთხ ხმაზედ მოწყობა ქალთა და ვაჟთა გუნდისათვის რასაკვირველია მეტად ადვილია, ამისათვის საკმარისია მხოლოდ გაორკეცებული ხმები, – რომლებიც მომეტებულ ნაწილად მელიოდისთან ხვდება, გამოაკლონ, ხოლო სამ ხმად გადასაკეთებლად, ერთ გვარ გუნდისათვის, ისე როგორათაც თვით ხალხი ჩვეულებრივ გალობს ხოლმე საჭიროა მართო პირველი ხმა და ბანი შეუცვლელად დარჩეს და მეორე ხმისათვის კი ისარგებლონ „ალტისა და ტენორის“ სათქმელი, მხოლოდ ისე კი, რომ ყოველივე მანჭულები (ფიგურები) რომლებიც ამ ორ ხმაში არის მოთავსებული, (მომეტებულად ალტში) შეძლებისდაგვარად ისე ამოიღონ, რომ არც მის ხასიათს და არც ჰარმონიურლ სისრულეს ნაკლი არ დაეცოს. მე დარწმუნებული ვარ, რომ თვითეულ სიმღერა-გალობის მასწავლებლისათვის ეს ძნელი არ იქნება და დიდ შრომასაც არ წარმოადგენს“.

ჩვენს წინაშე არსებული „ქართული საეკლესიო საგალობლების“ 1909 წ. გამოცემა კიდევ ერთხელ წარმოაჩენს დიდ ქართველ კომპოზიტორს ზაქარია ფალიაშვილს, როგორც დიდ ერთგულ მოღვაწეს, ზემოთმოყვანილ წინასიტყვაობაში დასტურდება მისი ზრუნვა და თავდადება სწორედ ქართული მართლმადიდებლური ეკლესიაში სათანადო სულისკვეთების დასამყარებლად ამერიკის შეერთებულ შტატებში შესრულებულმა ქართულმა ლიტურგიამ კი კიდევ ერთხელ შეგვახსენა ზაქარია ფალიაშვილის ნაამაგარი და რაც მთავარია, აღგვაფრთოვანა იმ მგზნებარებაში, რაც კონტინენტს გაღმა ჩვენი ეროვნული საუნჯის ნიმუშთან შეხებამ გამოიწვია.

თავარ ნულუკიძე

წელს ხელოვნებაში შეტანილი წვლილისათვის რუსთაველის პრემიით დაჯილდოვდა დირიჟორი, კომპოზიტორი ვახტანგ კახიძე.

ეროვნული პრემია მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო სიმებიან კვარტეტს, კონსტანტინე ვარდელის, თამაზ ბათიაშვილის, ნოდარ ჟვანიას, ოთარ ჩუბინიშვილის შემადგენლობით.



ვულოცავთ 2010 წლის ლაურეატებს!

ჟურნალ „მუსიკის“ რედაქცია და კომპოზიტორთა კავშირი გულითადად ულოცავს მათ ამ ღირსეულ ჯილდოებს და უსურვებს ახალ და ახალ წარმატებებს შემოქმედებით გზაზე.



გენეტიკური კოდი და მუსიკა

კომპოზიტორებმა და მეცნიერებმა ადამიანის გენეტიკური კოდი მუსიკალურ ნაწარმოებად გარდაქმნეს. ამის თაობაზე იტყობინება დიდი ბრიტანეთის სამეფო სამედიცინო ორგანიზაცია.

როგორც ცნობილია, ადამიანის დნმ-ი წარმოადგენს „ტექსტს“, რომელიც შედგება ოთხი ელემენტისაგან, ნუკლეოტიდების ოთხი „ასოსაგან“ (ადენინი, გუანინი, თიმინი, ციტოზინი), რომლებიც მილიარდ სხვადასხვა კომბინაციასა და თანაწყობას ქმნიან. ამ აზროვნაზე ფუძეთა მიმდევრობა გენეტიკური ინფორმაციის მატარებელია.

მუსიკოსსა და მეცნიერს, ექიმ ენდრიუ მორლის დაებადა იდეა ყოველი ამ ოთხი ნუკლეოტიდისათვის მიესა-დაგებინა განსაზღვრული ნოტი და ასე მიეღო გენომის მუსიკა. ენდრიუ მორლი ამბობს: „ახალგაზრდობაში მუდამ ვმღეროდი გუნდში და რაღაც-რაღაცეებს მეც ვწერდი, ამგვარად, მე ვიცოდი, რომ ნოტების თანმიმდევრობა რაღაცით გენეტიკურ თანმიმდევრობას მოგავიწყებს. მე კონსულტაცია გავიარე ნამდვილ კომპოზიტორთან და დავრწმუნდი, რომ არ ვცდებოდი, და რომ გენეტიკური ჯაჭვისაგან შესაძლებელი იყო რაღაცის შექმნა».

ამ მეთოდით მიღებული მუსიკალური ნაწარმოები, სახელწოდებით „Allele“ (ალელები – გენეტიკის ტერმინი – გულისხმობს ერთი და იმავე გენის სხვადასხვა ფორმებს; იგი განსაზღვრავს ერთი და იმავე ნიშან-თვისების ვარიანტებს), შესრულდა ლონდონის ახალი კამერული გუნდის მიერ 2010 წლის ივლისში, დიდი ბრიტანეთის სამეფო სამედიცინო საზოგადოების

დარბაზში. ამ ნაწარმოებში გაიყვრა ორმოცდაცხუთი გუნდის თითოეული მონაწილის გენეტიკურმა კოდმა (დირიჟორი ჯეიმს უიკსი).

მორლის „გენეტიკური ქორალის“ შექმნაში ეხმარებოდა მისი იდეით შთაგონებული კომპოზიტორი მაიკლ ზევ გორდონი: „მე განვიხილავდი გენეტიკურ კოდს ორი თვალსაზრისით – როგორც ნედლ მასალას, რომელიც ნოტების ენაზე უნდა გარდაქმნა, და აგრეთვე, როგორც რაღაც სასწაულებრივს, საოცარი სილამაზის მქონე მოვლენას“ – ამბობს გორდონი.

ნაწარმოები იწყება მარტივი რიტმული ფრაზით, რომელსაც მღერის გუნდის ერთი სოლისტი. შემდეგ მუსიკალური თემის განვითარების კვალდაკვალ, მას უერთდება სხვა ნმები, რომლებიც გადმოსცემენ „დნმ“-ის რეპლიკაციის ბიოლოგიურ პროცესს (პროცესი, როდესაც „დნმ“-ი ინფორმაციის შთამომავლობისათვის გადაცემისათვის, უჯრედის გაყოფამდე, წარმოქმნის თავის ასლს). ნაწარმოების საკვანძო მომენტი, როდესაც თითოეული მომღერალი თავისი საკუთარი გენეტიკური კოდის მულოდის შესრულებას იწყებს.

BBC

აზერბაიჯანული მუსიკა

აზერბაიჯანელი პიანისტები დიდი ბრიტანეთის სამეფო ორკესტრთან ერთად იწერენ დისკს, რომელიც გაიყვება ევროპაში. ლონდონში, „Cadogan Hall“-ში შედგა აზერ-ბაიჯანელი კომპოზიტორების ნაწარმოებების ჩანერა დიდი ბრიტანეთის სამეფო ფილარმონიული ორკესტრის შესრულებით (ხელმძღვ. დიმიტრი იაბლონსკი). როგორც თრენდ

Life-ი გადმოსცემს, სოლისტები არიან აზერბაიჯანის სახალხო არტისტი, პროფესორი ფარხად ბადალბეილი და დამსახურებული არტისტი მურად ადიგელბალ-ზადე. ბადალბეილიმ შესრულა ტოფიგ გულიევის „ლეკური“ („ლეზგინკა“), ფიკრეტ ამიროვმა შესრულა ე. ნაზიროვას „კონცერტი არაბულ თემებზე“ და საკუთარი ნაწარმოები სახელწოდებით „ზღვა“. ადიგელბალ-ზადემ შესრულა ვასიფ ადიგელბალოვის №4 საფორტეპიანო კონცერტი ორკესტრთან ერთად. კომ-პანია Naxos Rights International Limited-თან მუშაობის შედეგად გამოვა დისკი, რომელიც გაიყვება მსოფლიოს ყველა მუსიკალურ მაღაზიაში.

30 ყველაზე პოპულარული ჩანანერი

წელს რადიო ბი-ბი-სიმ დიდ ბრიტანეთში კლასიკური მუსიკის 30 ყველაზე პოპულარული ჩანანერის სია გამოაქვეყნა. სია ბოლო 75 წლის მანძილზე რადიო-ტელევიზიაში, ონლაინ სივრცეში და საზოგადოებრივ ადგილებში კლასიკურ ნაწარმოებთა შესრულების სიხშირის მონა-ცემთა საფუძველზე შეადგინეს. სია შეადგინა საავტორო უფლებების დაცვის ორგანიზაციამ „PPL“, რომელიც საავტორო გადარიცხვებს უზრუნველყოფს. „გამოირკვა, რომ აბსოლუტური ლიდერი არის ფრანგენტი კარლ ორფის „კარმინა ბურანა“-დან „ო, ფორტუნა“, მიუნხენის რადიო-ორკესტრის 1973 წლის ჩანანერი კურტ აიჰვორნის ხელმძღვანელობით; მეორე ადგილზეა ბრიტანელი კომპოზიტორის,

ორგანიზაციისა და დირიჟორის რალფ ვოან-უილიამსის (1872–1958) „ფანტაზია ტალისის თემაზე“ (თომას ტალისი, (1505–1585) — ინგლისელი კომპოზიტორი და ორგანისტი). 1986 წლის ლონდონის ფილარმონიული ორკესტრის ჩანაწერი ბერნარდ ჰაი-ტინგის ხელმძღვანელობით; მესამე ადგილზეა რიჩი-კორსაკოვის სიმფონიური სიუიტა „შეპერება“, 1990 წლის ლონდონის სიმფონიური ორკესტრის ჩანაწერი სერ ჩარლზ მაკერასის ხელმძღვანელობით. მეოთხე ადგილზე კი — პ. ი. ჩაიკოვსკის მუსიკა ბალეტისათვის „მძინარე მზეთუნახავი“ (დირიჟორი მოხაილ პლეტინოვი). მთელი სია შეგიძლიათ იხილოთ ინტერნეტ გვერდზე: PPL-UK.

მუსიკა — იარაღი

ლესოტოს (სამხრეთ აფრიკა) სამეფოს ხელისუფლებამ ახლახან გამოსცა კანონი, რომელიც კრძალავს კლასიკურ მუსიკას. კლასიკური მუსიკა შედარებულია, არც მეტი, არც ნაკლები, მსოფლიოს გამანადგურებელ იარაღთან. როგორც პრემიერ-მინისტრმა და თავდაცვის მინისტრმა ბეტუელ პაკალიტა მოსისილიმ განაცხადა, აფრიკული ყურისათვის სიმებიანი ორკესტრის უჩვეულო ხმოვანება მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუარესებას იწვევს და აუარესებს მათ ბრძოლისუნარიანობას. შესაბამისად, აკრძალული ნაწარმოებების ჩანაწერების საჯაროდ გაუქმება მკაცრად დაისჯება — დახვრებით!

რა თქმა უნდა, პრემიერ-მინისტრის განკარგულება არაერთგვაროვნად მიიღო მოსახლეობამ. რაოდენ გა-

საკვირიც არ უნდა იყოს, ოპოზიციის ნაწილი ამ განკარგულებას დადებითად შეხვდა. მათ მიაჩნიათ, რომ: „ქვეყანას აკლია ნაციონალური კულტურის ელემენტები“; „შემოგვაქვს რა უცხო სული, ჩვენ გვავინცდება, რომ ჩვენ ამ მინის შვილები ვართ და ჩვენ ჩვენი ტრადიციები და წეს-ჩვეულებები გვაქვს“ და ა.შ. სხვა ოპოზიციონერები იმედოვნებენ ეს არსებული ხელისუფალის ნინააღმდეგ გამოიყენონ. ასევე გამოთქვენ აზრი ევროპულმა სახელმწიფოებმა. მათ, როგორც ყოველთვის და ყველგან, დაგმეს მსგავსი არაპუნანური და ადამიანის უფლებების დამრღვევი განკარგულება. ევროპის ქვეყნებმა მოუწოდეს პაკალიტა მოსისის შეცვალოს გადაწყვეტილება.

სენდენსია თუ პემოხვეპითოვა?!

ახლახან ინგლისში ხმარებიდან ამოიღეს 20 ფუნტიანი ბანკნოტები დიდი ინგლისელი კომპოზიტორის ედვარდ ელგარის გამოსახულებით. ინგლისის ბანკმა მთლიანად ამოიღო აღნიშნული კუპონები და მის ნაცვლად მიმოქცევაში გაუშვა 20 ფუნტიანი კუპონი ეკონომისტისა და ფილოსოფოსის ადამ სმიტის გამოსახულებით, რომელიც უკვე 2007 წლიდან შევიდა მიმოქცევაში. ელგარის, ფაქტობრივად, ინგლისის არაოფიციალური ჰიმნის „Pomp and Circumstance“ ავტორთან ერთად დიდი ბრიტანეთი ფულის ნიშნებიდან ქრება ერთადერთი კულტურის მოღვაწე, რომელიც ამ ნიშნებზე იყო შემორჩენილი. 1999 წელს 20 ფუნტიანებიდან გაქრა უილიამ შექსპირის გამოსახულება. რამდენიმე თვით ადრე

კი 10 ფუნტიანებზე ჩარლზ დარვინმა შეცვალა მწერალი ჩარლზ დიკენსი.

მოცარტის ეფექტი

უკვე დიდი ხანია საუბრობენ იმის თაობაზე, რომ კლასიკურ მუსიკას შესწევს უნარი ზეგავლენა იქონიოს ადამიანზე. აქ მეტწილად საუბარია სულიერ გავლენაზე, ადამიანში მშვენიერების გრძობის განვითარებაზე. თუმცა მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ კლასიკური მუსიკა გავლენას ახდენს ადამიანის ფიზიკურ მდგომარეობაზეც. ცნობილია „მოცარტის ეფექტი“. ის, რომ მოცარტის ნაწარმოებები გავლენას ახდენენ ადამიანის ტვინის მუშაობაზე, ეს უკვე დამტკიცებულია. ექსპერიმენტმა აჩვენა, რომ ექსპერიმენტში მონაწილეთა IQ-ს (ადამიანის ინტელექტუალური შესაძლებლობების კოეფიციენტი) ტესტების შედეგების მაჩვენებლები იზრდებოდა მოცარტის ნაწარმოებების ფრაგმენტების მოსმენისასაც კი. მოცარტის სონატები დადებით გავლენას ახდენენ დღე-ნაკლებ ბავშვებზე. „მელომანები“ წონაში სწრაფად იმატებენ, სივრცეში მოძაბებისათვის მათ ნაკლები კალორია სჭირდებათ, სწრაფად ხდება იმუნური სისტემის აღდგენა. მოცარტის მუსიკის ამ თვისებას ხსნიან იმით, რომ მოცარტის ნაწარმოებებში „ზრდადი“ მელოდიები, ასეთები კი, ფაქტობრივად, არ გვხვდება ბეთჰოვენთან ან ბახთან. სხვა კომპოზიტორთა ნაწარმოებების მოსმენა თითქმის არ ახდენს ზემოქმედებას (ფიზიკურ დონეზე) ადამიანის ტვინზე. მეცნიერთა რეკომენდაციით, ყველგან, სადაც საჭიროა ყურადღების კონცენტრაცია და აქტიური გონებრივი მუშაობა, სჯობს მოუსმინონ მოცარტს, ის შევლის!



წელს აპრილში 70 წელი შეუსრულდა მსოფლიო ჯაზის ერთ-ერთ უდიდეს პიანისტსა და კომპოზიტორს – ჰერბი ჰენკოკს. მის შემოქმედებას ახასიათებს სტილისტური მრავალფეროვნება, მუსიკის სხვადასხვა ჟანრში ექსპერიმენტებისადმი მიდრეკილება – ჯაზ-მეინსტრიმიდან ელექტრო-საცეკვაო მუსიკამდე და ჯაზ-როკიდან პოპ-მუსიკამდე.

ჯერ კიდევ შვიდი წლის ასაკში ჰერბი ჩიკაგოს სიმფონიურ ორკესტრთან ერთად მოცარტს უკრავდა. ოც წლამდე კლასიკური მუსიკით იყო დაინტერესებული და კარგი აკადემიური განათლებაც მიიღო, თუმცა სახელი მას ჯაზმა მოუტანა – მისი სადებიუტო ალბომიდან ერთ-ერთი პიესა – „Watermelon“ – გახდა ნამდვილი ჰიტი, რომლის რიტმზეც მთელი იმდროინდელი ახალგაზრდობა ცეკვავდა.

ჰენკოკის 60-იანი წლების ალბომები ჯაზის ალბომების საუკეთესოთა კატეგორიას განეკუთვნება, ხოლო მისი მუშაობა მაილს დევისის კვინტეტის რითმსექციაში (1963-68) ნამდვილ რევოლუციად იქცა ჯაზის ისტორიაში.

ჰერბი ჰენკოკი ერთ-ერთი პირველი პიანისტია, რომელმაც არამარტო მოსინჯა ელექტროკლავიატურა, არამედ დიდი ხნით გადავიდა სინთეზატორებსა და ელექტროპიანოზე, სადაც მონახა თავისი ინდივიდუალური ხმოვანება და შექმნა ბევრი გასაოცარი ჰარმონიული ნახაზი, რითაც საგრძნობლად გაამდიდრა თანამედროვე ჯაზის ენა.

ჰენკოკი ნაყოფიერად მუშაობს კინოშიც – იგი მრავალი ფილმის მუსიკის ავტორია – მათ შორის აღსანიშნავია მიქელანჯელო ანტონიონის „ბლოუ აპ“ (1966) და ბერტრან ტავერნიეს ოსკაროსანი ფილმი – „შუალამისას“ (1988).

საცეკვაო მუსიკის ჟანრში პროდიუსერ ბილ ლასველთან თანამშრომლობამ მას რამდენიმე „გრემი“ მოუტანა.

ჰერბი ჰენკოკი

ჩიმი იაშვილი

2000 წელს ჰერბი ჰენკოკი კვლავ უბრუნდება აკუსტიკურ როიალს და რამდენიმე საინტერესო ალბომს სთავაზობს ჯაზის მოყვარულებს, რომელთა შორის საუკეთესომ – სახელწოდებით „გერმინის სამყარო“ – მას ერთბაშად სამი „გრემი“ მოუტანა. გენიალური მესაყვირე – მაილს დევისი თავის ავტობიოგრაფიაში ჰენკოკზე წერს: – „ჰერბი დიდი პიანისტების – ბად ჰაუელისა და თელონიუს მონკის ღირსეული მემკვიდრეა, მაგრამ მე ჯერ არ მეგულება ისეთი მუსიკოსი, რომელიც ჰერბის მემკვიდრეობას შეძლებს“.

აი, ასეთი გახლავთ პიანისტი და კომპოზიტორი ჩიკაგოდან – ჰერბერტ ჯეფრი ჰენკოკი.